საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№20 (538)
3 - 9 ივნისი, 2020

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
geworld@inbox.ru



## აშშ-მა დაკარგა მორალური უფლება, სხვა ქვეყნები ადამიანის უფლებების დარღვევაში დაადანაშაულოს

24

# ამძალღებულები

2



## საქართველოს მოსახლეობის მესამედზე მეტი შიმშილობს, პოლიტიკური ელიტის მთავარი საზრუნავი კი ისაა, როგორ ასიამოვნოს დასავლეთს

3





6

გურამ ნიკოლაიშვილი:

## ამ სისტემის პირობებში მარიონეტს ყოველთვის შეცვლის მარიონეტი, ერთი წავა, სხვა მოვა, არსებითად არაფერი არ შეიცვლება...

## ანტიქართული, ანტისახელმწიფოებრივი გეგმის ერთ-ერთი ნაწილი, სახელად «ბავშვის უფლებათა კოდექსი»



ლევან ჩაჩუა:

5

## ქართველი ერი ფესვებმოწყვეტილ, მდაბალ ვნებებს დამონებულ ალვირახსნილ მასად უნდათ, რომ აქციონ

## «ლუგარის ლაბორატორია მუდმივად იქნება დაპირისპირების თემა, რუსეთ-საქართველოს შორის ურთიერთობის დაძაბულობის გამომწვევი»

7



## «ტექნოტრონული ერა», ანუ კაცობრიობის წინააღმდეგ შეთქმულება 50 წლის წინათ იყო დაანონსებული

11



## ტრამპს ფერადი რევოლუცია აუგორეს

15



## დასავლეთი პრესტიჟსა და მომხიბვლელობას კარგავს



21

ბაკურ სვანიძის საავტორო გვერდი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**რა მაგარია, არა? საქართველოს 9 წელიწადი მართავდა ხელისუფლება, რომლის შინაგან საქმეთა მინისტრმა არ იცოდა, რომ, წესით, ადამიანების დაპატიმრებას ქვეყნის პრეზიდენტი არ უნდა წყვეტდეს, ხოლო გენერალური პროკურორის მოადგილემ არ იცოდა, რომ სასამართლო პროკურატურას არ უნდა ექვემდებარებოდეს.**

# ამძაღლებულები

**მხოლოდ ამ ერთი სიტყვითაც შეიძლება სრულად დახასიათდეს დღევანდელი ქართული „ოპოზიციური“ სპექტრი, მცირე გამონაკლისის, კერძოდ „საქართველოს პატრიოტთა ალიანსისა“ და ორიოდე პატარა არასაპარლამენტო პარტიის გარდა.**

მართალია, ზოგიერთი მათგანი გულმავიწყობისკენ იხრება, ზოგი — გადამლაშებისკენ და ზოგი — გაყეყეჩებისკენ, მაგრამ აშკარად უფრო „ამძაღებულნი“ უხდებათ ჟღერადობითაც („ქარწაღებულნის“ მსგავსია) და შინაარსობრივადაც — სადაც კი ვინმე გამოუსადეგარი, არავისთვის საჭირო, ჩამოწერილი, ნაგავსაყრელზე დატოვებული ანუ აყროლებულზე უარეს მდგომარეობაში მყოფი, ამძაღებული „პოლიტოკოსი“ არსებობდა, ყველამ ე.წ. გაერთიანებულ ოპოზიციაში მოიყარა თავი. სიტყვა ამძაღებულნი უხდება მათ არა მხოლოდ პოლიტიკურ მდგომარეობას, არამედ მათ მიერ სხვადასხვა სატელევიზიო ეთერში ნათქვამ ფრაზებსაც. ეს „პოლიტიკოსები“ ისეთ რაღაცებს ლაპარაკობენ საჯაროდ, რაც ასოციაციურად სწორედ სიტყვა მძაღეს შეესაბამება.

**ირაკლი ოქრუაშვილი:** „მე თავის დროზე მიშა სააკაშვილმა რომ დამიჭირა, ეს ჩემი გადამლაშებების ბრალი იყო“

**გუბაზ სანიკიძე:** „2012 წელს მეც მომატყუეს და ბევრი ტყუილები მალაპარაკეს. რაც დღეს საქართველოში აშენებული და გაკეთებულია, ყველაფერი მიშა სააკაშვილის დამსახურებაა“

**ნინო ბურჯანაძე:** „მიშა სააკაშვილის დროს ციხეში არ იჯდა არც ერთი პოლიტიკური პარტიის ლიდერი. ბიძინა ივანიშვილმა ეს ვერ ისწავლა, რომ პოლიტიკური პარტიის ლიდერები არ უნდა დაიჭიროს...“

**შალვა ნათელაშვილი:** — „მაშინ მიშა სააკაშვილზე ისე იმიტომ ვლაპარაკობდი, რომ ისე იყოს საჭირო. ახლა ასეა და ასე ვლაპარაკობ. სხვა დროს და სხვა ვითარებაში შეიძლება კიდევ სხვანაირად გახდეს საჭირო. ესაა პოლიტიკა“

აი, ეს ყოველივე „პოლიტიკაა“ თუ სხვა რამ, სახელი თქვენ შეურჩიეთ. მე კი შევეცდები, გავშალო თემა ამ ფრაზებიდან გამომდინარე და დაგანახვოთ საერთო სურათი, როგორი ამძაღებულია ქართული პოლიტიკური სპექტრი.

პირველ რიგში, **ნინო ბურჯანაძეს შევახსენებ:** ქალბატონო ნინო, მიშა სააკაშვილის დროს არ იჯდა ციხეში იგივე ირაკლი ოქრუაშვილი? სწორედ ეგაა განსაკუთრებით სასაცილო, რომ თქვენ ლაპარაკობთ იმ "პოლიტიკურ დაპატიმრებებზე" რომლის ერთ-ერთი ფიგურანტი ირაკლი ოქრუაშვილია და აცხადებთ, სააკაშვილის დროს ციხეში არც ერთი პოლიტიკური პარტიის ლიდერი არ იჯდაო.

კი მაგრამ, **2007 წელს ირაკლი ოქრუაშვილმა პოლიტიკური პარტია არ ჩამოაყალიბა? სწორედ თავისივე პოლიტიკური პარტიის ოფისიდან არ გამოათრიეს და არ წაათრიეს ციხეში იმ პოლიტიკური პარტიის ლიდერი ირაკლი ოქრუაშვილი?** მერე ეს **პოლიტიკური პარტიის ლიდერი არ დასვეს ტელეეთერში „ბოლშევიკური ტროიკების“ მეთოდებით და არ ალაპარაკეს სამარცხვინო „მონანიება“?** არა, თუ მეშლება რამე, მითხარით და გავჩუმდები.

**ირაკლი ბათიაშვილზე, თემურ ჟორჟოლიანსა** და სხვებზე არაფერს ვამბობ, მაგრამ, **როდესაც ბიძინა ივანიშვილის მმართველობის პერიოდში ირაკლი ოქრუაშვილის დაპატიმრებაზე აკეთებთ კომენტარს და ამბობთ, მიშა სააკაშვილმა იცოდა, რომ პოლიტიკური პარტიების ლიდერები არ უნდა დაეჭირაო, ეს, სულ ცოტა, მძიმე პოლიტიკურ ამნეზიას ნიშნავს.**

საერთოდაც, გაურკვეველია, **რატომ არ უნდა დააპატიმრონ პოლიტიკური ლიდერები, თუკი ისინი სისხლის სამართლის დამნაშავეები არიან? „ამერიკული დემოკრატიის“ სტანდარტია ეს ვითომ?** მაშინ თვითონ რატომ უზით ციხეებში არაერთი ყოფილი გუბერნატორი თუ სხვა თანამდებობის პირი, რომლებიც პარალელურად პოლიტიკური ფიგურებიც იყვნენ?

აჰ, როგორც ჩანს, მათაც „გადაამლაშეს“ ირაკლი ოქრუაშვილივით, ხო?

აი, ეს კიდევ ერთი ფენომენი. **ადამიანი მიხეილ სააკაშვილს მკვლელობების დაკვეთაში სდებდა ბრალს და ახლა აცხადებს, გადავამლაშე და იმიტომ დამიჭირესო.**

„მე მიხეილ სააკაშვილისგან არაერთხელ მიმიღია სხვადასხვა პოლიტიკური ლიდერების და გავლენიანი პირების ლიკვიდირების დაკვეთა“ — ზუსტად ასე ამბობდა 2007 წელს თავისივე პარტიის ოფისში გამართულ ბრიფინგზე ირაკლი ოქრუაშვილი. **დიახ, რომელიმე ერთი კონკრეტული შეკვეთილი მკვლელობაო კი არა, რამდენიმეო! არაერთიო! ბევრიო! შე კაი კაცო, ადამიანების მკვლელობების დაკვეთების სააშკარაოზე გამოტანაა „გადამლაშება“? ანდა, თუკი არავინ არ გიკვეთდა ამ მკვლელობებს და იცრუე, ადმინისთვის შეკვეთილი მკვლელობების დაბრალებას ეძახი „გადამლაშებას“?**

აქ საინტერესო ისიც არის, ირაკლი ოქრუაშვილი პირდაპირ რომ ამბობს, **„მიშამ იმიტომ დამიჭირა...“**

ბატონო „ძალიან მაგარო იურისტო“! მინდა შეგახსენოთ, რომ ადამიანებს, დამნაშავეებს სახელმწიფოს პრეზიდენტები არ იჭერენ. დამნაშავეებს იჭერენ პროკურორები და სასჯელს განუსაზღვრავენ მოსამართლეები. **პატივცემულო ყოფილო შინაგან საქმეთა მინისტრო! თქვენ მაგ განცხადებით, ფაქტობრივად, აღიარეთ, რომ „ნაცების“ მმართველობის დროს პრეზიდენტი სააკაშვილი წყვეტდა, ვინ უნდა ჩაესვათ ციხეში!**

სხვათა შორის, ზუსტად მომაგონეთ თქვენივე ეპოქისა და თქვენივე ხელისუფლების გენერალური პროკურორის მოადგილე, შემდგომში ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის, ამჟამად კი „მთავარი არხის“ გენერალური დირექტორი **ნიკა გვარამია.** მან 2016 წლის საპრეზიდენტო არჩევნების წინ განაცხადა: „ბოდიშს გიხდით მთელი ჩვენი ხელისუფლების სახელით, შეცდომები დავუშვით უხეში, მაგალითად, არ ვიცოდით, რომ სასამართლო პროკურატურის სურვილების ამსრულებელი არ უნდა ყოფილიყო“.











**ბატონო გუბაზიკო (როგორც დავით აქუბარდია, იგივე „აქუ“ მოგმართავთ ხოლმე)! კონკრეტულად ვინ გაიძულათ, ტყუილები გელაპარაკათ? დავიჯერო, ბიძინა ივანიშვილმა მოგთხოვათ, მიშა სააკაშვილი აუცილებლად ჯალალ ედ დინს შეადარეო? შე კაი კაცო, თუ ასეთი იოლი მოსატყუებელი ხარ და თან ასე იოლად შეუძლია ვიღაცას ტყუილები გალაპარაკოს, მაშინ ან ახლა რატომ უნდა გენდოთ?**

რა მაგარია, არა? **საქართველოს 9 წელიწადი მართავდა ხელისუფლება, რომლის შინაგან საქმეთა მინისტრმა არ იცოდა, რომ, წესით, ადამიანების დაპატიმრებას ქვეყნის პრეზიდენტი არ უნდა წყვეტდეს, ხოლო გენერალური პროკურორის მოადგილემ არ იცოდა, რომ სასამართლო პროკურატურას არ უნდა ექვემდებარებოდეს.**

და მაინც, ფრიად საინტერესოა, **ვინ და როგორ მიგვიჩაგრა უგანათლებულესი, უინტელექტუალურესი და უპატრიოტესი გუბაზ სანიკიძე ისე ძალიან, რომ ამხელა კაცს 4 წლის განმავლობაში (2012-დან 2016 წლამდე) თურმე სულ ტყუილები ალაპარაკეს?!**

სიმართლე გითხრათ, მეექვსე კლასიდან უკვე მაგრად მრცხვენოდა (ჟარგონზე — მიტყდებოდა) ვინმესთვის მეთქვა, ვიღაცამ გამაბრიყვა და ტყუილები მალაპარაკა-მეთქი!

ამხელა კაცს, საქართველოს პარლამენტის ყოფილ წევრს (მგონი, სამი მოწვევის) საერთოდ არ უტყდება, ასე საჯაროდ განაცხადოს: ხალხო, 4 წლის განმავლობაში გატყუებდით, ოღონდ, ჩემი ბრალი არ არის, შემაცდინეს, მეც მომატყუეს და მალაპარაკეს ეს ტყუილებიო.

კარგი, „გატყდომა“ ჯანდაბას! ისიც ხომ საკითხავია, რა იყო და რას ეხებოდა ეს „ტყუილები“? მიხეილ სააკაშვილი რომ **ჯალალ ედ დინია** საქართველოსთვის, „ნაციონალური მოძრაობა“ ადამიანებს რომ აწამებს, ციხეებში პატიმრებს სასტიკად რომ ეპყრობიან და მრავალი ასეთი ბრალდება „ნაცების“ მისამართით, გამოდის, ტყუილი ყოფილა?

კი მაგრამ, **ბატონო გუბაზიკო (როგორც დავით აქუბარდია, იგივე „აქუ“ მოგმართავთ ხოლმე)! კონკრეტულად ვინ გაიძულათ, ტყუილები გელაპარაკათ? დავიჯერო, ბიძინა ივანიშვილმა მოგთხოვათ, მიშა სააკაშვილი აუცილებლად ჯალალ ედ დინს შეადარეო?**

შე კაი კაცო, **თუ ასეთი იოლი მოსატყუებელი ხარ და თან ასე იოლად შეუძლია ვიღაცას ტყუილები გალაპარაკოს, მაშინ ან ახლა რატომ უნდა გენდოთ? იქნებ ახლა უკვე მიშა გატყუებს და მასთან პირისპირ შეხვედრის შემდეგ ახალ-ახალი ტყუილებით დახუნძლული დაგვიბრუნდი? რა გარანტია გვაქვს, რომ 5 წლის შემდეგ არ გვეტყვი, ხალხო, 2020 წელს მიშა სააკაშვილმა ტყუილები მალაპარაკაო? გაგიჭირდება ამის თქმა და ნამუსი შეგაწუხებს, თუ რა?**

რაც შეეხება **შალვა ნათელაშვილს**, აქ სათქმელიც არაფერია. მისი ის ფრაზა, რაც ამ სტატიაში მოვიყვანეთ, თავისთავად ყველაზე ზუსტად ახასიათებს მას — როცა როგორც არის „საჭირო“, იმას და ისე ლაპარაკობს შალვა ნათელაშვილი, იგივე ყველო ყუფარია (ფილმ „დათა თუთაშხიას“ პერსონაჟი)!

თუმცა, სიმართლე რომ ითქვას, ესენი ყველანი კრებსითი „ყველო ყუფარიები“ არიან სწორედ. ხოლო მათი ყველაზე გამაოგნებელი არგუმენტი იმის ასახსნელად, რატომ დგანან (სხედან) „ნაცების“ გვერდით ესაა — **„აბა, ბიძინა ივანიშვილმა არ დაგვაფასა!“.**

აი, ამაშიც გამოსჭვივის მათი გონებასუსტობა, რადგან ჰგონიათ, ძალიან დამაჯერებელ და სწორ არგუმენტს ამბობენ, სინამდვილეში კი სწორედ აქ ჩანს ყველაზე მეტად მათი მერკანტილური ბუნება და ის, რომ მათი ქცევის ძირითადი წარმმართველი პარამეტრი ბოღმაა. როგორ, **რადგან ვინმემ არ დაგაფასა, ამიტომ მკვლელებს, მანიაკებს, სადისტებს უნდა დაუდგე გვერდით?**

არაო, — შესძახებენ ეს ე.წ. ოპოზიციონერები, ჩვენ „ნაციონალების“ გვერდით არ ვდგავართ, ეს, უბრალოდ, ერთ კონკრეტულ თემას სჭირდება ასე — ბიძინას მოშორებას და ძირითად საკონსტიტუციო ცვლილებებსო! თორემ ამ ყოველივეს რომ „მოვაყომარებთ“ (ბოდიში კიდევ ერთი ჟარგონისთვის) მერე „ნაცებსა“ და მიშა სააკაშვილს ზედაც არ შევხედავთო...

მაგის ჩიტია ზუსტად სააკაშვილი, თქვენ გამოგაყენებინებთ თავს. ზუსტად ასე ლაპარაკობდა ზოგიერთი 2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ დროსაც, მაგრამ ვინ ვინ გამოიყენა და ვინ ვის ასუნთქა „ცე-ო-2“ ხომ ყველამ ვნახეთ?

ერთი რამეც მაინტერსებს: **ირმა ინაშვილს რომ „ოცნების სატელიტს“ უწოდებთ მხოლოდ იმიტომ, რომ „ნაცების“ გვერდით არ დაჯდა, ეს როგორი ლოგიკაა?** ის „ნაცებთან“ არ მივიდა, მაგრამ არც „ოცნებასთან“ ერთად უნახავს ვინმეს და მაინც „ოცნების სატელიტია“, ხოლო თქვენ ლამის 24 საათს „ნაცებთან“ ერთად „აბირჟავებთ“, ხალხმა „შალიკოს ფანჩატური“ რომ დაარქვა, იქ, და მაინც არ ხართ „ნაცების“ სატელიტები?

ასეთია ამძაღებულთა ლოგიკა! ისიც „ძალიან მაგარი“ არგუმენტია, ჩვენ რომ გვსაყვედურობთ „ნაცების“ გვერდით ჯდომას, რა, „ოცნებას“ არ ჰყავს თავისთან ყოფილი „ნაცებიო“? ჯერ ერთი, **რადგან „ოცნება“ დამპალია, შენც დამპალი უნდა იყო?** და მეორე — „ოცნებას“ ისინი „თავისთან“ ჰყავს, როგორც თავადვე ბრძანებთ, პატივცემულო „ოპოზიციის ლიდერებო“, ხოლო თქვენ „თქვენთან“ კი არ გყავთ, იქით ხართ „ნაცებთან“ მიცუცქულები, მათი დღის წესრიგით მოქმედებთ, გვერდით უდგახართ და, სავარაუდოდ, დაფინანსებასაც მათგან იღებთ.

არაო, — კიდევ ერთხელ შესძახებენ ისინი. მათ გვერდით კი არ ვდგავართ, არამედ მხოლოდ კონკრეტული საკითხის გამო ვსხედვართ ერთადო. იცით, რა? მკვლელებისა და მანიაკების ბანდასთან ერთად „ისხდები“ თუ „იჯდები“, მე პირადად დიდ განსხვავებას ვერ ვხედავ... ცნობილი ქართველი სპორტული კომენტატორის, ნუგზარ ჯუღელისა არ იყოს: „ეჰ, დარსაძე! გინდა ახტი, გინდა დახტი — ტკაჩენკო მაინც ტკაჩენკოა!“

**რეალურად ყველაფერი უკვე გადაწყვეტილია და ახლა, უბრალოდ, გაითამაშებენ, დასავლეთის თვალში დემოკრატები რომ გამოვიდნენ, ჩვენს თვალში კი... პრინციპში, არავის აინტერესებს, ჩვენ რას ვფიქრობთ და რით ვარსებობთ, მთავარი ძია სემია და აგერ, ამ თვის ბოლოს, კონსტიტუციას თავზე ისე გადაგვახევენ, როგორც აქამდე გადაუხევიათ. ჩვენ კი „პური ჩვენი არსობისა“ უნდა ვეძიოთ, შიმშილით სული რომ არ გაგვძვრეს.**

ხალხი და ხელისუფლება
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# საქართველოს მოსახლეობის მესამედზე მეტი, ანუ 1 360 000 ადამიანი შიმშილობს, პოლიტიკური ელიტის მთავარი საზრუნავი კი ისაა, როგორ ასიამოვნოს დასავლეთს

**სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, 2019 წელს სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვემოთ ქვეყნის მოსახლეობის 19,5 პროცენტი იმყოფებოდა. იმავე სამსახურის ცნობით, სოფლად სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის წილი შარშან 23,7 პროცენტი იყო, ქალაქში კი — 16,4 პროცენტი. ამასთანავე, სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის წილი 2019 წელს, 2018 წელთან შედარებით, 0,6 პროცენტით შემცირდა.**
**2018 წელს სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვემოთ საქართველოს მოსახლეობის 20,1 პროცენტი ცხოვრობდა. შეგახსენებთ: აბსოლუტური სიღარიბე გულისხმობს ისეთ დმგომარეობას, როცა ადამიანს არ მიუწვდება ხელი საჭირო და აუცილებელ მინიმალურ საარსებო პირობებზე. ყველაზე მთავარი და საინტერესო სწორედ ბოლო წინადადებაა. რა გამოდის? დაახლოებით 700 ათას ადამიანს „არ მიუწვდება ხელი საჭირო და აუცილებელ მინიმალურ საარსებო პირობებზე“. და, რაც მთავარია, ეს ციფრები გვიხარია, რადგან თურმე ეს ყველაფერი 0,6%-ით არის შემცირებული.**




**ჰკითხეთ ნებისმიერ პენსიონერს, ჰყოფნის თუ არა პენსია და იკვებება თუ არა სრულფასოვნად. ჰკითხეთ, კომუნალური გადასახადები რამხელა ტვირთად აწევს, როგორ ზოგავს საკვებისთვის ფულს, რათა წამალი იყიდოს, როგორ იზოგავს ნაყიდ წამალს და არ სვამს, სანამ ძალიან, ძალიან არ გაუჭირდება**

ისევ ციფრები მოვიშველიოთ. საქართველოში დაახლოებით **660 ათასი პენსიონერია,** რაც იმას ნიშნავს, რომ ოფიციალურად ეს ადამიანები არ ითვლებიან მათ რიგებში, ვისაც „არ მიუწვდება ხელი საჭირო და აუცილებელ მინიმალურ საარსებო პირობებზე“. ამ 660 ათასი ადამიანის გარდა, დამატებით კიდევ დაახლოებით 700 ათას პირს, მარტივად რომ ვთქვათ, პურის ფული არ აქვს. ციფრები რომ შევკრიბოთ, გამოვა, რომ **საქართველოს მოსახლეობის 1/3-ზე მეტი შიმშილობს.** რატომ? იმიტომ, რომ **ჰკითხეთ ნებისმიერ პენსიონერს, ჰყოფნის თუ არა პენსია და იკვებება თუ არა სრულფასოვნად; ჰკითხეთ, კომუნალური გადასახადები რამხელა ტვირთად აწევს, როგორ ზოგავს საკვებისთვის ფულს, რათა წამალი იყიდოს და როგორ იზოგავს ნაყიდ წამალს და არ სვამს, სანამ ძალიან, ძალიან არ გაუჭირდება.** პარადოქსია, მაგრამ ფაქტი, რომ ეს ყველაფერი ძალიან გვიხარია. პრინციპში, ჩვენ კი არ გვიხარია, ხელისუფლებას უხარია, რადგან **სიღარიბის დონე თურმე 0,6%-ით შეამცირეს.** აღარაფერს ვამბობთ იმ ადამიანებზე, რომლებიც ქვეყანაში შემოღებული საგანგებო მდგომარეობის გამო უმუშევრები დარჩნენ, პურის ფულის პრობლემა ზუსტად ისე გაუჩნდათ, როგორც სხვებს და ამის სანაცვლოდ ხელისუფლებამ შესთავაზა თვეში 200 ლარის დახმარება, თანაც დაამადლა (ჰო, დაამადლა), თუ სამსახურს 6 თვეს ვერ დაიწყებთ, თვეში 200 ლარს მიიღებთ, ანუ, საერთო ჯამში, 1200 ლარსო. დავთვალოთ — თუ **4-სულიანი ოჯახის ერთი წევრი მუშაობდა, რომლის შემოსავალი თვეში იყო 1000 ლარი და ახლა დარჩა უმუშევარი, ხელისუფლება ეუბნება: დაახლოებით ის თანხა, რომელიც შენს ოჯახს ერთი თვის განმავლობაში ჰყოფნიდა, ახლა ნახევარ წელს უნდა იმყოფინოო. პირდაპირ ამას ეუბნება, ამას უმტკიცებს და... საინტერესოა, იმ ადამიანებს, ხელისუფლების იმ წარმომადგენლებს, რომლებმაც ეს ანტიკრიზისული გეგმა შეიმუშავეს, თუ უფიქრიათ თავიანთი ოჯახების თვეში 200 ლარად გამოკვებაზე?!** თუ არ უფიქრიათ, ახლა იფიქრონ, გადაანაწილონ თვეში 200 ლარი და მიხვდებიან, რომ საუკეთესო შემთხვევაში, ერთი კვირის შემდეგ შიმშილობა მოუწევთ. რეალურად, მათ ეს ყველაფერი იციან, მაგრამ არ ადარდებთ, რადგან მათ არც სამსახური დაუკარგავთ, არც შემოსავალი შემცირებიათ და ვინ იცის, ამ ანტიკრიზისული გეგმის მოფიქრებაში დამატებით პრემიაც მიიღეს. ხელისუფლების ერთ-ერთმა წარმომადგენელმა ისიც თქვა, — ზაფხულია, მოსახლეობა ბოსტნეულზე იქნება ძირითადად, ბოსტნეული კი იაფი ღირსო. არადა, **არაფერი აღარ ღირს იაფი, იმიტომ, რომ პანდემიის გამო ყველას გაუჭირდა და იაფად არავინ არაფერს აღარ იძლევა. ელემენტარულად, ვაშლის ფასი 4 ლარიდან იწყება და როგორ გგონიათ, რამდენი ოჯახი მოახერხებს ვაშლის შეძენას?**

ყველაფერ ამის გათვალისწინებით, ხელისუფლების (ოპოზიციისაც) მთავარი საზრუნავი ის უნდა იყოს, როგორ გამოიყვანოს ამ კრიზისიდან ქვეყანა, როგორ უშველოს დამშეულ მოსახლეობას. ოპოზიციას კი აქვს გეგმა, რომ თითოეულ ოჯახს 1500 ლარი დაურიგოს, მაგრამ ესეც აბსურდია — **დამრიგებლები რომ ყოფილიყვნენ, თავის დროზე დაარიგებდნენ, როცა ხელისუფლებაში იყვნენ და მოსახლეობას არანაკლებ უჭირდა. ჰოდა, ამ პირობებში, პოლიტიკური ელიტის მთავარი საზრუნავი საარჩევნო კოდექსის შეცვლაა. ჰო, მთავარი სასაუბრო თემა სწორედ ეს არის და არა ნაგვის ურნაში გადაყუდებული მოსახლეობა. მიზეზი ბანალურია — საარჩევნო კოდექსის შეცვლა ხელისუფლებას დასავლეთმა დაავალა. აი, დამშეულ მოსახლეობას მიხედეთ, დააპურეთ და შიმშილით სიკვდილისგან იხსენითო, არავის უთქვამს.** შესაბამისად, აუცილებელ დავალებათა სიაში ეს საკითხი შეტანილი არ არის. ამით კიდევ ერთხელ ნათლად გამოჩნდა ის, რომ **დასავლეთს საერთოდ არ აინტერესებს, რა მდგომარეობაში იქნება საქართველოს მოსახლეობა — იშიმშილებს თუ არა მოსახლეობის 1/3 ოფიციალურად და როგორ იარსებებს თვეში 56 ევროდ ოთხსულიანი ოჯახი** (200-ლარიანი დახმარებით, რაც წეღან მოგახსენეთ, სწორედ ასე გამოდის). მათთვის მთავარია, რომ საქართველოში ევროპაამერიკისთვის მისაღები პოლიტიკური ამინდი იდგეს, მთავარია, **მათი თითის ერთ დაქნევაზე, ხელისუფლება თუ ოპოზიციამ პირველ-მეორეზე გაითვალონ და ჩვენთვის მავნებლური მითითებები შეასრულონ.**

სამწუხაროდ, უნდა გავიხსენოთ ისიც, რომ შარშან, შარშანწინ და იმის წინაც თითქოს ეკონომიკური ზრდა გვქონდა და თანაც ისეთი, რეგიონში პირველობაზე პრეტენზია გამოვთქვით. პირველობაზე ეკონომიკური ზრდის მიხედვით, თორემ რეალურად, თუნდაც აზერბაიჯანში მცხოვრები საშუალო შეძლების ოჯახი საქართველოში მცხოვრებ საშუალო შეძლების ოჯახს რომ შევადაროთ, შესაძლოა, ცრემლი მოგვადგეს. **სამწუხაროდ-მეთქი, იმიტომ ვამბობთ, რომ უკვე გამოგვიცხადეს, წელს ეკონომიკურ ზრდაზე არც უნდა ვიოცნებოთო. ხომ წარმოგიდგენიათ, ეკონომიკური ზრდის პირობებში რა დღეში ვიყავით და ახლა რა გველოდება. ციფრებით ქვეყანა წინ მიდიოდა, მატულობდა მშპ, მატულობდა საერთაშორისო ინდექსები, მაგრამ ეს არანაირად არ აისახებოდა მოსახლეობაზე. ჰოდა, ახლა, როცა გვეუბნებიან, წინ ვერ მივდივართო, რიგითი ადამიანები, შესაძლოა, კატასტროფის წინაშე აღმოჩდნენ.** საუბარი არ არის ფუფუნების საგნებსა და ნორმალურ კვებაზე, საუბარია პურის ფულზე, **დიდი-დიდი კარტოფილსა და ხახვზე, მხოლოდ პურის ლუკმით კოლიტი რომ არ დაგვემართოს.** ისიც გავითვალისწინოთ, რომ წინ საპარლამენტო არჩევნები გველოდება და მისი ჩატარება სახელმწიფოს ჩვენ მიერ გადახდილი გადასახადებიდან რამდენიმე ათეული მილიონი დაუჯდება. ეს ოფიციალურად, თორემ არაოფიციალურად **პარტიების დანახარჯი რამდენიმე ასეულ მილიონს აუცილებლად გადააჭარბებს. მით უმეტეს ახლა, როცა საქმე ოთხწლიან მმართველობას ეხება და, როცა ორივე მხარემ იცის, რომ ამ ასეულ მილიონობით დანახარჯს, სულ ცოტა ერთი-ორად ამოიღებს მომდევნო ოთხ წელიწადში... ჩვენს ხარჯზე.** არც ის დაგვავიწყდეს, რომ **წინასაარჩევნოდ მოსახლეობას აუცილებლად გადაუგდებენ გამოხრულ ძვალს, რათა სული მოითქვას, ისევ მოტყუვდეს და შემდეგ მარტივად დაადგან მონობის მორიგი ოთხწლიანი უღელი.**

პოლიტიკოსები ხშირად იმეორებენ, რომ ისინი არიან მოსახლეობის მიერ დაქირავებული ადამიანები, რომელთა ვალდებულება მოსახლეობის მსახურებაა. არადა, **რეალურად ისინი დასავლეთს ემსახურებიან და არა მოსახლეობას, რომელთა ინტერესიც რატომღაც ყოველთვის ბოლო ადგილზეა.** ასე იყო წინა ხელისუფლების მმართველობის პერიოდში და ასეა ახლაც. **რიგითი ადამიანები ძირითადად მუშაობენ იმისთვის, რომ ბანკები არჩინონ და სახელმწიფო მოხელეები შეინახონ. სხვა მისია პრაქტიკულად არ გვაქვს.** საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა ვერ ქმნის დოვლათს, საკუთარ შვილებს ვერ უქმნის სამომავლოდ მცირედსაც კი, შემდეგ ცხოვრება ცოტათი მაინც რომ გაუადვილდეთ. შვილები ებმებიან ყოველდღიურ რუტინაში, რომელშიც მანამდე მშობლები იყვნენ ჩაბმული. და ასე გრძელდება დაუსრულებლად. სამაგიეროდ, **საკმარისია ხელის ერთი აქნევა დასავლეთიდან, რომ კანონები და კონსტიტუცია იცვლება ისე, რომ არავინ არაფერს გვეკითხება.** ახლაც, როცა **საკონსტიტუციო ცვლილებას აპირებენ, დაგვპირდნენ, რომ ტელევიზიის საშუალებით გააცნობენ მოსახლეობას ამ ყველაფერს და დებატებიც სწორედ მოსახლეობასთან იქნება. ეს ყველაფერი საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერით მოხდება, იმ მაუწყებლის, რომელსაც ჩვენი გადასახადებით ვინახავთ და დიდი-დიდი ასი კაცი ჩაერთოს ამ ე.წ. „განხილვებში“** (დიდი ალბათობით, შერჩეული ხალხი). ე.ი. ასი კაცის აზრი იქნება გადამწყვეტი და არა 3 მილიონის. **რეალურად, ყველაფერი უკვე გადაწყვეტილია და ახლა, უბრალოდ, გაითამაშებენ, რათა დასავლეთის თვალში დემოკრატობანას ფასადი შეინარჩუნონ,** ჩვენს თვალში კი... პრინციპში, არავის არ აინტერესებს, ჩვენ რას ვფიქრობთ და რით ვარსებობთ, **მთავარი ძია სემია და აგერ, ამ თვის ბოლოს, კონსტიტუციას თავზე ისე გადაგვახევენ, როგორც აქამდე გადაუხევიათ.** ჩვენ კი „პური ჩვენი არსობისა“ უნდა ვეძიოთ, შიმშილით სული რომ არ გაგვძვრეს.

**ბესო ბარბაქაძე**

საგარეო ვექტორი

www.geworld.ge

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**წარმოვიდგინოთ, რა მოხდება, თუ იმის გამო, რომ დასავლეთის მიერ რუსეთისთვის დაწესებულ სანქციებს მხარს დავუჭერთ, ჩრდილოელი მეზობელი საზღვარს საგულდაგულოდ ჩაგვიკეტავს და ნებისმიერი ქართული პროდუქციის მიღებაზე უარს იტყვის. დაახლოებით მილიარდი დოლარის პროდუქცია შეგვრჩება ხელში და, სულ რომ უფასოდ დაარიგონ გლეხებმა, ფიზიკურად ვერ ავითვისებთ ვერც ღვინოს, ვერც ხილს და ვერც მინერალურ წყლებს. ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, რომ დასავლეთის სურვილი და ოცნებაც ეს არის — რუსული ბაზრიდან გამოგვაძევონ და მთლიანად მათზე ვიყოთ ჩამოკიდებულ-დამოკიდებულნი.**

# დასავლეთმა იტალია მიატოვა გაჭირვებაში და წარმოგიდგენიათ, როგორ მოიქცევიან საქართველოს შემთხვევაში?!

## დავამტკიცოთ, რომ, კარგ რეფორმატორობასთან ერთად, პატრიოტებიც ვართ

**„დემოკრატიის შუქურა“, „რეფორმების მამა“, „ყველაზე ახალგაზრდა და გამბედავი პოლიტიკოსი“ — ეს არის მცირე ჩამონათვალი იმ ეპითეტებისა, რომლებითაც ევროპელი და ამერიკელი პოლიტიკოსები მიხეილ სააკაშვილს ამკობდნენ. არადა, რეალურად ყველამ იცოდა, რომ ეს რეფორმებიც ადამიანების თავებზე ხელკეტების გადალეწვით, ქუჩაში დახვრეტით, ტერორით, დაშინებით, დაჭერით გაიტანა სააკაშვილმა და მოსახლეობის უდიდეს ნაწილს მისი სახლში გაშვება წლების განმავლობაში სურდა. საბოლოოდ, როცა ხელისუფლება შეიცვალა, სააკაშვილს მორიგი დითირამბები უძღვნეს, აქაოდა, ძალაუფლება მშვიდობიანად გადააბარაო და მერე რა, რომ ექსპრეზიდენტი სისხლის სამართლის კოდექსის არაერთი მუხლით არის მსჯავრდებული და იძებნება — დასავლეთისთვის ის მაინც მისაღები პერსონა იყო, როგორც მათი მითითებების უსიტყვო შემსრულებელი და აგერ, სტრატეგიულმა პარტნიორმა და მეგობარმა უკრაინამ მას თანამდებობაც კი უბოძა.**

არაერთხელ დაგვიწერია, რომ დასავლეთის გამო ერთსა და იმავე წრეზე ვტრიალებთ და ამის ნათელი დადასტურება საქართველოში საფრანგეთის ელჩის, **დიეგო კოლასის,** განცხადებაცაა.

„ვფიქრობ, საქართველომ დაამტკიცა, რომ კარგი რეფორმატორია. ახლა კი საჭიროა, აჩვენოს, რომ კარგი შემსრულებელიცაა. კანონების უმეტესობა უკვე მიღებულია, თუმცა რამდენიმე კანონი კვლავ მისაღებია. როდესაც საუბარია სამართლიან კონკურენციაზე, სამართლიან საჯარო შესყიდვებზე, ინტელექტუალური საკუთრების უფლებების სამართლიანობაზე, ეს არა მხოლოდ კარგი კანონის არსებობის საკითხია, არამედ სწორი კულტურის და ეს საკითხები წუთებში არ წყდება, არამედ ნელ-ნელა შენდება და საქართველო ბევრ ამ ასპექტში უკვე განვითარდა, თუმცა ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი. ევროკავშირმა საკმაოდ ბევრი პროგრამა აამოქმედა არა მხოლოდ კანონების განვითრების კუთხით, არამედ ტრეინინგების კუთხითაც, რომ ხალხმა არ იფიქროს ბიზნესის კეთების სხვა ხერხებზე. შედეგები საკმაოდ დამაიმედებელია. დარწმუნებული ვარ, თუმცა მცდელობები უნდა შენარჩუნდეს“,— განაცხადა კოლასმა.

რა თქმა უნდა, ძალიან კარგია, როცა ევროპის ერთ-ერთი წამყვანი ქვეყნის ელჩი გაქებს და ამბობს, რომ მოსახლეობამ არ უნდა იფიქროს ბიზნესის კეთების სხვა ხერხებზეო

შექება შექებად, მაგრამ... **საფრანგეთი არ იყო ის ქვეყანა, რომელმაც 2007 წელს ევროპაში საქართველოდან გატანილ მინერალურ წყლებს, პრაქტიკულად, თავში რომ ჩაარტყა და ცივი შხაპი სწორედ ჩვენივე მინერალური წყლებით მიგვაღებინა?! 2008 წელს, როცა ყველაზე მეტად გაგვიჭირდა, ევროპიდან სწორედ საფრანგეთის მითითებით გამოგვაძევეს და მინერალურ წყლებს ჩვენი ღვინოც მიაყოლეს. ამის მიზეზი მარტივი იყო — მონოპოლია სწორედ ფრანგულ წყალსა და ღვინოს ჰქონდა დაწესებული და საქართველოს გამო ქვეყანა შემოსავალს ხომ არ დაკარგავდა?! ევროპის წამყვან ქვეყნებთან გაფორმებული ხელშეკრულებები გადაგვახიეს თავზე და ამის გვირგვინი იყო ამერიკიდან ჰუმანიტარულ დახმარებად შემოსული... წყალი.** ჰო, წყალს მიჰქონდა საქართველო და ამერიკამ, ეგებ არ გეყოთო და, თავისი წყალი მოგვაშველა. ნამდვილად ვერ გეტყვით, რამდენი მილიონი დაიხარჯა სარეკლამო კამპანიაში, რომელიც ევროპისა და ამერიკისთვის ქართული პროდუქციის მიწონებას ემსახურებოდა, მაგრამ ვერც ერთმა, ვიმეორებთ — **ვერც ერთმა ქართულმა პროდუქტმა ევროპასა და ამერიკაში ვერ გაიხარა, უბრალოდ, არ გაახარეს, არ დაუშვეს, დახლებიდან ჩამოაგდეს.** ისიც გემახსოვრებათ, როგორი ამბავი ატყდა **ქართულ თაფლზე** მისი უნიკალური სასარგებლო თვისებების გამო. ჰოდა, მიიღეს რეგულაცია, რომლის შემდეგაც ქართული თაფლი ევროპულ ბაზარზე პრაქტიკულად ვერასოდეს გავა. რეგულაციის მიხედვით, იქ, სადაც ფუტკარია, 8-კილომეტრიან რადიუსში არ უნდა იყოს ეზოში მდგარი საპირფარეშო, ჩეჩმა, რადგან, თურმე ფუტკარი მარილიან წყალს ეძებს და ჩეჩმაში შარდს ეტანება. ჰოდა, საქართველოში სად მონახავთ ისეთ ადგილს, სადაც რვაკილომეტრიან რადიუსში არ იქნება ჩეჩმა? სოფლებში ეს გამორიცხულია და, თუ თაფლის მასობრივი წარმოება გვინდა, მაშინ საქართველოს მასშტაბით საკანალიზაციო სისტემა უნდა გავაკეთოთ, რაც ასევე წარმოუდგენელია.

ახლა, ამ პირობებში **ხილის გადამამუშავებელმა კომპანია „კავკასუს ორგანიკ ფრუტსმა“ ოფიციალურად გამოაცხადა, რომ მოულოდნელად, პანდემიისა და ჩაკეტილი საზღვრების პირობებში, 15 ტონამდე ხილის ჩირი რუსეთში გაიტანა. რაც მთავარია, გაიტანა დაუფასოებლად, ანუ რუსეთმა მიიღო ისეთი, როგორიც გვაქვს და ახლა თურმე მოლაპარაკებები მიმდინარეობს ჩეხეთსა და ჰოლანდიასთან, თუმცა მათ შეფუთული სურთ და ქარხანა შესაბამის დანადგარებს ელოდება.**

სად იყიდება ჩვენი ღვინის უდიდესი ნაწილი? — რუსეთში. სად მიდის მინერალური წყლების უდიდესი ნაწილი? — რუსეთში და, ზოგადად, ჩვენ მიერ წარმოებული პროდუქტის 70%-ზე მეტს რომელი ბაზარი ითვისებს? — რუსეთი და ხომ იცით, ეს რომელი რუსეთია, პირველ მტრად რომ გვყავს გამოცხადებული...



**თუ შარშან, მაგალითად, ამერიკაში საქართველოდან 466 056 ბოთლი ღვინო გაიყიდა, რუსეთში ექსპორტი — 53 682 627 ბოთლი იყო, ანუ ზუსტად 115-ჯერ მეტი. ეს არის ის ციფრები, რომლებსაც საქსტატი აქვეყნებს. ანალოგიური მდგომარეობაა წყალზე, ხილსა და სხვა პროდუქტებზე. ეს ყველაფერი იმ პირობებში, როცა დასავლელი ელჩები გვმოძღვრავენ, როგორ ვაკეთოთ ბიზნესი საქართველოში**

არ ვაპირებთ ახლა იმის პროპაგანდას, რომ მეზობელ სახელმწიფოს უნდა მოვეფეროთ და თავზე ხელი გადავუსვათ. არა, **არავის არ უნდა ვეფეროთ, არც თავზე ვუსვათ ხელი და, რაც მთავარია, არავის დავემონოთ, ყველასთან საქმიანი ურთიერთობა უნდა გვქონდეს და ორმხრივი ინტერესების საფუძველზე ვიმოქმედოთ. ახლა ის გვითხარით, სად ჩანს დასავლეთთან ურთიერთობაში ორმხრივი ინტერესი და რაში გამოიხატება რუსეთის ინტერესი, ჩვენი პროდუქტი გაასალოს?!** ჩვენში ვინმე გაუბედავს ევროპასა და ამერიკას მაღალი ტრიბუნიდან იმის თქმას, კეთილი ინებეთ და ჩვენი პროდუქცია თქვენს ბაზარზე დაუშვით, ნუ გვჩაგრავთო? სამაგიეროდ, საკმარისია, ერთი მანქანაც კი არ გაატარონ ლარსზე გაფუჭებული პროდუქტის ან სხვა მიზეზის გამო, რომ მაშინვე რიგი დგება მიკროფონებთან მეზობლის საკრიტიკოდ, აქაოდა, ჩვენი პროდუქცია არ მოსწონსო და მერე რა, რომ პროდუქციის 70%-ზე მეტი სწორედ იქ საღდება და რეალურად, ერთი და ორი ტრაილერი ვერაფერს წყვეტს.

უბრალოდ, **წარმოვიდგინოთ, რა მოხდება, თუ იმის გამო, რომ დასავლეთის მიერ რუსეთისთვის დაწესებულ სანქციებს მხარს დავუჭერთ, ჩრდილოელი მეზობელი საზღვარს საგულდაგულოდ ჩაგვიკეტავს და ნებისმიერი ქართული პროდუქციის მიღებაზე უარს იტყვის. დაახლოებით მილიარდი დოლარის პროდუქცია შეგვრჩება ხელში და, სულ რომ უფასოდ დაარიგონ გლეხებმა, ფიზიკურად ვერ ავითვისებთ ვერც ღვინოს, ვერც ხილს და ვერც მინერალურ წყლებს. ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, რომ დასავლეთის სურვილი და ოცნებაც ეს არის — რუსული ბაზრიდან გამოგვაძევონ და მთლიანად მათზე ვიყოთ ჩამოკიდებულ-დამოკიდებული.**

შესადარებლად გეტყვით, რომ, **თუ გასულ წელს, მაგალითად, ამერიკაში საქართველოდან 466 056 ბოთლი ღვინო გაიყიდა, რუსეთში ექსპორტი 53 682 627 ბოთლი იყო, ანუ ზუსტად 115-ჯერ მეტი. ეს არის ის ციფრები, რომლებსაც საქსტატი აქვეყნებს. ანალოგიური მდგომარეობაა წყალზე, ხილსა და სხვა პროდუქტებზე. ეს ყველაფერი იმ პირობებში, როცა დასავლელი ელჩები გვმოძღვრავენ, როგორ ვაკეთოთ ბიზნესი საქართველოში** კარგად, როგორ უნდა გავატაროთ რეფორმები (ჩვენთვის მავნებლური) ისე, რომ კმაყოფილი ვიყოთ (უფრო სწორად, თვითონ იყვნენ კმაყოფილი; აქედან სარგებელს თვითონ ნახავენ, ჩვენ კი... ჩვენ შეგვაქებენ და გაგვიხარდება); აქცენტს აკეთებენ იმაზე, რომ საქართველოს ხელისუფლება მათ რჩევებს ყურად იღებს და ამტკიცებს, რომ კარგი რეფორმატორია. რა თქმა უნდა, კარგია, როცა კარგი რეფორმატორის სახელი გაქვს, მაგრამ ცუდია, როცა ამ რეფორმების სიკეთე მარტო მათი რეკომენდატორებისთვისაა და შენი მოსახლეობის უმრავლესობა ამას ვერ გრძნობს.

არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მსოფლიოს ძალიან რთული პერიოდი ელოდება. ყველა ამბობს, რომ **პოსტპანდემიური ეტაპი უმძიმესი გადასატანი იქნება მსოფლიოს უძლიერესი ქვეყნებისთვისაც კი და, რაც მთავარია, ეს არ ნიშნავს, რომ პანდემია დავამარცხეთ ან მისი გავრცელების საფრთხე აღარ არსებობს.** შესაბამისად, ყველა სახელმწიფო თვითგადარჩენის ინსტინქტზეა გადასული და საერთოდ არ აინტერესებს, რა ხდება ირგვლივ. ამის ნათელი მაგალითია ბოდიშები, ევროპული ქვეყნების ლიდერებმა იტალიელ კოლეგას რომ მოუხადეს, აქაოდა, ვერ დაგეხმარეთ, ჩვენი გვიჭირდაო. **სადაც იტალიას არ დაეხმარნენ და ერთი ბოდიშით გამოძვრნენ, წარმოგიდგენიათ, რა მოხდება საქართველოს შემთხვევაში? ამიტომ ქვეყანამ ახლა მხოლოდ საკუთარ თავზე უნდა იფიქროს და, როგორც აღვნიშნეთ, არავის არ უნდა ეფეროს, არც არავის ემონოს, უბრალოდ, იმოქმედოს ისე, როგორც,** უწინარესად, მოსახლეობას წაადგება და მხოლოდ მერე — დანარჩენ მსოფლიოს. სწორედ ასეთ ქმედებაზეა გადასული ყველა და მხოლოდ დასავლეთის ქების იმედად ნუ ვიქნებით. დავამტკიცოთ, რომ, კარგ რეფორმატორობასთან ერთად, პატრიოტებიც ვართ — ქვეყნისა და ერის პატრიოტები. არ უნდა იყოს ეს ორი რამ რთული.

**ბესო ბარბაქაძე**

„იცით, რა შეიძლება ჩაითვალოს ძალადობად? მაგალითად, ის, რომ მშობელმა მოზარდ შვილს ალკოჰოლის ან თამბაქოს მოხმარება აუკრძალოს, არ გაუშვას ღამის ბარში, შენიშვნა მისცეს გარეგნული იერის გამო (ჩაცმულობა, ვარცხნილობა, ტატუები...), გააკონტროლოს მისი პირადი სივრცე და ა.შ. აი, ამ პრაქტიკას ნერგავენ აქაც და ამაზეა ეს კანონი გათვლილი.

SOS
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საქართველოს პარლამენტის მიერ თავის დროზე ხმათა უმრავლესობით მიღებული „ბავშვის უფლებათა კოდექსი“ 1 ივნისს ოფიციალურად ამოქმედდა. ცვლილება, რომელიც კანონმდებლებმა გასული წლის 20 სექტემბერს მესამე მოსმენით (85 ხმით ერთის წინააღმდეგ) დაამტკიცეს, ძალაშია. მეტიც, „კანონთან“ ერთად ამოქმედდა და უკვე უფლებამოსილებას ახორციელებენ შესაბამისი სამსახურებიც, რომლებიც, ძირითადად, უცხოეთიდან დაფინანსებული მესამე სექტორით დაკომპლექტდა და თითოეული რეგიონის, მუნიციპალიტეტისა თუ სოფლის დონეზე 24-საათიან მონიტორინგს უწევს „ბავშვის უფლებებს“. მზად არის ომბუდსმენის აპარატიც და მასთან არსებული სპეციალური ჯგუფებიც. ამ პროცესზე საერთო ზედამხედველობას გაეროს ბავშვთა ფონდი ახორციელებს.**

# ანტიქართული, ანტისახელმწიფოებრივი გეგმის ერთ-ერთი ნაწილი, სახელად «ბავშვის უფლებათა კოდექსი»



## ლევან ჩაჩუა:

# ქართველი ერი ფესვებმოწყვეტილ, მდაბალ ვნებებს დამონებულ ალვირახსნილ მასად უნდათ, რომ აქციონ

**«ამ კანონით მოზარდობისა და გარდატეხის ასაკში მყოფ შვილებს უპირისპირებენ მშობლებს და კანონით წაქეზებულებს «ათავისუფლებენ» ოჯახის ტრადიციულ-კულტურული ზეგავლენისგან, რომელიც ახალგაზრდობის ლიბერალური ზომბირების მთავარ შემაკავებელ ფაქტორს წარმოადგენს. მარტივად რომ ვთქვათ, ეს არის გეგმა, როგორ და რა ფორმით უნდა დააკისრონ სისხლისსამართლებრივი პასუხისგება მშობლებს, რომლებიც შეეცდებიან, შვილებისთვის ლიბერასტული იდეოლოგიური ზეგავლენის თავსმოხვევას შეეწინააღმდეგონ»**

საპარლამენტო უმრავლესობაში აღინიშნა, რომ ეს კანონი ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი ნაბიჯია. ადამიანის უფლებათა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე **სოფიო კილაძემ** კანონს აუცილებელი ცვლილება უწოდა და დასძინა, რომ მისი ძალაში შესვლა მალე დაეტყობა ქვეყანას...

**შეგახსენებთ:** ბავშვის უფლებათა კოდექსი, რომელსაც წინ უძღოდა გაეროს ბავშვთა ფონდის ვრცელი ანგარიში, რომ დღეს თურმე საქართველოში მშობლების 80-90% (განსაკუთრებით მამები გოგონების მიმართ) აღზრდის ავტორიტარულ სტილს მიმართავს, პარლამენტმა მოსახლეობის უმრავლესობის ნების საწინააღმდეგოდ, მრავალათასიანი საპროტესტო აქციების ფონზე მიიღო. დეპუტატებმა კი ამ კანონს დემოკრატიის ტრიუმფი და გამარჯვება უწოდეს.

**როგორ დაეტყობა ქვეყანას ამ კანონის ამოქმედება და რა ზემოქმედება შეიძლება განხორციელდეს ტრადიციულ ოჯახებზე, „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება „ქართული იდეის“ თავმჯდომარე ლევან ჩაჩუა.**

**— ბატონო ლევან, 1 ივნისიდან „ბავშვის უფლებათა კოდექსი“ ოფიციალურად ამოქმედდა, მაგრამ მედიაში ამაზე გასაგები მიზეზების გამო ყურადღება არ მახვილდება. ხელისუფლებაში მოკლედ განმარტეს, რომ ეს ცვლილება ქვეყნის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი ნაბიჯია... როგორ ფიქრობთ, რას მოიტანს ეს კანონი, რა შეიცვლება უახლოეს მომავალში?**

— მოკლედ ვიტყვი იმას, რაც ადრეც არაერთხელ მითქვამს: ეს არის თავის დროზე გააზრებულად და მიზანმიმართულად შემუშავებული ანტიქართული, ანტისახელმწიფოებრივი გეგმის ერთ-ერთი ნაწილი, რომელსაც პოლიტიკურმა მოძალადეებმა კანონი დაარქვეს. ტრაგიკომიზმი ამ პროცესში იყო ის, რომ კანონი მიიღეს დემოკრატიის სახელით მოსახლეობის უმრავლესობის ნების საწინააღმდეგოდ. გახსოვთ, ალბათ, მაშინ, **როცა პარლამენტში კენჭისყრა მიდიოდა, გარეთ იმართებოდა მრავალათასიანი მიტინგი, მაგრამ ხელისუფლებისთვის ამას ხელი არ შეუშლია, იმიტომ, რომ მათთვის გაეროს ბავშვთა ფონდის ანგარიში უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, ვიდრე ხალხის აზრი.** კანონის მიღებას წინ უსწრებდა გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ გამოქვეყნებული ვრცელი კვლევა, რომელშიც ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ მშობლები გაგებით უნდა მოეკიდონ მოზარდი შვილების ნებისმიერ ქცევასა თუ გატაცებას; მათ შორის, გარეგნობის უჩვეულოდ შეცვლას, სასიყვარულო ურთიერთობებს, თამბაქოს, ალკოჰოლის, ე.წ. მსუბუქი ნარკოტიკული საშუალებების მოხმარებას და ა.შ.

**ამ კანონით მოზარდობისა და გარდატეხის ასაკში მყოფ შვილებს უპირისპირებენ მშობლებს და კანონით წაქეზებულებს „ათავისუფლებენ“ ოჯახის ტრადიციულ-კულტურული ზეგავლენისგან, რომელიც ახალგაზრდობის ლიბერალური ზომბირების მთავარ შემაკავებელ ფაქტორს წარმოადგენს.** მარტივად რომ ვთქვათ, **ეს არის გეგმა, როგორ და რა ფორმით უნდა დააკისრონ სისხლისსამართლებრივი პასუხისგება მშობლებს, რომლებიც შეეცდებიან, შვილებისთვის ლიბერასტული იდეოლოგიური ზეგავლენის თავსმოხვევას შეეწინააღმდეგონ. ხელისუფლებამ და მართულმა მედიამ წარმატებით მოახერხეს, საზოგადოებისთვის დაევიწყებინათ მსგავსი თემები ე.წ. გავრილოვის პროვოკაციით და შემდეგ — კორონავირუსით,** რომლებითაც საერთოდ გადაფარეს ყველა ძირითადი პრობლემური საკითხი. **ხელისუფლებისა და კოაბიტირებული ოპოზიციის ე.წ. ლიბერალური მედია ყველანაირად ცდილობს, საზოგადოებას ეპიდემიის გარდა სხვა საკითხზე ფიქრის საშუალება არ მისცეს. მუდმივად ვხედავთ პოლიტიკური კინკლაობის სპექტაკლს ორ ძალას შორის, რომელსაც ყველამ ვიცით, რომ ერთი რეჟისორი ჰყავს.** ყველაფერი გათვლილია იმაზე, რომ ადამიანებმა რეალური პრობლემების დანახვა ველარ მოახერხონ. არადა, ძალიან მალე სავალალო რეალობის წინაშე დავდგებით, რომელსაც თითოეული ოჯახი და მშობელი იგრძნობს.

**— უფრო კონკრეტულად ვისაუბროთ, რა ფორმით შეეხება ეს კანონი ოჯახებს? რა იქნება მისი ყველაზე ხილული და თვალშისაცემი უარყოფითი მხარე, რომელსაც ჩვეულებრივი ქართული, ტრადიციული ოჯახი პირისპირ შეეჯახება?**

— თვით დასავლური, განსაკუთრებით ევროპული პრაქტიკაა ამის ნათელი დასტური. დღევანდელ **გერმანიაში, ჰოლანდიაში, შვედეთში** (უკვე **რუსეთშიც** დაიწყეს) ყოველწლიურად სოციალურ მუშაკებს ათასობით ბავშვს ართმევენ ოჯახებს იმის გამო, რომ მათზე თურმე მშობლები ძალადობენ; და **იცით, რა შეიძლება ჩაითვალოს ძალადობად? მაგალითად, ის, რომ მშობელმა მოზარდ შვილს ალკოჰოლის ან თამბაქოს მოხმარება აუკრძალოს, არ გაუშვას ღამის ბარში, შენიშვნა მისცეს გარეგნული იერის გამო (ჩაცმულობა, ვარცხნილობა, ტატუები...), გააკონტროლოს მისი პირადი სივრცე და ა.შ. აი, ამ პრაქტიკას ნერგავენ აქაც და ამაზეა ეს კანონი გათვლილი.**

**ჩვენ მივიღებთ თანამედროვე პავლიკ მოროზოვების'თაობას. სახელმწიფოსგან სრული „თავისუფლებით“'(სინამდვილეში ალვირახსნილობით) წაქეზებული ასობით ბავშვი ელემენტარული შეზღუდვის გამოც კი დაასმენს და „სამართლებრივ“ პასუხისგებაში მიაცემინებს თავის მშობლებს.** ეს არ არის ვინმეს ფანტაზიის ნაყოფი და თქვენ ნახავთ ამ კანონის ამოქმედებიდან რამდენიმე თვეში უმძიმესი სტატისტიკა გვექნება, ისეთივე, როგორიც ქვეყანამ ე.წ. ოჯახური ძალადობის შესახებ კანონის ამოქმედებიდან უმოკლეს დროში მიიღო, როცა ციხეები გადავსებულია ცოლების მიერ აბსურდული მიზეზებით დასმენილი ქმრებით. ყველაზე მეტი გამამტყუნებელი განაჩენი სასამართლო სისტემას სწორედ ე.წ. ოჯახურ ძალადობაში ბრალდებულების მიმართ გამოაქვს. **ცოლთან თუ ოჯახის სხვა წევრთან ელემენტარული შელაპარაკების ან ხმის აწევის გამოც კი უკვე მრავალი ადამიანი გამოკეტეს ციხეში.** აქ არ არის საუბარი ცალკეულ შემთხვევაზე, როცა ლოთმა ან ნარკომანმა ცოლი სცემა, დაასახიჩრა ან მოკლა. ასეთი ქმედება კანონით ისედაც ისჯება და სულაც არ არის საჭირო ოჯახის დამანგრეველი კანონის გამოყენება. **ოჯახის გარეთ რომ ჩაიდინოს ვინმემ ძალადობა, პასუხს არ აგებს?! მაგრამ აშკარაა, რომ ყველანაირად ხელს უწყობენ და აქეზებენ ცოლის მიერ ქმრის, დის მიერ ძმის, შვილის მიერ მშობლის დასმენას ელემენტარული ოჯახური უთანხმოებისას. როგორ ფიქრობთ, ციხიდან გამოსული ქმარი (მამა) დაუბრკოლებლად შეძლებს იმ ოჯახში დაბრუნებას და ჩვეულებრივ ცხოვრებას, საიდანაც ციხეში გაამწესეს? ეს კანონი ხომ პირდაპირ ოჯახების დანგრევისა და განადგურებისკენაა მიმართული?!** ან როგორ შეძლებს სრულფასოვან განვითარებას მოზარდი, რომელმაც საკუთარ მამას, დედას ან დედმამიშვილს პოლიციაში უჩივლა და ციხეში გაამწესებინა?! **ხვდებით, რა საზოგადოებას აშენებს ჩვენი დემოკრატიული ხელისუფლება?!** ოჯახების დანგრევის ხელშეწყობითა და მოზარდების გათავხედებით ქართველი ერი ფესვებმოწყვეტილ, მდაბალ ვნებებს დამონებულ ალვირახსნილ მასად უნდა აქციონ. ასეთი ნახირის მართვას მერე რაღა შეუშლის ხელს?! სწორედ ამიტომ მიმდინარეობს მიზანმიმართული შეტევა ეკლესიისა და ოჯახის, როგორც ძლიერი საზოგადოების ქვაკუთხედის, წინააღმდეგ.

**— ხელისუფლების წარმომადგენლები, მათ შორის პარლამენტის ადამიანის უფლებათა კომიტეტის თავმჯდომარე, ქალბატონი სოფიო კილაძე და სხვები დემაგოგიას უწოდებენ განცხადებებს, რომ ეს კანონი ოჯახების დანგრევისკენ, ტრადიციული ქართული ღირებულებების მოშლისკენ მიმართული ნაბიჯია. რას უპასუხებთ მათ?**

— ეს კანონი ე.წ. სოციალურ მუშაკს უფლებას აძლევს, ოჯახს ბავშვი წაართვას არა მხოლოდ „ძალადობის“ შემთხვევაში, არამედ „არადამაკმაყოფილებელი სოციალური“ მდგომარეობის მოტივითაც. ვთქვათ, რომელიმე ოჯახის შემთხვევაში „სოცმუშაკი“ ჩათვლის, რომ მშობლებს არ აქვთ ბავშვის გასაზრდელად სრულფასოვანი პირობები, მას, უბრალოდ, შვილს წაართმევენ. ახლა წარმოიდგინეთ, რა ხდება: **მოდის დატრენინგებული სოცაგენტი, რომელიც სახელმწიფოს წარმოადგენს, ათვალიერებს სახლს და გეუბნებათ, რომ თქვენ არ გაქვთ სათანადო სოციალური პირობები ბავშვის ნორმალურად გასაზრდელად... ამის შემდეგ საქმეში ერთვება სახელმწიფო ძალადობრივი მანქანა, ბავშვს (ბავშვებს) იძულებით ჩამოართმევენ ოჯახს და გადასცემენ სპეციალურ სახელმწიფო პროგრამაში ჩართულ რომელიმე ოჯახს, რომელსაც ბავშვისთვის აუცილებელი თანხა ჩაერიცხება.**

თუ სახელმწიფოს აქვს საშუალება და აფინანსებს ამ პროგრამაში ჩართულ ოჯახებს, მაშინ პირდაპირ მშობლებს დაეხმაროს, რომ ბავშვებს თავის ოჯახურ გარემოში, მშობლებსა და და-ძმებთან ერთად ჰქონდეთ უზრუნველყოფილი სოციალური გარემო, რაღა პოლიციის ძალით უნდა დააშორონ შვილები მშობლებს და მისცენ სხვას?! **ოჯახები, რომლებიც დაფინანსების გამო არიან ჩართულნი ასეთ პროგრამაში, განა მშობლებზე უკეთ შეძლებენ ბავშვების აღზრდას და შეუქმნიან იმ მზრუნველ და სიყვარულით სავსე აუცილებელ გარემოს, რომელიც ასე სჭირდება ბავშვის ფაქიზ ფსიქიკას?! რა თქმა უნდა — არა!**

**— გამოსავალს ხედავთ? როგორ და რა ფორმით შეიძლება, საზოგადოებამ დაიცვას თავისი ინტერსები?**

— არსებობს ერთადერთი გამოსავალი: ვისთვისაც ეკლესია და ოჯახი ძვირფასია, უნდა გაერთიანდეს! მხოლოდ ქრისტეში ერთობით შეკავშირებული ერი შეძლებს ბავშვთა გამრყვნელი კოდექსის გაუქმებას; ე.წ. ანტიდისკრიმინაციული კანონის, მიწების უცხოელებისთვის მიყიდვის, ნარკოტიკების ლეგალიზაციისა და სხვა თავსმოხვეული ლიბერალური დღის წესრიგის შეცვლას. როცა ერთიანობაზე ვსაუბრობ, ვგულისხმობ რეალურ ქმედით ერთობას და არა იმას, რომ იდეოლოგიურად ყველა ერთ აზრზე ვიყოთ და მხოლოდ სოციალურ ქსელში ვამტკიცოთ ეკლესიის ერთგულება და სამშობლოს სიყვარული. სულ უფრო ხშირად გაისმის გაცვეთილი ფრაზა: „ლიდერი გვინდა, ლიდერი, რომელიც გამოგვიხსნის!“. მონას და მხოლოდ მონას ეჩვენება, რომ სხვა გააკეთებს მის გასაკეთებელს და თვითონაც ეშველება...

ასე, რომ ყველაფერი ჩვენს ძალისხმევასა და შემართებაზეა დამოკიდებული.

პავლე მოციქული მოგვიწოდებს: „ნუ მცონარე ხართ; სულითა მდუღარე იყვენით“ — *რომ.(12,11).*

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

თვალსაზრისი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„რუსეთის შემთხვევაში მოცემულობა არის ის, რომ მისი აგრესია ნებისმიერი სახელმწიფოსადმი იზრდება მის მიმართ ამ სახელმწიფოების ტერიტორიებიდან მომდინარე საფრთხეების შესაბამისად. იყო გარკვეული საფრთხეები ბალტიისპირეთიდან, იყო შესაბამისი რეაგირება, იყო საფრთხეები უკრაინიდან, არც იქ დააყოვნეს... ჩვენ უნდა გვესმოდეს, რომ, სანამ საქართველოს, თუნდაც რიტორიკის დონეზე, რომელიმე პოლიტიკური ვექტორი კრემლის წინააღმდეგ გამოიყენებს, აქ მშვიდობა არ იქნება. დიახ, მუდმივად ვიქნებით აგრესიის საფრთხის ქვეშ და ამით არავინ დაზარალდება ჩვენ გარდა“.**



# გურამ ნიკოლაიშვილი: ამ სისტემის პირობებში მარიონეტს ყოველთვის შეცვლის მარიონეტი, ერთი წავა, სხვა მოვა, არსებითად არაფერი არ შეიცვლება...

**საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე არჩილ თალაკვაძემ რამდენიმე დღის წინათ ტელეკომპანია „იმედის“ პირდაპირ ეთერში ოფიციალური მოსკოვის მხრიდან ლუგარის ლაბორატორიის შესახებ გაკეთებულ განცხადებაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ ამ განცხადების მიღმა მკაცრი საოკუპაციო პოლიტიკის შორს მიმავალი გეგმები დგას. მისი თქმით, კრემლის მიზანი დღეს არა მხოლოდ ლაბორატორიაში შესვლა, არამედ ყველა იმ სფეროში შეღწევაა, რომლებზეც საქართველოს წარმატება დგას: „დღეს საქართველოს წარმატება ყველაზე მეტად დგას ჯანდაცვის სისტემაზე და ლუგარი არის საქართველოს ჯანდაცვის ნაწილი. რუსეთი მხოლოდ ლუგარის ლაბორატორიას კი არ ესხმის თავს და მხოლოდ იქ კი არ უნდა შესვლა, რუსეთს უნდა შესვლა საქართველოს ევროატლანტიკურ დღის წესრიგში, უნდა შესვლა და ჩარევა საქართველოს დემოკრატიაში, რუსეთს უნდა შესვლა საქართველოს ტერიტორიული კონფლიქტების მოგვარებაში...“**

თუმცა, თალაკვაძის შეფასებით, კრემლის მიზანი დღეს არა მხოლოდ ქვეყნის საგარეო-პოლიტიკური კურსის შეცვლა, არამედ საქართველოს დემოკრატიულ არჩევნებში ჩარევაცაა, ამის რეალური ნიშნებიც ჩანს. მეტიც, თალაკვაძის განმარტებით, მოსკოვს ამის განხორციელება ადრეც სურდა და მომავალშიც ყველა გზით შეეცდება, რაზეც „ქართული ოცნების“ პასუხი ცივილიზებულ სამყაროსთან უფრო მჭიდრო თანამშრომლობა და დემოკრატიის გაღრმავება იქნება.

**ცნობისთვის:** საქართველოში ხელისუფლების შეცვლის შემდეგ ოფიციალურმა მოსკოვმა თბილისთან პირდაპირი დიალოგის სურვილი რამდენჯერმე გამოთქვა, რასაც პოლიტიკურ სპექტრში არაერთგვაროვანი შეფასებები მოჰყვა. პირველი განცხადება 2014 წელს, სოჭის ოლიმპიადის მიმდინარეობისას ვლადიმერ პუტინმა გააკეთა, პასუხად კი საქართველოს ხელისუფლებამ განაცხადა, რომ საერთაშორისო საზოგადოების აქტიური ჩართულობის გარეშე დიალოგი ვერ შედგებოდა...

**კრემლის მხრიდან საქართველოს „დემოკრატიულ არჩევნებში“ რა სახის ჩარევაზე საუბრობს დღეს პარლამენტის თავმჯდომარე და რას შეიძლება ის გულისხმობდეს ქვეყანაში „პრორუსული ძალების“ გაძლიერების არდაშვებაში? საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება გენერალ-ლეიტენანტი გურამ ნიკოლაიშვილი.**

**— ბატონო გურამ, პარლამენტის თავმჯდომარე არჩილ თალაკვაძემ განაცხადა, რომ რუსეთის მიზანი დღეს არა მხოლოდ საქართველოს ევროატლანტიკური კურსის შეცვლა, არამედ ქვეყნის დემოკრატიულ არჩევნებში ჩარევაცაა. მისი თქმით, მოსკოვს ამის გაკეთება ადრეც უნდოდა, ამიტომ ფრთხილად უნდა ვიყოთ. არსებობს თუ არა დღეს წინაპირობა იმისა, რომ კრემლმა მართლა სცადოს ჩარევა ჩვენს საპარლამენტო არჩევნებში?**

— ყოველთვის, როცა მსგავს განცხადებებს ვისმენ, მრჩება შთაბეჭდილება, რომ უმაღლესი ხელისუფლების წარმომადგენელი კი არა, ლაპარაკობს რიგითი სამოქალაქო პირი, რომლის სიტყვებსაც არანაირი პოლიტიკური ფასი და დატვირთვა არ აქვს. ამას ირონიით არ ვამბობ, პირიქით, გულდაწყვეტით გეუბნებით, იმიტომ, რომ მართლა **გული მწყდება, როცა ვხედავ, რომ სახელმწიფოს ბედი დამოკიდებულია პოლიტიკურ მდგომარეობაში აბსოლუტურად გაუთვითცნობიერებელ ადამიანებზე, რომლებიც ხანდახან სიტყვების მნიშვნელობასაც არ უკვირდებიან.** რაც შეეხება კონკრეტულ განცხადებას, თუ რამე რეალური წინაპირობა და საფუძველი არსებობს იმის, რასაც ბატონი თალაკვაძე ამბობს, არჩევნებზე ზემოქმედებას ვგულისხმობ, მაშინ უნდა თქვას, რომ აი, ეს პარტია ან რაღაც პოლიტიკური ბირთვი არის კრემლიდან მართული დესტრუქციული ძალა და მისგან მოსალოდნელია ეს და ეს.

ყველამ ვიცით, რომ მსგავსი ძალა დღეს საქართველოში არ არსებობს და ვერც იარსებებს, იმიტომ, რომ, ჯერ ერთი, კრემლი საერთოდ არ არის აქ პროცესებში ჩარევით დაინტერესებული და მეორე — დღევანდელი ჩვენი პოლიტიკური სპექტრი არის მოჯადოებული წრე, რომელსაც აკონტროლებს თეთრი სახლი და მისი გარღვევა ამ ეტაპზე წარმოუდგენელია.

**— მაშინ რას ემსახურება ეს განცხადება?**

— ვფიქრობ, ეს არის აპრობირებული მეთოდი, რომ არჩევნებამდე წინმსწრებად მოხდეს ერთგვარი პოლიტიკური სტიგმის დამკვიდრება ყველა სუბიექტისადმი, რომლის ერთ-ერთი გზავნილიც ამომრჩევლის მიმართ რუსეთთან დიალოგის აუცილებლობა იყოს. ამით ხდება ერთგვარი ნიადაგის შემზადება იმისთვის, რომ ვთქვათ, თუ რომელიმე პარტია ან ცალკეული პოლიტიკური ფიგურა იტყვის, კრემლთან დიალოგი აუცილებელიაო, მაშინვე მისი დისკრედიტირება დაიწყოს. ეს ძველი ამბავია.

რაც შეეხება იმას, რომ რუსეთს სურს საქართველოს ევროატლანტიკურ დღის წესრიგში ჩარევა და რაღაც ბარიერების შექმნა, მგონი, **ერთი რამ ვერ გაიგო პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ, რომ აღარ არის მომგებიანი, არც საშინაო მოხმარების თვალსაზრისით და საერთაშორისო დონეზე ხომ, საერთოდ, ევროატლანტიკური პერსპექტივებით მანიპულირება. აღარ არის ეს თემა საინტერესო, იმიტომ, რომ ნატო, როგორც დაშლის პირას მყოფი უფუნქციო ორგანიზაცია, არავის აღარ აინტერესებს.** როდის გაიგეთ ბოლოს, სტოლტენბერგს, ალიანსის გენერალურ მდივანს, რამე განცხადება გაეკეთებინოს?! **ყველა ლაპარაკობს იმაზე, რომ შიდა წარმოება უნდა განავითარონ, მოახდინონ მრეწველობის ნაციონალიზაცია და ა.შ. ის კი არა, ტრამპმა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციას შეუწყვიტა დაფინანსება, მერე კი საერთოდ გაწყვიტა მასთან კავშირი და ისე მიიღო ეს გადაწყვეტილება, რომ ევროპელი ლიდერების მოწოდებები ყურადაც არ იღო. ან, საერთოდ, რომელ ნატოსა და მასში ინტეგრირების სიკეთეებზეა საუბარი, როცა ნატოს წევრი იტალია ფეხებზე დაიკიდეს?! წარმოიდგინეთ, ყოველდღიურად უკვდებოდათ ასობით მოქალაქე და დახმარება იყო ნული.** საქართველოსთვის არის ეს ორგანიზაცია საიმედო?! ახლა ვიღაც იტყვის, რომ ასე მარტივადაც არ არის საქმე, ვაშინგტონს საქართველო სტრატეგიულად სჭირდებაო... სჭირდება არ ნიშნავს, რომ შენთვის სასარგებლო ნაბიჯებს გადადგამს. ვჭირდებოდით 2008-შიც, როცა შუბლით შეგვაჯახეს რუსეთს და, მერე რაც დაგვემართა, ყველამ ვნახეთ... ისე, **ბატონი თალაკვაძე სინდისმა ცოტათი მაინც უნდა შეაწუხოს, როცა ქართულ დემოკრატიაზე ამბობს, რუსეთს მისი ხელყოფა უნდაო. რუსეთს, რა თქმა უნდა, საკუთარი ინტერესები აქვს, როგორც ყველა ზესახელმწიფოს, მაგრამ ქართული დემოკრატიის ხელყოფის ტრიუმფი ჩვენ ვნახეთ ამ დღეებში, როცა ამერიკელმა კონგრესმენებმა ევროპელ მაღალჩინოსნებთან შეხმატკბილებულად თითი დაუქნიეს „ოცნებას“ და სანქციების დაწესების მუქარით ორი დამნაშავე — ოქრუაშვილი და უგულავა — პოლიტპატიმრის სტატუსით გამოაშვებინეს ციხიდან. აი, ეს იყო ნამდვილი ჩარევა დემოკრატიაშიც და ყველაფერში, რაზეც დგას სახელმწიფო**, თორემ რუსეთს რომ საქართველოში და არა მხოლოდ საქართველოში, მთელს პოსტსაბჭოთა სივრცეში საკუთარი ინტერესები აქვს, არც ახალია და არც გასაკვირი... ისე, ხშირად ხელოვნურად ხდება რუსულ საფრთხეებზე აპელირება, მერე ტეხენ ამაზე განგაშს, ამზადებენ ანგარიშებს, რომ თურმე ქვეყანაში არის რუსული პროპაგანდა, რომელიც მოსახლეობას დეზინფორმაციით კვებავს და იღებენ მილიონიან გრანტებს. **შარშან, მაგალითად, მაკეინის ინსტიტუტის წარმომადგენლები ჩამოვიდნენ და კონფერენციები მიუძღვნეს ამ საკითხს; და იცით, რით დამთავრდა ეს ყველაფერი?! 105 მილიონი აშშ დოლარი გამოიყო რუსულ პროპაგანდასთან საბრძოლველად. სად მიდის ეს ფული და ვის ხელშია, ჩვენ ხომ ვიცით... ეს ვითომ ოკუპაციის წინააღმდეგ მებრძოლი „არასამთავრობოები“ ანგარიშს ანგარიშზე რომ წერენ ხელოვნურ და თითიდან გამოწოვილ თემებზე, ხომ ვიცით...** აი, ამას ემსახურება ეს განგაში, თორემ მათ ქვეყნის მომავალი რეალურად რომ აფიქრებდეთ, აგერ მსოფლიო ძირფესვიანად იცვლება, ვინმე ლაპარაკობს იმაზე, როგორ და რანაირად შეიძლება ქვეყანა მოერგოს ახალ დღის წესრიგს?

**— სხვათა შორის, რამდენიმე დღის წინათ სალომე ზურაბიშვილმა განაცხადა ერთ-ერთ გავლენიან დასავლურ გამოცემასთან, რომ პანდემიით გამოწვეული კრიზისის ფონზე რუსეთმა, შესაძლოა, საქართველოს მიმართ აგრესია გაზარდოსო. მან ღია კონფრონტაციის საფრთხეებზეც მიანიშნა...**

— ქალბატონი ზურაბიშვილი ხშირად თუ წაიკითხავს და ღრმად ჩაიხედავს საქართველოს ისტორიაში, მისთვისვე იქნება უკეთესი. ყოველ შემთხვევაში, შეიძლება ასე ხმამაღლა აღარ იფიქროს და ამდენი შეუსაბამო განცხადებები არ აკეთოს... რაც შეეხება აგრესიის საფრთხეს, ნებისმიერი კრიზისი, რა თქმა უნდა, ყოველთვის ზრდის ქვეყნებს შორის ვითარების გამწვავების ალბათობას და ამის არაერთი მაგალითი იცის ისტორიამ, თუნდაც მეორე მსოფლიო ომი, მაგრამ ეს ზოგადი მომენტია. ნებისმიერ კონკრეტულ შემთხვევაში მთავარია, რა ხდება კონკრეტულ გეოპოლიტიკურ არეალში. როგორ იკვეთება დიდი სახელმწიფოების ინტერესები, მათი ფინანსური, სამხედრო და სტრატეგიული ამოცანები. **რუსეთის შემთხვევაში მოცემულობა არის ის, რომ მისი აგრესია ნებისმიერი სახელმწიფოსადმი იზრდება მის მიმართ ამ სახელმწიფოების ტერიტორიებიდან მომდინარე საფრთხეების შესაბამისად. იყო გარკვეული საფრთხეები ბალტიისპირეთიდან, იყო შესაბამისი რეაგირება, იყო საფრთხეები უკრაინიდან, არც იქ დააყოვნეს... ჩვენ უნდა გვესმოდეს, რომ, სანამ საქართველოს, თუნდაც რიტორიკის დონეზე, რომელიმე პოლიტიკური ვექტორი კრემლის წინააღმდეგ გამოიყენებს, აქ მშვიდობა არ იქნება. დიახ, მუდმივად ვიქნებით აგრესიის საფრთხის ქვეშ და ამით არავინ დაზარალდება ჩვენს გარდა. აი, ეს არის ჩვენი რეალობა, ამიტომ ნებისმიერი ხელისუფლება, რომელიც ქვეყანას მუდმივად ამყოფებს განტევების ვაცის როლში, ნებსით თუ უნებლიეთ, ჩვეულებრივი მოღალატეა...**

**— ის, რომ დღეს საქართველო დასავლეთის მიერ იმართება და ხშირად ცდილობენ, რუსეთთან გლობალური გეოპოლიტიკური კინკლაობისთვის გამოგვიყენონ, არახალია. რა პერსპექტივა აქვს ჩვენს ქვეყანას, ამ მავნე პრაქტიკის დასასრულებლად და მეტ-ნაკლებად დამოუკიდებელი პოლიტიკის საწარმოებლად?**

— პანდემიით გამოწვეული კრიზისი და პოსტკრიზისული მოცემულობა ამის გარკვეულ წინაპირობებს ქმნის, თუმცა ერთია ობიექტური რეალობით განპირობებული გარემოებები, რომლებიც ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზებით იქმნება და მეორე — პოლიტიკური ელიტის ფაქტორი, რომელმაც შესაძლებლობები რეალობად უნდა აქციოს. ჩვენ შემთხვევაში, სამწუხაროდ, ხდება ის, რომ მმართველი გუნდი ჩარჩენილია ძველ დღის წესრიგში, ის ვერ აღიქვამს ახალ გამოწვევებს და განაგრძობს წლების წინათ აღებული კურსით სვლას.

რაც შეეხება გამოსავალს, **ვშიშობ, ესენი მავნე პოლიტიკის მოჯადოებული წრიდან ვერ გამოვლენ,** იმიტომ, რომ ამის არც ნება აქვთ და არც რესურსი, ამიტომ არის მნიშვნელოვანი, რომ ყოველთვის, როდესაც ცვლილებებზე ვსაუბრობთ, მხედველობაში მივიღოთ სხვა გუნდი. მე მხედველობაში მაქვს არა ერთი პარტია, არამედ გარკვეული ბირთვი, რომელიც პოლიტიკურ სპექტრში შექმნის ამინდს. სხვანაირად ცვლილებები არ იქნება და არც უნდა გვქონდეს ამის მოლოდინი, იმიტომ, რომ **ამ სისტემის პირობებში მარიონეტს ყოველთვის შეცვლის მარიონეტი. ერთი წავა, სხვა მოვა, არსებითად არაფერი შეიცვლება...**

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

**„ლუგარის ლაბორატორიაში კომისია უნდა შეუშვან, მაგრამ ვიცით, რომ ჩვენი ქვეყანა სუვერენული არ არის და ამიტომ ამერიკის ნებართვის გარეშე ამას ვერ გააკეთებენ, თუმცა უნდა შეეცადონ, როგორმე შეუშვან იქ კომისია. კიდევ ვიმეორებ: ამბობენ, იქ ცუდი არაფერი ხდებაო, ამიტომ უკეთესი იქნება, შესაბამისი კომისია შევიდეს, გამჭვირვალედ ჩატარდეს კვლევა და ყველა დაწყნარდება“.**

ბიო-ლაბორატორია
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «ლუგარის ლაბორატორია მუდმივად იქნება დაპირისპირების თემა, რუსეთ-საქართველოს შორის ურთიერთობის დაძაბულობის გამომწვევი»

**რიჩარდ ლუგარის სახელობის საზოგადოებრივი ჯანდაცვის კვლევითი ცენტრი (ლაბორატორია) საქართველოს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ბაზაზე არსებობს, რომელიც 2011 წელს გაიხსნა და ექსპლუატაციაში 2013 წლის აგვისტოში შევიდა. კვლევითი ცენტრი მდებარეობს თბილისში, კახეთის გზატკეცილზე.**

ლუგარის ლაბორატორია საზოგადოების ყურადღების ცენტრში 2017 წლიდან მოექცა, მას შემდეგ, რაც რუსეთის ხელისუფლების სხვადასხვა ინსტანციის წარმომადგენლებმა მისი საქმიანობა გააკრიტიკეს და დაავადებების გავრცელებაში დაადანაშაულეს.

ამა წლის 22 მაისს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, რომ ლუგარის ლაბორატორიის საქმიანობის გასაცნობად რუს ექსპერტებს შენობის ყველა კორპუსსა და დოკუმენტზე წვდომა უნდა ჰქონდეთ.

„ბიოობიექტის მონახულების მიზანშეწონილობას ვხედავთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იქნება გარანტია, რომ წვდომა გვექნება ყველა ლაბორატორიულ კორპუსზე, მათ შორის, იმ შენობებზე, რომლებშიც ამერიკელი სპეციალისტები არიან, ასევე, ყველა დოკუმენტზე. სწორედ ასეთი ფორმატი მოგვცემს საშუალებას, უზრუნველვყოთ რეალური შემოწმება“, — აღნიშნულია განცხადებაში. რუსული მხარის თქმით, ვიზიტი უნდა განხორციელდეს ორმხრივ საფუძველზე, სხვა ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენელთა მონაწილეობის გარეშე. გარდა ამისა, რუსეთის საგარეო უწყება აღნიშნავს, რომ ელოდება ოფიციალურ პასუხს შესაძლო ვიზიტის ნოტაზე, რომელიც საქართველოში 2019 წლის ივნისში გამოიგზავნა.

ლუგარის ლაბორატორიის საეჭვო საქმიანობაზე ამერიკელებიც საუბრობენ. მაგალითად, 2015 წელს საქართველოში ვიზიტისას ჟურნალისტმა ჯეფრი სილვერმანმა განაცხადა: „ლუგარის ლაბორატორია აეროპორტთან ახლოსაა. ბომბების ჩატვირთვას ან ვირუსების გადატანას სხვადასხვა ობიექტზე იქიდან, სადაც ლუგარის ლაბორატორიაა, დიდი დრო არ დასჭირდება. ნახეთ, რა უეფექტოა აშშ-ის ბრძოლა სირიაში ტერორისტებთან. ერთ-ერთი სცენარით, არაბებს, ტერორისტებს და ა.შ. საშუალებას აძლევენ, ერთმანეთი დახოცონ და მას, ვინც ცოცხალი გადარჩება, აშშ გაანადგურებს ბიოიარაღით“.

ლუგარის ლაბორატორიაზე გვესაუბრებიან საინფორმაციო სააგენტო „პატრიოტის“ დირექტორი გიორგი ირემაძე და კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი თამარ კიკნაძე.



# «რუსეთის სამხრეთ ნაწილში გავრცელებული ვირუსები აშფოთებს ამ ქვეყნის ხელისუფლებას და მას აქვს უფლება, იცოდეს, რა ხდება ლუგარის ლაბორატორიაში»



## „მოსახლეობა თავიდანვე მიხვდა, რომ შენობა იყო საეჭვო და თანაც მშენებლობა მიმდინარეობდა კონსპირაციულად“

**გიორგი ირემაძე, საინფორმაციო სააგენტო „პატრიოტის“ დირექტორი:**

— მოსახლეობის დიდი ნაწილი აეროპორტის დასახლებაში, კერძოდ, ე.წ. ალექსეევკის ტერიტორიაზე, სადაც ლუგარის მთავარი ლაბორატორია მდებარეობს, რაღაცას ეჭვობდა. ადგილობრივები ხედავდნენ, რომ ლაბორატორიიდან კვამლი ამოდიოდა, ამ კვამლს სუნიც ცუდი ჰქონდა და ფერიც. ალექსეევკაში მცხოვრებლებმა, სანამ ჩემამდე მოაღწევდნენ, ყველა ტელევიზიას მიმართეს, გამართეს საპროტესტო აქციებიც, მაგრამ არავინ არ გააშუქა მათი პრობლემა, მხოლოდ ჩვენ დავინტერესდით ამ საკითხით და გავაშუქეთ კიდეც.

**მოსახლეობა თავიდანვე მიხვდა, რომ შენობა საეჭვო იყო, თანაც მშენებლობა კონსპირაციულად მიმდინარეობდა.** თავდაპირველად იქ მუშაობდნენ ქართველები, მაგრამ შემდეგ ყველა გაუშვეს და თურქები ჩამოიყვანეს. ჩვენს სიუჟეტში არის რესპონდენტი, რომელიც ვინაობას არ ასახელებს, მაგრამ საუბრობს მშენებლობაზე. ის ამბობს, რომ საძირკველი ქართველებს ჩააყრევინეს, მაგრამ შემდეგ ყველა ქართველი დაითხოვეს, რადგან შენობა გასაიდუმლოებული უნდა ყოფილიყო — არც ერთი ქართველი არ დატოვეს სამსახურში.

**ის, რაც ალექსეევკელებისგან მოვისმინე, გაამყარა ამერიკელი ჯეფრი სილვერმანის ნათქვამმა, რომლის შინაარსი ასეთია: ლუგარის ლაბორატორიის ასაშენებლად თურქები დაიქირავეს. შენობა აშენდა უხარისხოდ. ის არ აკმაყოფილებს სტანდარტებს, შესაბამისად, სახიფათოა. სილვერმანი, აგრეთვე, ამბობს, რომ ლუგარის ლაბორატორიაში არის კრემატორიუმი, მისი კვამლი გამოდის გარეთ და არის მომწამვლელი, რაც საფრთხის შემცველია და სწორედ ამას ამბობენ ალექსეევკის მცხოვრებნიც.**

აქამდე ჯერ არავის ჩაუტარებია კვლევა იმის შესახებ, თუ რა ხდება სინამდვილეში ლუგარის ლაბორატორიაში.

**— იქნებ ეს ლაბორატორია მართლაც არ არის ცუდი და ჩვენი ხალხი ტყუილად არის პანიკაში?**

— ლუგარის ლაბორატორიები არის უკრაინაში, სომხეთში, ყაზახეთში... ძალიან ბევრი ეჭვი და შეკითხვა ჩნდება ამ ლაბორატორიების გარშემო... ფაქტია, იქ ბიოიარაღი მზადდება პენტაგონისთვის, ამაზე საუბრობს ყველა და გამონაკლისი არც ჩვენ ვიქნებით. შეკითხვები ჩნდება და პასუხს არ იძლევა არავინ — არც ლაბორატორიის ხელმძღვანელობა, არც მთავრობა და არც ისინი, ვინც აღფრთოვანებულნი არიან ლუგარის ლაბორატორიის არსებობით.

**არავინ საუბრობს იმაზე, თუ რატომ არის ეს ბიოლაბორატორია განთავსებული დასახლებულ პუნქტთან ასე ახლოს.** ამერიკამ ამ ლაბორატორიების მშენებლობაში დიდძალი თანხა ჩადო და ააშენა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში: სომხეთში, უკრაინაში, საქართველოში, ყაზახეთში... 350 მილიონი დოლარი დაჯდა საქართველოში ლუგარის ლაბორატორიის აშენება. როგორც წესი, ამერიკელები ამხელა ფულს არ ხარჯავენ, თუ სარგებელი არ აქვთ. ყველა განვითარებულმა ქვეყანამ, არსებული კონვენციის ფარგლებში, ლუგარისა და მისი მსგავსი ლაბორატორიის აშენებაზე უარი განაცხადა.

**ლუგარის ლაბორატორია 2013 წელს ამუშავდა და მას შემდეგ არავინ დაინტერესებულა, რა ხდება იქ, არ ჩამოსულა კომისია, არ გამოუქვეყნებიათ დასკვნა, რომ უსაფრთხოა და მოსახლეობისთვის მავნებელი არ არის; არავის უთქვამს, რომ დაცულია და ვირუსის გაჟონვის შანსი არ არსებობს...**

2018 წლის ნოემბერში რაღაც ორდღიანი შემოწმება ჩატარდა, რომელსაც ფორმალური სახე უფრო ჰქონდა, ვიდრე საფუძვლიანი კვლევის, ამიტომ გასაკვირი არ არის რუსეთის მხრიდან ამ ლაბორატორიით დაინტერესება. მართლაც არის დიდი ეჭვი, რომ აქ ბიოლოგიური იარაღი მზადდება; არის ეჭვი, რომ მწერების გავრცელებაც კი ხდება ხელოვნურად, მაგალითად, ფაროსანასი. ამას ვჩივით არა მხოლოდ ჩვენ, არამედ მეზობელი ქვეყნებიც, მაგალითად, სომხეთი. რუსეთის სამხრეთ ნაწილში გავრცელებული ვირუსები აშფოთებს ამ ქვეყნის ხელისუფლებას და აქვს უფლება, იცოდეს, რა ხდება ლუგარის ლაბორატორიაში.

პრობლემა მყისვე მოგვარდება, თუ ჩვენი ხელისუფლება ლუგარის ლაბორატორიაში კომპეტენტურ კომისიას შეუშვებს. ამით დაწყნარდება მოსახლეობაც, მეზობელიც და ხელისუფლებაც.



## „ლუგარის ლაბორატორიის გარშემო ატეხილი აურზაური საქართველოს კომპეტენციის ფარგლებს გასცდა. ეს ამერიკისა და რუსეთის კონფრონტაციის თემაა“

**თამარ კიკნაძე, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი, პოლიტოლოგი:**

— ლუგარის ლაბორატორია 2017 წელს მოექცა ყურადღების ცენტრში... ამბობდნენ, რომ იქ ცუდი რაღაცები ხდება. კონკრეტულად — რა, არავინ იცის, მაგრამ ყველასთვის საეჭვო ლაბორატორიაა.

ლუგარის ლაბორატორიის გარშემო ატეხილი აურზაური საქართველოს კომპეტენციის ფარგლებს სცილდება და არა მხოლოდ ლუგარის ლაბორატორიის... ასეთი საკითხები გლობალურ ჭრილში განსახილველი საქმეა, ეს ამერიკისა და რუსეთის კონფრონტაციის თემაა. მოგეხსენებათ, **რუსეთი ყველაფერს ეჭვის თვალით უყურებს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც რაღაც ხდება მის საზღვართან, თანაც ამერიკის დაფინანსებით.**

როდესაც ქვეყანაში არსებობს ლუგარისნაირი ლაბორატორია, ფაქტია, რომ რაღაც ფორმით ვირუსებთან შეხება გაქვს. ხშირად შეხვედრაზე ჩემთან ერთად **ამირან გამყრელიძეც** და **პაატა იმნაძეც** ყოფილან, მათ ყოველთვის მწვავე შეკითხვებს უსვამდნენ ლაბორატორიაზე, ისინი ცალმხრივად პასუხობდნენ.

**სამწუხაროდ, არავინ იცის, რა ხდება ლუგარის ლაბორატორიაში, რაც ძალიან ცუდია. ვფიქრობ, აუცილებელია, იქ კომპეტენტური დელეგაცია შევიდეს. ამბობენ, მსგავსი ლაბორატორიები მხოლოდ ე.წ. განვითარებად ქვეყნებში შენდებაო და, თუ ეს მართლა ასეა, მაშინ ბრალი ჩვენი ქვეყნის ხელისუფლებას მიუძღვის,** თუ ყველგან აკრძალულია, საქართველოში რატომ ააშენეს? მართალია, დღეს ამბობენ, რომ ახალი კორონავირუსის წინააღმდეგ ლაბორატორიამ კარგად იმუშავაო, მაგრამ მაინც...

**ლუგარის ლაბორატორია მუდმივად იქნება რუსეთ-საქართველოს შორის ურთიერთობის დაძაბვის გამომწვევი. ჩვენ ისედაც ვართ ცუდ ურთიერთობაში მეზობელთან, ეს მეზობელი დაპირისპირებულია ამერიკასთან და, როცა ამერიკის ფულით აშენებულ საეჭვო ლაბორატორიას ამუშავებ, ცუდია.**

ახლა მთავარია, მართლაც შეუშვან დელეგაცია და გაარკვიონ, რა ხდება შიგნით. კომისიის მუშაობა იყოს გამჭირვალე. როგორც ამირან გამყრელიძე ამბობს, იქ ცუდი არაფერი ხდება და, თუ მართლაც ასეა, რა პრობლემაა კომისიის შეშვება?

**ძველი მსოფლიო წესრიგი წარსულს ჩაბარდა, მიმდინარეობს ახალი გადანაწილება. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ მთელი მსოფლიო შეიძლება სავალუტო ზონებად დაიყოს. ამერიკა ვეღარ აკონტროლებს პროცესებს, შეერთებული შტატების დაღმავლობის პიკია მსოფლიოში. შტატებში ელიტები დაეჯახნენ ერთმანეთს, რაც ყველასთვის ცუდი პროცესია, რადგან 1990-იანი წლებიდან მთელი მსოფლიო დოლარზეა ჩამოკიდებული.**

მსოფლიოში მიმდინარე პროცესებიდან გამომდინარე, საქართველომ რაც შეიძლება ჭკვიანური პოლიტიკა უნდა აწარმოოს, რათა დიდი ქვეყნების დაპირისპირებაში არ გაიჭყლიტოს.

ლუგარის ლაბორატორიაში კი კომისია უნდა შეუშვან, მაგრამ ვიცით, რომ ჩვენი ქვეყანა დამოუკიდებელი და სუვერენული არ არის და ამიტომ ამერიკის ნებართვის გარეშე ამას ვერ გააკეთებენ, თუმცა უნდა შეეცადონ, როგორმე შეუშვან იქ კომისია. კიდევ ვიმეორებ: ამბობენ, იქ ცუდი არაფერი ხდებაო, ამიტომ უკეთესი იქნება, შესაბამისი კომისია შევიდეს, გამჭვირვალედ ჩატარდეს კვლევა და ყველა დაწყნარდება.

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

პროცესების ანალიზი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დასავლეთის სამოცდაათწლიანი გააფთრებული ბრძოლა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, სინამდვილეში, სოციალისტური სისტემის წინააღმდეგ ბრძოლა იყო, ვინაიდან მათ შესანიშნავად იციან, ვის ეკუთვნის მომავალი. დასავლეთის საუკუნოვანი ბრძოლაც, ჯერ ცოცხალი, შემდეგ კი გარდაცვლილი სტალინის წინააღმდეგ, სოციალისტურ სისტემასთან ბრძოლაა, რადგან თავიანთი ბინძური ცხოვრების წესის მესაფლავეს სწორედ სტალინსა და მის მიერ აშენებულ სოციალისტურ სისტემაში ხედავენ.**

# «ოქროს კვეთა»



## ვალერი კვარაცხელიას სატელევიზიო-საავტორო პროგრამის საგაზეთო ვერსია

### მეშვიდე გადაცემა

# ღია წერილი რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ ვლადიმერის ძე პუტინს



**თქვენო აღმატებულებავ, ბატონო პრეზიდენტო, ამთავითვე მინდა დაგიდასტუროთ ჩემი პატივისცემა, რომელსაც, როგორც ჟურნალისტი, ხელისუფლების სათავეში თქვენი ყოფნის ორი ათეული წლის განმავლობაში ყოველთვის ღიად და გულწრფელად გამოვხატავდი, თუმცა (ამასაც ღიად და გულწრფელად მოგახსენებთ) ამ წლების განმავლობაში მიგროვდებოდა და მაწუხებდა შეკითხვები, რომელთა დასმის დრო, როგორც ჩანს, დადგა.**

ახლოვდება დიდი სამამულო ომის 75-ე წლისთავისადმი მიძღვნილი აღლუმი, რომელიც უაღრესად რთულ საერთაშორისო ვითარებაში უნდა აღინიშნოს. მსოფლიო პანდემიის გამო ამ თარიღის აღნიშვნა 9 მაისს რაკი ვერ მოხერხდა, გაგვახარა მისი ჩატარების თარიღად 2020 წლის 24 ივნისის გამოცხადებამ, ვინაიდან გამარჯვების პირველი აღლუმი წითელ მოედანზე, 75 წლის წინათ, სწორედ ამ დღეს ჩატარდა. ჩემი ღრმა რწმენით, ამას ძალიან დიდი სიმბოლური დატვირთვა აქვს.

ბატონო პრეზიდენტო, დიდ სამამულო ომში გამარჯვების 75-ე წლისთავს მსოფლიო მოუთმენლად ელოდება, არა მხოლოდ იმის გამო, რომ ეს თარიღი თავისთავად განსაკუთრებულია, არამედ უფრო იმის გამო, რომ საერთაშორისო ვითარებაა განსაკუთრებული. **პოლიტიკურ, ეკონომიკურ და ზნეობრივ ჩიხში მყოფი მსოფლიო ბორგავს და გამოსავალს ეძებს. მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი ღობე-ყორეს აწყდება, წვალობს, წრიალებს, მაგრამ, როგორც ეკლესიასტე გვეუბნება ძველ აღთქმაში,** — **არაფერი ახალი არ არის ამ ცისქვეშეთში, ყველაფერი საკუთარ წრეში ტრიალებს და საკუთარ თავს უბრუნდება.** რამდენჯერაც უნდა გადაფასდეს მოვლენები, რამდენჯერაც უნდა გადაისინჯოს ღირებულებები და გადაიწეროს ისტორია, ეშმაკი ღმერთის ადგილზე ვერ დამკვიდრდება, თუმცა ეშმაკი არ ისვენებს, როგორც საქართველოში ვამბობთ ხოლმე, ეშმაკს არ სძინავს.

ვერ ვიტყვი, რუსეთის ხელისუფლების სათავეში თქვენი მოსვლის დღიდანვე-მეთქი, მაგრამ მიუნხენის 2007 წლის კონფერენციაზე თქვენი ისტორიული გამოსვლის შემდეგ ეშმაკს ნამდვილად არ სძინავს, უფრო სწორად, ველარ სძინავს. რა დააძინებს ამ სიტყვების მოსმენის შემდეგ?!

„Предлагавшийся после „холодной войны“ однополярный мир не состоялся... Однако что же такое однополярный мир? Как бы ни украшали этот термин, он в конечном итоге означает на практике только одно: это один центр власти, один центр силы, один центр принятия решения. Это мир одного хозяина, одного суверена. И это в конечном итоге губительно не только для всех, кто находится в рамках этой системы, но и для самого суверена, потому что разрушает его изнутри. И это ничего общего не имеет, конечно, с демократией...

Считаю, что для современного мира однополярная модель не только неприемлема, но и вообще невозможна. И не только потому, что при единоличном лидерстве в современном – именно в современном – мире не будет хватать ни военно-политических, ни экономических ресурсов. Но что еще важнее: сама модель является неработающей, так как в ее основе нет и не может быть морально-нравственной базы современной цивилизации“.

ამ სიტყვების მოსმენის შემდეგ ეშმაკს ძილი გაუკრთა, მაგრამ პლანეტის მშრომელებმა და კეთილი ნების ადამიანებმა შვებით ამოისუნთქეს, ვინაიდან ამ სიტყვებში მსოფლიოზე გაბატონების მოსურნე ძალებისთვის ამოდებული და ძლიერი ხელით მოქაჩული აღვირის ძალა იგრძნეს. ხალხმა ირწმუნა ამ ნათქვამის ჭეშმარიტება, ვინაიდან ამავე განწყობით გაჯერებული სხვა დებულება ადრეც ჰქონდა მოსმენილი თქვენგან, კერძოდ, ფედერალური საკრებულოსთვის 2005 წლის მიმართვის ტექსტში: „Прежде всего следует признать, что крушение Советского Союза было крупнейшей геополитической катастрофой века“.

ეშმაკს პირველი რეჩხი აქ უყო გულმა, რადგან პირველად აქ იგრძნო ის, რომ, რაც საბოლოოდ დაძლეული და დანგრეული ეგონა — იდეა საბჭოთა კავშირისა, თურმე არ ყოფილა ბოლომდე დანგრეული.

დასავლელმა პოლიტიკოსებმა და ჟურნალისტებმა მას მერე ბევრჯერ შეგახსენეს ეს ნათქვამი და თქვენც გულწრფელად უხსნიდით, რა იგულისხმეთ და რა შინაარსი ჩააქსოვეთ მათთვის ასე შემაშფოთებელ განცხადებაში: „Десятки миллионов наших сограждан и соотечественников оказались за пределами российской территории. Эпидемия распада к тому же перекинулась на саму Россию. Накопления граждан были обесценены, старые идеалы разрушены, многие учреждения распущены или реформировались на скорую руку. Целостность страны оказалась нарушена террористической интервенцией и последовавшей хасавюртовской капитуляцией.

Олигархические группировки, обладая неограниченным контролем над информационными потоками, обслуживали исключительно собственные корпоративные интересы. Массовая бедность стала восприниматься как норма. И все это происходило на фоне тяжелейшего экономического спада, нестабильных финансов, паралича социальной сферы“.

თქვენს ამ განმარტებაში, როგორც ყოველთვის, ყველაფერი ლოგიკურად, მარტივად და გასაგებადაა ჩამოყალიბებული, მაგრამ მათ უკვე აღარაფრის გაგონება არ სურთ. რადგან რუსეთის პრეზიდენტი საბჭოთა კავშირის დანგრევას უდიდეს გეოპოლიტიკურ ტრაგედიად მიიჩნევს, მაშასადამე, არ არის გამორიცხული, დანგრეულის აღდგენის საკითხიც დადგეს დღის წესრიგში, — ფიქრობენ ისინი. არა, ვლადიმერ ვლადიმერის ძევ, **დასავლეთი არასოდეს გენდობათ. თქვენთვის გაცილებით ადვილია დასავლეთის დაჩოქება, ვიდრე მათგან თუნდაც უმცირესი ნდობის მოპოვება.**

თქვენთან პირველი შეხვედრის შემდეგ პრეზიდენტმა **ჯორჯ ბუშმა (უმცროსმა)** დიპლომატიურად განაცხადა, რომ თქვენს თვალებში თქვენი სული დაინახა, მაგრამ პრეზიდენტის ეს „შეცდომა“ დაუყოვნებლივ გამოასწორა სენატორმა **მაკკეინმა,** რომელმაც სალდაფონური უტაქტობით წამოროშა გულისნადები: **„მე დიდი გულშემატკივარი ვარ პრეზიდენტ ბუშისა, მაგრამ მას პუტინის თვალებში მხოლოდ სამი ასოს დანახვა შეეძლო — КГБ“.** ოდნავ მოგვიანებით, ბატონმა მაკკეინმა დააზუსტა და ახალი შინაარსით შეავსო მის მიერ თქვენს შესახებ ადრე ნათქვამი: **„ეს ის კაცია, რომელსაც რუსეთის იმპერიის აღდგენა სურს“.**

**მიხეილ სააკაშვილმა** თქვენი პიროვნების წინაშე მთელი დასავლეთის ცხოველური შიშის არსი ერთ წინადადებაში ჩაატია: **„ვლადიმერ პუტინმა 2024 წლისთვის საბჭოთა კავშირის აღდგენა გადაწყვიტა და საქართველოს, სომხეთის, მოლდოვას, ბელარუსისა და უკრაინის ძირითადი ნაწილის მიერთებას გეგმავს“.**

ამის მსგავსი უამრავი სხვა ნათქვამის გახსენება შეიძლება, მაგრამ ამის აუცილებლობა არ დგას, ისედაც ნათელია თქვენ მიმართ დასავლეთის დამოკიდებულებაში ნდობის დეფიციტი.

ზემოთ შეკითხვები ვახსენე, რომლებიც თქვენ მიმართ წლების განმავლობაში დამიგროვდა. პირველი შეკითხვა სწორედ ამას შეეხება:

**რატომ ცდილობთ დასავლეთის ნდობის მოპოვებას — ამას პოლიტიკური ლავირების მიზნით აკეთებთ თუ მართლა გინდათ, დასავლეთის სანდო მოკავშირედ იქცეთ?**

ეს არსებითი ხასიათის შეკითხვაა, იმის გათვალისწინებით, რომ აშშ და კოლექტიური დასავლეთი არ მალავენ (არასოდეს არ მალავდნენ) რუსეთთან მტრულ დამოკიდებულებას.

დასავლეთი და რუსეთი, საზოგადოდ, შეიძლება ერთ ცივილიზაციურ მიმართულებას განეკუთვნებიან, მაგრამ ერთ პოლიტიკურ მიმართულებას ნამდვილად არ წარმოადგენენ. დასავლეთი, იმთავითვე ალებ-მიცემობის გზით განვითარდა, ჯერ კიდევ ფეოდალურ რუსეთში კი ისე განხორციელდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია, რომ ბურჟუაზიამ მზის სინათლეზე გამოსვლა ვერც მოასწრო. **„კომუნისტური პარტიის მანიფესტი“ ევროპაში დაიწერა, მაგრამ ნოყიერი ნიადაგი რუსეთში ჰპოვა, რის გამოც დასავლეთმა საბოლოოდ შეიძულა რუსეთი. მათ მოახერხეს საბჭოთა კავშირის დაშლა და რუსეთისა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების აცდენა განვითარების სოციალისტური გეზიდან, მაგრამ განა განვლილმა ოცდაათმა წელიწადმა არ დაასაბუთა, რომ არც რუსეთისთვის და არც სხვა** ▶

**ის მდგომარეობა, რომ «სხვაგვარად არ ძალგიძთ», კიდევ თუ გაგრძელდება, თქვენი ყოფნა იქ, სადაც დგახართ, აზრს დაკარგავს. ეს მოხდება თქვენი უდავოდ დიდი დამსახურების მიუხედავად რუსეთის წინაშე. თქვენ ხომ შეუძლებელი შეძელით — თქვენი წინამორბედების მიერ დაშლის პირას მიყვანილი რუსეთი ფეხზე წამოაყენეთ და თითქმის ძველი ძალმოსილებით აღჭურვეთ, მაგრამ აი, ეს ყველაფერი, სამწუხაროდ, შესაძლებელია ფუჭი აღმოჩნდეს, თუკი თქვენი მოღვაწეობის ის აპოთეოზი ვერ შედგა, რომელსაც რუსეთის ყველაზე ძლიერ სახელმწიფოდ კი არა, ყველაზე სამართლიან სახელმწიფოდ ჩამოყალიბება ჰქვია**

**რისთვის გჭირდებათ მტრულად განწყობილი დასავლეთის ნდობის მოპოვება? რას მისცემს რუსეთს ანტიქრისტეს გზაზე შემდგარი დასავლეთის მიერ ნდობის გამოცხადება მაშინ, როდესაც რუსეთის ისტორიული მისია გადამრჩენელის მისიაა. ცნობილმა გამონათქვამმა, — მოსკოვი მესამე რომია და მეოთხე რომი აღარ იქნება, შუა საუკუნეებიდან დღემდე, ასე ფართო გავრცელება იმიტომ ჰპოვა, რომ მასში ჭეშმარიტება იყო გაცხადებული. საუკუნეებგამოვლილი ეს ჭეშმარიტება დღეს ეჭვქვეშ დგას. ე.წ. საბაზრო ეკონომიკის გზაზე შემდგარი რუსეთი გადამრჩენელის მისიას, ალბათ, ვერ შეასრულებს, რადგან თვითონაც კაპიტალიზმის მრავალმხრივ და დაუძლეველ კრიზისში გადაეშვება.**

პროცესების ანალიზი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ **რესპუბლიკებისთვის ეგ საუკეთესო არჩევანი არ გამოდგა?!**

ყველა პრობლემა, რომელთა წინაშეც რუსეთი და დანარჩენი მოკავშირე რესპუბლიკები აღმოჩნდნენ, ისტორიული და სამართლიანი გზიდან გადახვევის შედეგია. რომ არა კაპიტალისტური ურჩხულის შემოჭრა ყოფილ საბჭოეთში, ერთმანეთს როგორ დაუპირისპირდებოდნენ **რუსები** და **უკრაინელები, ქართველები** და **აფხაზები, ქართველები** და **ოსები?** საბჭოთა პერიოდში ვის შეეძლო წარმოედგინა უკრაინაში რუსული ენის აკრძალვა ან **ვინ იფიქრებდა, რომ ხელოვნურად გაღვივებულ აფხაზურ და ოსურ სეპარატიზმს კრემლში მოწონებით შეხვდებოდნენ და მათ დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარებდნენ, ე.ი. საქართველოს დაშლას წარბშეუხრელად მოაწერდნენ ხელს? ვინ იფიქრებდა, ვინ წარმოიდგენდა, მაგრამ ფაქტია, რეალობაა... აი, შედეგი ღალატისა და გზასაცდენილობისა, აი, შედეგი დასავლეთის გაუთავებელი ხელის ფათურისა ჯერ საბჭოთა კავშირის, შემდგომ პოსტსაბჭოთა რესპუბლიკების საშინაო საქმეებში!**

რისთვის გჭირდებათ მტრულად განწყობილი დასავლეთის ნდობის მოპოვება? რას მისცემს რუსეთს ანტიქრისტეს გზაზე შემდგარი დასავლეთის მიერ ნდობის გამოცხადება მაშინ, როდესაც რუსეთის ისტორიული მისია გადამრჩენელის მისიაა. ცნობილმა გამონათქვამმა, — მოსკოვი მესამე რომია და მეოთხე რომი აღარ იქნება, შუა საუკუნეებიდან დღემდე, ასე ფართო გავრცელება იმიტომ ჰპოვა, რომ მასში ჭეშმარიტება იყო გაცხადებული. საუკუნეებგამოვლილი ეს ჭეშმარიტება დღეს ეჭვქვეშ დგას. ე.წ. საბაზრო ეკონომიკის (ანუ, დიდი სოციალური უსამართლობის) გზაზე შემდგარი რუსეთი გადამრჩენელის მისიას, ალბათ, ვერ შეასრულებს, რადგან თვითონაც კაპიტალიზმის მრავალმხრივ და დაუძლეველ კრიზისში გადაეშვება, საბოლოო ლპობისა და ხრწნის ფაზაში გადავა და იმპერიალიზმის საერთო და გარდაუვალ ხვედრს გაიზიარებს. თქვენ ეგ ამბავი შესანიშნავად მოგეხსენებათ, მაგრამ **მარტინ ლუთერისა** არ იყოს, აქა დგახართ და სხვაგვარად არ ძალგიძთ. **ის მდგომარეობა, რომ „სხვაგვარად არ ძალგიძთ" კიდევ თუ გაგრძელდა, თქვენი ყოფნა იქ, სადაც დგახართ, აზრს დაკარგავს. ეს მოხდება თქვენი უდავოდ დიდი დამსახურების მიუხედავად რუსეთის წინაშე. თქვენ ხომ შეუძლებელი შესძელით, თქვენი წინამორბედების მიერ დაშლის პირას მიყვანილი რუსეთი ფეხზე წამოაყენეთ და თითქმის ძველი ძალმოსილებით აღჭურვეთ, მაგრამ აი, ეს ყველაფერი, სამწუხაროდ, შესაძლებელია ფუჭი აღმოჩნდეს, თუკი თქვენი მოღვაწეობის ის აპოთეოზი ვერ შედგა, რომელსაც რუსეთის ყველაზე ძლიერ სახელმწიფოდ კი არა, ყველაზე სამართლიან სახელმწიფოდ ჩამოყალიბება ჰქვია.** გზა, რომელსაც დღეს რუსეთი ადგას, შესაძლებელია, ძლიერი ზესახელმწიფოს მშენებლობის გზა იყოს, მაგრამ სამართლიანი ზესახელმწიფოს მშენებლობის გზა, უბრალოდ, ვერ იქნება, ვინაიდან შეუძლებელია, რომ კაპიტალიზმის გზა (თუნდაც ეს რუსული კაპიტალიზმი იყოს) სამართლიანობის მიმართულებით მიდიოდეს. ამიტომ თქვენი მკაცრი გამონათქვამები დასავლური პოლიტიკის შეფასებისას, მათთვის განსაკუთრებით საგანგაშო სიგნალი ვერ იქნება, ვიდრე რუსეთი კაპიტალიზმის გზას ადგას.

დასავლეთის სამოცდაათწლიანი გააფთრებული ბრძოლა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, სინამდვილეში, სოციალისტური სისტემის წინააღმდეგ ბრძოლა იყო, ვინაიდან მათ შესანიშნავად იციან, ვის ეკუთვნის მომავალი. დასავლეთის საუკუნოვანი ბრძოლაც, ჯერ ცოცხალი, შემდეგ კი გარდაცვლილი სტალინის წინააღმდეგ, სოციალისტურ სისტემასთან ბრძოლაა, რადგან თავიანთი ბინძური ცხოვრების წესის მესაფლავეს სწორედ სტალინსა და მის მიერ აშენებულ სოციალისტურ სისტემაში ხედავენ.

მე ვერ გამიგია და მაწვალებს შეკითხვა, თქვენც მედასავლეთე ლიბერალივით რატომ ებრძვით ისტორიულ პიროვნებას, რომელიც თქვენი ერთადერთი იდეოლოგიური საყრდენი უნდა იყოს. დღევანდელ რუსეთს იდეოლოგია არ გააჩნიაო, — ბრძანებთ, რაშიც, მაპატიეთ, მაგრამ ვერ დაგეთანხმებით. ამას წინათ, მთელი მსოფლიოს გასაგონად ბრძანეთ: **„Что касается родителя номер - 1 и родителя номер - 2, я уже как-то публично говорил и повторю еще раз: пока я президент, у нас не будет родителя номер - 1 и родителя номер - 2, у нас будет папа и мама!"**

შესანიშნავი, ბრწყინვალე და მაღალი ზნეობით გაჟღენთილი ეს თქვენი პოზიცია განა სახელმწიფოებრივი მსოფლმხედველობრივი სისტემის შემადგენელი ნაწილი, ანუ იდეოლოგია არ არის?!

მაპატიეთ, მაგრამ 9 მაისი — დასავლურ ფაშიზმზე გამარჯვების ნათელი დღესასწაული, რომელ დღესაც გრანდიოზულ აღლუმებს მართავთ, ბოროტებაზე სიკეთის გამარჯვების სახელმწიფოებრივი იდეოლოგია არ არის?!

„უკვდავი პოლკი", რომლის ულამაზესი ტრადიცია თქვენ დანერგეთ, ბოროტებაზე სიკეთის გამარჯვებისა და გმირი წინაპრებისადმი პატივის მიგების სახელმწიფოებრივი იდეოლოგია არ არის?!

**და თუ ეს ყველაფერი ასეა, კაცობრიობის ისტორიაში ამ ყველაზე სამართლიანი და ყველაზე დიდი გამარჯვების ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი სტალინი თქვენი იდეოლოგიური საყრდენი არ გამოდის?! ნაცვლად იმისა, რომ მის იდეალებზე თამამად იდგეთ, რატომ უპირისპირდებით მას, ვინც თქვენი დიდი წინაპარი და ბუნებრივი საყრდენია?!**

**თქვენც რატომ ებრძვით იმ უდიდეს ისტორიულ პიროვნებას, რომელსაც თქვენი მტრები ებრძვიან ასე გააფთრებით?!**

თქვენთვის სხვა საყრდენი არ არსებობს, რადგან **კაპიტალისტურ იდეალებს (დასავლურ დემოკრატიას, ადამიანის უფლებების დაცვას, კერძო საკუთრების ხელშეუხებლობასა და სხვა ფსევდოღირებულებებს), როგორც უნდა მოგწონდეთ ისინი, ვერ დაეყრდნობით, რადგან ისინი მათი კუთვნილება, მათი სატყუარა და მათი გაცვეთილი ნიღაბია, რომელთა მიღმა სოციალურ უსამართლობას, რასისტულ შეურიგებლობას, ზნეობრივ დეგრადაციასა და კაპიტალიზმის სხვა წინააღმდეგობათა და კრიზისთა მთელ სპექტრს მალავენ.**

# იმედს ვიტოვებ, რომ დიდი სამამულო ომის 75-ე წლისთავისადმი მიძღვნილი ისტორიული აღლუმი იქნება რუსეთსა და ყოფილ პოსტსაბჭოთა სივრცეში დასავლური დამანგრეველი იდეოლოგიის დასამარების დასაწყისი, რომელიც საბჭოთა ხალხების მომავალ გარდაუვალ ერთიანობასა და სოციალისტურ მომავალს ჩაუყრის საფუძველს



თქვენი ბუნებრივი საყრდენი მსოფლიო კაპიტალისტური ურჩხულის წინააღმდეგ ამბოხებულ მშრომელთა ბელადები — ლენინი და სტალინი უნდა იყვნენ, მაგრამ გამარჯვების აღლუმზე თქვენ სტალინს დემონსტრაციულად არ ახსენებთ, ლენინის მავზოლეუმს კი საგანგებოდ აჭრელებულ ფანერებს მიღმა მალავთ.

**ისტორიისთვის სტალინის სახელის გადამალვის მცდელობა ხრუშჩოვის პერიოდიდან მოდის, რომელმაც გმირ ქალაქ სტალინგრადს, საიდანაც ფაშისტურ ურჩხულზე გამარჯვების გაუგონარ ეპოპეას დაედო სათავე, სახელი წაართვა და გამოგონილი ვოლგოგრადი დაარქვა. გორბაჩოვმა კი ლენინგრადისთვის ისტორიული სახელის დაბრუნებით შეურაცხყო ლენინგრადელების 871-დღიანი გმირობისა და გამძლეობის ჭრუანტელისმომგვრელი ისტორია.**

მიუხედავად იმისა, რომ არავის მოუვა აზრად სტალინგრადის ბრძოლებს ვოლგოგრადის ბრძოლები უწოდოს, ხოლო ლენინგრადის ბლოკადა სანკტ-პეტერბურგის ბლოკადად მოიხსენიოს, ეს მაინც უდიდესი უსამართლობაა.

კიდევ ერთ შეკითხვას დავსვამ, ბატონონო პრეზიდენტო:

**ნუთუ, ხელისუფლების სათავეში ყოფნის ოცწლიანი პერიოდი არ აღმოჩნდა საკმარისი იმისთვის, რომ ისტორიული სამართლიანობა აღადგინოთ და გმირ ქალაქებს — სტალინგრადსა და ლენინგრადს ის სახელები დაუბრუნოთ, რომელი სახელებითაც ამ ქალაქების უმაგალითო გმირობის ისტორია დაიწერა?!**

მისასალმებელია გამარჯვების დღის პომპეზური აღნიშვნა ყოველ 9 მაისს, მაგრამ გაუგებარი და გულსატკენია გამარჯვებული სახელმწიფოს არმიის მეთაურისა და უმაღლესი მთავარსარდლის როლის ასე უსამართლოდ იგნორირება. **გულსატკენია, როდესაც წითელი მოედნის ოფიციალური ტრიბუნიდან რამდენიმე მეტრის მოშორებით მდგარ სტალინის ბიუსტთან მადლიერი ხალხის მიერ მიტანილი ყვავილების ზღვაში არ ურევია რუსეთის ხელისუფლების მიერ მირთმეული თუნდაც ერთი მოკრძალებული თაიგული, მაშინ, როდესაც მწერალ სოლჟენიცინის ძეგლს, ვისი დამსახურება უდიდესი რუსული ლიტერატურის წინაშე მხოლოდ სტალინის მიმართ უკიდეგანო ცილისწამებაა, თქვენი ხელით მირთმეული ყვავილები ამკობს.**

და მე, ვისაც არც ეს ისტორიული და არც ეს პოლიტიკური ლოგიკა არ მესმის, მიჩნდება შეკითხვა: ეს უცნაური მდგომარეობა თქვენ, როგორც სახელმწიფოს მეთაურს და, თუ გნებავთ, როგორც ადამიანს, მოქალაქეს, შინაგანად არ გაწუხებთ? ნუთუ თქვენც ფიქრობთ, რომ კაცობრიობის ისტორიაში იქამდე გაუგონარი მასშტაბის ამ უსაშინლეს ომში ხალხმა და არმიამ, როგორც რუსეთში ზოგიერთები ფიქრობენ და ამბობენ, „вопреки Сталину" გაიმარჯვა?

**არ ვიცი, 24 ივნისს რა სცენარით აპირებთ წითელ მოედანზე აღლუმის გამართვას, მაგრამ თუ გნებავთ, რომ მტერსაც და მოყვარესაც სწორი და შესაბამისი ემოციები აღეძრას, 75 წლის წინანდელი დეკორაცია და გაფორმება ზუსტად უნდა შეინარჩუნოთ. ასეთ შემთხვევაში, წითელ მოედანს ლენინისა და სტალინის პორტრეტები უნდა ამშვენებდეს, როგორც მაშინ, იმ შორეულ 1945 წლის 24 ივნისს ამშვენებდა, თქვენ კი აუცილებლად, ლენინის მავზოლეუმის ტრიბუნასთან უნდა იდგეთ, როგორც სტალინი იდგა 75 წლის წინათ.** მხოლოდ ასეთ შემთხვევაში იქცევა ეს ახალი აღლუმი იმ ძველი აღლუმის სამართალმემკვიდრედ და ისტორიულ გაგრძელებად. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში იქნება შენარჩუნებული დროთა კავშირი და მხოლოდ ასეთ შემთხვევაში იქცევა იგი ლოგიკურ ქმედით გამოხატულებად მიუნხენში ცამეტი წლის წინათ თქვენ მიერ რუსეთის სახელით გაცხადებული საერთაშორისო პოლიტიკური დოქტრინისა ერთპოლუსიანი მსოფლიოს დასრულების შესახებ.

ჩვენ არა მხოლოდ მიუნხენის კონფერენციაზე თქვენს მიერ წარმოთქმული ბრწყინვალე სიტყვა გვახსოვს, არამედ გაეროს გენერალური ასამბლეის 70-ე სესიაზე წარმოთქმული გასაოცარი სიტყვაც, რომელშიც არნახული სიწრფელითა და ექსპრესიით იყო მხილებული დასავლეთის უბინძურესი პოლიტიკა ახლო აღმოსავლეთში: „Политические, социальные проблемы назревали в этом регионе давно, люди там, конечно, хотели перемен. Но что получилось на деле? Агрессивное внешнее вмешательство привело к тому, что вместо реформ государственные институты, да и сам уклад жизни были просто бесцеремонно разрушены. Вместо торжества демократии и прогресса насилие, нищета, социальная катастрофа, а права человека, включая и право на жизнь, ни во что не ставятся. Так и хочется спросить тех, кто создал такую ситуацию: вы хоть понимаете теперь, чего вы натворили?!"

მართლაც დიდებულია, მართლაც დამანგრეველი ეფექტის მქონე სიტყვებია, მაგრამ მათი შესაბამისი ქმედება რატომ არ ჩანს, რატომ აგვიანებს? თქვენ ხომ ამცნეთ საბჭოთა კავშირის ყოფილ მოქალაქეებს, რომ: „Объединение усилий стран бывшего СССР идет на пользу всем, несмотря на фобии прошлого и страхи по поводу возрождения СССР. Приходит все-таки понимание того, что объединение усилий на пользу всем, что это пробивает себе дорогу неизбежно. Чувствуя эти преимущества, мы двигаемся дальше, совершаем новые шаги и идем вперед. Против такой интеграции республик бывшего СССР выступают страны Запада, так как просто боятся конкуренции".

ვფიქრობ, **დაყოვნება აღარ შეიძლება. რუსეთმა უნდა განაცხადოს თავისი სოციალისტური იდეოლოგიის შესახებ, ვინაიდან მხოლოდ სოციალისტური იდეოლოგია შეესაბამება მესამე რომის ისტორიულ მისიას. ყველა სხვა იდეოლოგია ბოროტების იდეოლოგიაა.**

მიუხედავად მძიმე შეკითხვებისა, რომელიც ამ წერილში დავსვი, იმედს ვიტოვებ, რომ დიდი სამამულო ომის 75-ე წლისთავისადმი მიძღვნილი ისტორიული აღლუმი იქნება რუსეთსა და პოსტსაბჭოთა სივრცეში დასავლური დამანგრეველი იდეოლოგიის დასამარების დასაწყისი, რომელიც საბჭოთა ხალხების მომავალ გარდაუვალ ერთიანობასა და სოციალისტურ მომავალს ჩაუყრის საფუძველს.

ჩემი ღრმა რწმენით, ეს იქნება მსოფლიოში შექმნილი გლობალური კრიზისის დაძლევისკენ მიმავალი ერთადერთი სწორი გზა.

წარმატებებს გისურვებთ!

*ღრმა პატივისცემით,*
**ვალერი კვარაცხელია**
**თბილისი, 2020 წლის 1 ივნისი**

ავი მესაიფე
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ქართველთა მარადი სიამაყის საფუძვლის საგანს — ტოლერანტობას — შევახსენებ ჩვენს შინაურ თუ უცხოელ ლიბერასტ „მეგობრებს“, რომლებიც ოკეანის გაღმა-გამოღმიდან ე.წ. ადამიანის უფლებების დაცვის კამუფლაჟით თავს უფლებას აძლევენ, ლექციები გვიკითხონ ტოლერანტობის, რელიგიური შემწყნარებლობის შესახებ იმ ქვეყნის მოსახლეობას, რომლის დედაქალაქის ცენტრში საუკუნეების განმავლობაში დგას ისლამური მეჩეთი, ებრაული სინაგოგა, მონოფიზიტური სომხური და ქართული მართლმადიდებელი ეკლესიები.**

# კიდევ ერთი უმარილო 26 მაისი და?..

**ახალი წელი, გიორგობა და აღდგომა — აი, ჩემი აზრით, ის ზოგადეროვნული დღესასწაულები, რომელთა დადგომას მართლმადიდებელი ქართველი განსაკუთრებული მოუთმენლობით ელოდება და, საგარეო თუ საშინაო საფრთხეების მიუხედავად, ავად თუ კარგად, ყოველთვის ზეიმობს.**

ზემოთქმულის დასტურად თუნდაც უახლოესი წარსულიც კმარა, როდესაც, კორონავირუსის პანდემიის მიუხედავად (როდესაც კათოლიკურ-პროტესტანტულ ეკლესიებსა და ისლამურ მეჩეთებსაც კი ბოქლომები ედოთ), მსოფლიოს 15 მართლმადიდებელ ავტოკეფალიურ ეკლესიას შორის ერთადერთი აღმოჩნდა საქართველოს ეკლესია, რომელმაც აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულზე არათუ ბოქლომით ჩაუკეტა მრევლს კარი, არამედ ერთი კოვზით ზიარების წესიც არ შეუცვლია, მაგრამ უფლის ნებითა და ჩვენი სათაყვანებელი კათალიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით მორწმუნე მრევლს კორონავირუსი შეეყარა კი არა, რომ იტყვიან, ფრჩხილიც არ წამოსტკივებია. არადა, კუბოებს ვეღარ დაითვლითო, ერთი „ლუგარისტი“ წინასწარმეტყველებდა, მაგრამ ამაზე — ქვემოთ... წინამდებარე წერილის სათაურიდან გამომდინარე, შეიძლება მავანმა იფიქროს, რომ კალამი სხვა მიმართულებით გამექცა, მაგრამ არა — მოთმინებითა შენითაო, ესეც ჩვენებურის ნათქვამია და ქვემოთ ვნახავთ, რომ კალამი არსადაც არ „გამქცევია“...

იქიდან გამომდინარე, რომ საქართველო მხოლოდ ქართველებით დასახლებული, მეზობელი სომხეთივით მონოეთნიკური ქვეყანა არ არის, არამედ მრავალკონფესიური სახელმწიფოა, ბუნებრივად ჩნდება ხუმრობანარევი შეკითხვა — **რა „დააშავეს“ საქართველოში მცხოვრებმა სხვა ტრადიციული რელიგიების აღმსარებელმა ეთნოსებმა?** არც არაფერი. ამიტომ საქართველოში მათი ღმერთების სადიდებელ მსახურებას მათ არავინ უშლიდა და არც ოდეს ვინმე დაუშლის, რის დასტურსაც დრო-ჟამისგან გაცვეთილი სიტყვით, მაგრამ, **ქართველთა მარადი სიამაყის საფუძვლის საგანს — ტოლერანტობას — შევახსენებ ჩვენს შინაურ თუ უცხოელ ლიბერასტ „მეგობრებს“, რომლებიც ოკეანის გაღმა-გამოღმიდან ე.წ. ადამიანის უფლებების დაცვის კამუფლაჟით თავს უფლებას აძლევენ, ლექციები გვიკითხონ ტოლერანტობის, რელიგიური შემწყნარებლობის შესახებ იმ ქვეყნის მოსახლეობას, რომლის დედაქალაქის ცენტრში საუკუნეების განმავლობაში დგას ისლამური მეჩეთი, ებრაული სინაგოგა, მონოფიზიტური სომხური და ქართული მართლმადიდებელი ეკლესიები.** სხვადასხვა რელიგიის მიმდევრების დღესასწაულთა ემოციური მოლოდინების (თუ ასე თქმა შეიძლება) პარალელურად **არსებობს ისეთი სახელმწიფო (არარელიგიური) დღესასწაული, რომელსაც ერთნაირი აღტყინებით უნდა ელოდებოდეს და ზეიმობდეს ყველა, ვისაც საქართველო თავის სამშობლოდ მიაჩნია, აქ მცხოვრები ყველა სომეხი თუ რუსი, ქურთი თუ ბერძენი, აზერბაიჯანელი თუ უკრაინელი და ა.შ.** აკაკის პერიფრაზით თუ ვიტყვით, მართლაც, „ვინ დასთვალოს ზღვაში ქვიშა“ ან საქართველოში ეთნოსები?!

ჩემი აზრით, ზუსტად ეს არის ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს ძლიერების საწინდარი, მაგრამ **სხვისგან რა დღესასწაულის მოლოდინსა და ზეიმს ვითხოვთ, როდესაც თვითონ ქართველები ვერ შევთანხმებულვართ, საქართველოს დამოუკიდებლობის დღე მენშევიკების მიერ ძალად გამოცხადებული 26 მაისია თუ ქართველი ერის სახელით ზვიად გამსახურდიას მიერ გამოცხადებული 9 აპრილი?!**

თუმცა, არა! ზვიად გამსახურდიას შემდგომი ხელისუფლებები ქართველი ერის ნების საწინააღმდეგოდ 26 მაისს გვაზეიმებენ საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს. დიახ, გვაზეიმებენ, ანუ ძალადობენ და ამიტომაც გამოგვდის ეს ზეიმი არაბუნებრივი, უმარილო და 26 მაისის ამაღლებულ მოლოდინზე ლაპარაკიც ზედმეტია!

პარადოქსია, მაგრამ ფაქტი, რომ 26 მაისი კომუნისტების მმართველობის პერიოდში უფრო გვახსოვდა, ვიდრე დღეს, და ვიწრო წრეში, როგორც შეგვეძლო, ისე აღვნიშნავდით ხოლმე ქართულ სუფრაზე ამ თარიღს... არ ვიცი, ვინ, რატომ გაავრცელა სიცრუე, თითქოს **ნოე ჟორდანიას** საფლავზე აწერიაო მისივე ლექსი — „ვარ ჩემი ქვეყნის გულდამწვარი ჭირისუფალი. ერის ბრწყინვალე მომავალით მსურს გავიხარო, თუ საქართველო არ იქნება თავისუფალი, დე, მტვრად ქცეულიც დამენახოს მთელი სამყარო“... აბა, რა ვიცოდით მაშინ ყმაწვილკაცებმა, რომ მენშევიკ ნოე ჟორდანიას, ილიას მკვლელი პარტიის თავკაცს, სიზმარშიც არ უოცნებია საქართველოს თავისუფლებაზე და ეს მართლაც გულის დამწველი ლექსი, მას კი არა, ქართველ ემიგრანტს, **სიმონიკა ბერეჟიანს,** დაუწერია.

ახლა კი, როდესაც სიცოცხლის დაღმართის ბოლოსთან ახლომყოფი „ბებერი ბიჭი“ ზემოთქმულს ვაანალიზებ, სიჭაბუკისდროინდელი 26 მაისის სადღეგრძელოები არსებული კომუნისტური რეჟიმის მიმართ გაუთვითცნობიერებელი პროტესტი უფრო იყო, ვიდრე რეალობის ადეკვატური აღქმა. თორემ კომუნისტური რეჟიმი (მით უმეტეს ჩემი პერიოდის — 60-იანი წლებიდან დაწყებული, სსრკ-ის დაშლამდე) — **თვით სტალინის რეპრესიების ჩათვლით, რომელსაც ბაბუაჩემი, 35 წლის დავით (ჯვებე) მხეიძეც, შეეწირა (მაგრამ ეს სხვა თემაა და ამაზე, თუ უფალმა ინება, სხვა დროს), კაცობრიობის ისტორიაში არ ყოფილა და არც არასოდეს განმეორდება სსრკ-ის მსგავსი, უზრუნველი ხალხის კეთილდღეობაზე მზრუნველი ხელისუფლება.**



**სხვისგან რა დღესასწაულის მოლოდინსა და ზეიმს ვითხოვთ, როდესაც თვითონ ქართველები ვერ შევთანხმებულვართ, საქართველოს დამოუკიდებლობის დღე მენშევიკების მიერ ძალად გამოცხადებული 26 მაისია თუ ქართველი ერის სახელით ზვიად გამსახურდიას მიერ გამოცხადებული 9 აპრილი?!**



მოკლედ, მორიგი 26 მაისი ისე გაგვითენდა, როგორც ჩვეულებრივი დღე (ისეთი „საზეიმო მოუთმენლობით“ ველოდი დამოუკიდებლობის დღის გათენებას, რომ 26 მაისს გავიგე რომელიღაც ტელევიზიიდან ამ „სანუკვარი“ დღის დადგომა) და, თუ არ ჩავთვლით **გიგა ბოკერიას** საყვედურს **გიორგი გახარიას** მიმართ, დროშები მაინც ჩამოგეკიდათ ქალაქში საქართველოს დამოუკიდებლობის აღსანიშნავადო, ასევე უხმაუროდ დაგვიღამდებოდა...

რაც შეეხება რეჟიმს, აბა, ნეოლიბერასტული რეჟიმი ყოფილა, რაც ყოფილა, ჩვენ რომ გვიწევს ცხოვრება...

ახლა კი დროა, წინამდებარე წერილის სათაურში ბოლო სიტყვა „და“ გავშიფროთ.

ქართული ფილმიდან „სინათლე ჩვენს ფანჯრებში“ **გერასიმეს** ფრაზა გამახსენდა — „ბელაფონტე მომღერალია ამერიკაში, ნოდარი უნდა მეთქვა“-ო და ამის პერიფრაზი მინდა გამოვიყენო. რა შუაშია აქ „და“ თანაც მრავალწერტილითურთ? **ლუგარის ლაბორატორია უნდა მეთქვა, რომელსაც ერთნი კორონავირუსით საქართველოს ამოჟლეტისგან მხსნელად წარმოგვიდგენენ, ხოლო მეორენი პირიქით — ყველა უბედურების სათავედ მიიჩნევენ.**

3-4 წლის წინათ თბილისის ერთ-ერთ სასტუმროში გაიმართა საკმაოდ წარმომადგენლობითი მრგვალი მაგიდა ზუსტად აშშ-ის მიერ აშენებული ლუგარის ლაბორატორიის შესახებ, რომელიც (ლუგარი) მაშინ, რომ იტყვიან, ახალი ხილი იყო.

ამ დისკუსიამ მონაწილეთა შორის მცირე აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია, მაგრამ მრგვალი მაგიდის რეზიუმე (თუ ასე თქმა შეიძლება) მაინც იქით გადაიხარა, რომ ლუგარის სახელობის უკიდურესად გასაიდუმლოებულ ლაბორატორიაში რაღაც საშიში (და არა მხოლოდ საქართველოსთვის) ცდები ტარდებოდა ბიოლოგიურ იარაღზე.

ამ თემაში ჩართვა სცადეს იმთავითვე რუსეთის შესაბამისმა სამსახურებმა, რაც საბოლოოდ იმაში, ასე ვთქვათ, კონვერტირდა, რომ საქართველომ (წაიკითხე, აშშ) ამ ლაბორატორიაში შეუშვეს რუსი ჟურნალისტები, რომლებმაც, რა თქმა უნდა, საეჭვო, ყოველ შემთხვევაში მტკიცებულებით საეჭვო ვერაფერი ნახეს ან არ ანახვეს...

**ლუგარის თემა კვლავ შეიქნა აქტუალური კორონავირუსის პანდემიის აფეთქების შემდეგ. იქამდეც კი, რომ რუსეთმა საქართველოს ულტიმატუმის ფორმით მოსთხოვა ლუგარის ლაბორატორიაში ჟურნალისტების კი არა, ამჯერად შესაბამისი დარგის სპეციალისტების შეშვება, რაზეც „დამოუკიდებელი საქართველოს“ ხელისუფლებამ თანხმობა განაცხადა ოღონდაც ერთი „უმნიშვნელო“ პირობით — შეხვალთ მხოლოდ ამერიკელ „მეგობრებთან“ ერთადო!**

აი, ეს არის საქართველოს დამოუკიდებლობა, რომელსაც თქვენმა მონა-მორჩილმა სათაურში „უმარილო 26 მაისი“ ვუწოდე და, თუ სათაურის კითხვისნიშნიან დაბოლოებას გავიხსენებთ, რომელიც თქვენთან ერთად ამწუთას „გავშიფრე“, ასეთ დამოუკიდებლობაზე უმარილოს თქმა, დამეთანხმებით, რბილი ნათქვამია.

**ლუგარის ლაბორატორიაში ამერიკელების გარეშე რუსებს შეუშვებენ კი არა, იქ არის კორპუსები თუ ბლოკები, რომლებშიც ამერიკელები ქართველებსაც არ ახედებენ.**

წინამდებარე წერილს შეიძლება პირდაპირ არ ეხება, მაგრამ ცალკე თემაა აშშ-ის საელჩო, რომლის შენობის ხილული ნაწილი შთამბეჭდავი მოცულობისაა და კაცმა არ იცის, საელჩოს შენობის მიწისქვეშეთი რამდენ სართულიანია და რა ხდება იქ. ყოველ შემთხვევაში საქართველოსთვის (და არა მხოლოდ) ფარსაგი რამ რომ არ ხდება, უეჭველია.

ჰოდა, ზემოთქმულიდან გამომდინარე, უფლებას ვიტოვებ, 26 მაისის მოსვლა ტელევიზიით გავიგო, ხოლო ვისაც თავისუფალი, დამოუკიდებელი საქართველო გიგა ბოკერიას საყვედური გგონიათ, გიორგი გახარიას მისამართით „გასროლილი“, მაშინ „დროშები, დროშები, დროშები ჩქარა!“

**დავით მხეიძე**




**„მოიმატებს სოციალური და პოლიტიკური კონტროლის შესაძლებლობა პიროვნებებზე. მალე შესაძლებელი იქნება მუდმივი კონტროლის დამყარება თითოეულ მოქალაქეზე და განახლების რეჟიმში კომპიუტერული ფაილ-დოსიეების შექმნა, რომლებშიც ჩვეულებრივ ინფორმაციასთან ერთად იქნება თითოეული ადამიანის კონფიდენციალური მონაცემები ჯანმრთელობის მდგომარეობისა და ქმედებების შესახებ.**

კაცობრიობის მტრები

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «ტექნოტრონული ერა», ანუ კაცობრიობის წინააღმდეგ შეთქმულება 50 წლის წინათ იყო დაანონსებული

**სიტყვა „შეთქმულებას“, კარგა ხანია, იყენებენ იმ პოლიტიკოსების, ექსპერტების, საზოგადო მოღვაწეების დისკრედიტაციისთვის, რომლებიც ცდილობენ, დაამტკიცონ, რომ პლანეტაზე მყარდება ახალი წესრიგი ფულის მფლობელების — აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემის მთავარი აქციონერების — ინტერესების შესაბამისად. ზოგიერთის აზრით, ყველაფერი თვითონ ვითარდება და არანაირი შეთქმულება, არანაირი საიდუმლო გეგმა ახალი მსოფლიო წესრიგისა არ არსებობს.**



**«ტექნოტრონულ ეპოქაში ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ ჩამოყალიბდება კონტროლს დაქვემდებარებული საზოგადოება. ასეთი საზოგადოება უნდა მართონ ელიტებმა, რომლებიც უარყოფენ ტრადიციულ ფასეულობებს და მალე შესაძლებელი იქნება, პრაქტიკულად თითოეული მოქალაქის გაკონტროლება; შესაძლებელი იქნება ყველაზე ინტიმური ინფორმაციის მოგროვება თითოეულ მოქალაქეზე და ამ ინფორმაციების შენახვა განსაკუთრებულ ელექტრონულ საქაღალდეებში; ხელისუფლებებს კი შეეძლებათ ამ საქაღალდეების გამოყენება საჭიროების შემთხვევაში»**

გამოთქმები **„შეთქმულების თეორია“, „კონსპიროლოგია“** და ა.შ. ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ შემოაგდო სპეცოპერაცია **„დამცინავის“** ფარგლებში, რომლის მიზანი იყო ზოგიერთი ადამიანის განეიტრალება, სხვების გამოთაყვანება და ამით „საოცარი ახალი მსოფლიოს“ შექმნის უზრუნველყოფა. ასეთი მსოფლიოს შექმნის პროექტების შესახებ ხელმისაწვდომია რამდენიმე წყარო. მათგან ერთ-ერთია **ზბიგნევ ბჟეზინსკის** (1927-2017) **„ტექნოტრონული ერა“ (Brzezinsky Z. Between Two Ages: Americas Role in the Technetronic Era Viking Press. 1970)**.

ბჟეზინსკი დაიბადა პოლონელი ებრაელების ოჯახში ვარშავაში, გარდაიცვალა აშშ-ში. ეს — ვიკიპედიის მიხედვით, მაგრამ, სინამდვილეში, ის დაიბადა ხარკოვში, სადაც იმხანად პოლონეთის საკონსულოში მუშაობდნენ მისი მშობლები, ხოლო ვარშავაში ის, უბრალოდ, დაარეგისტრირეს.

ბჟეზინსკის მოღვაწეობა იყოფა 2 ნაწილად: **1. სამეცნიერო-პედაგოგიური** (ჯონს ჰოპკინსის სახელობის უნივერსიტეტთან არსებული სტრატეგიული და საერთაშორისო კვლევების ცენტრი; მოწინავე საერთაშორისო კვლევების სკოლა იმავე უნივერსიტეტთან; კოლუმბიის უნივერსიტეტი) და **2. პრაქტიკული**, როცა ის იყო აშშ-ის უმაღლესი სახელმწიფო მოხელეების მრჩეველი და კონსულტანტი პოლიტიკურ საკითხებში.

მისი პოლიტიკური კარიერის მწვერვალი იყო აშშ-ის 39-ე პრეზიდენტის, **ჯიმი კარტერის** (1977-1981 წწ), მრჩევლის პოსტი ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში. არის ავტორი უამრავი წიგნისა, რომელთა შორისაც ყველაზე პოპულარულია **„დიდი საჭადრაკო დაფა: აშშ-ის ბატონობა და მისი გეოსტრატეგიული იმპერატივები“ (1997).**

ბჟეზინსკის წიგნი „ტექნოტრონული ერა“ ხსნის დღევანდელი დღის „უცნაურობას“. ეს წიგნი იყო მსოფლიოს ახალ მდგომარეობაში გადასვლის იდეოლოგიური დასაბუთება. ეს გადასვლა კი დაიწყო XXI საუკუნის 60-იან და 70-იან წლებში, როცა დასრულდა სამრეწველო კაპიტალიზმის ეპოქა. ამის გარეგნულ გამოვლენად იქცა **კრიზისი ბრეტონ-ვუდსის სავალუტო-საფინანსო სისტემაში**, რომელიც დაფუძნებულია ოქროს დოლარის სტანდარტზე. **ფულის მფლობელები ემზადებოდნენ ქაღალდის დოლარის სტანდარტზე „ოქროს მუხრუჭის“ მოსახსნელად ფედერალური სარეზერვო ფონდის საბჭიდი დაზგიდან. ეს ნიშნავდა მსოფლიოს გადასვლას ფინანსური კაპიტალიზმის ეპოქაში — სრულიად ახალ სამყაროში.** ბჟეზინსკის ეს კარგად ესმოდა, ესმოდა ისიც, რომ ფინანსური კაპიტალიზმი მუდმივი არ იქნებოდა, ამიტომ მისი მზერა მიმართული იყო უფრო შორს — პოსტკაპიტალისტურ მომავალში და სწორედ მან შეადგინა მსოფლიო ელიტის მოქმედების ხანგრძლივვადიანი გეგმა.

**ზბიგნევ ბჟეზინსკი იყო რუხი კარდინალი საერთაშორისო ურთიერთობების საბჭოში, ბილდერბერგის კლუბის ყოველწლიური თავყრილობების მუდმივი მონაწილე; მჭიდრო ურთიერთობები ჰქონდა ბევრ გამოჩენილ პოლიტიკოსთან, მონარქთან, ბანკირთან, განსაკუთრებით მჭიდრო იყო მისი კავშირი დევიდ როკფელერთან (1915-1917), რომელმაც ხელი შეუწყო ბჟეზინსკის დაწინაურებას. ამ ამერიკელი მილიარდერის ინიციატივით 1973 წელს შეიქმნა სამმხრივი კომისია და 1973-1976 წლებში მისი აღმასრულებელი დირექტორი გახლდათ ბჟეზინსკი.** როკფელერის კიდევ ერთი ქმნილებაა **რომის კლუბი** (1968 წ.). როკფელერმა ბჟეზინსკის მოუწოდა, რომის კლუბისთვის ეკარნახა ორიენტირები სამოღვაწეოდ და ეს ორიენტირები კლუბმა მიიღო „ტექნოტრონული ერის“ სახით.

ბჟეზინსკის წიგნის პარალელურად დაიბეჭდა რომის კლუბის პირველი პრეზიდენტის, იტალიელი ბიზნესმენის — **აურელიო პეჩეის** (1908-1984) წიგნი „უფსკრულის პირას“ (The Chasm Ahead).

ბჟეზინსკი და პეჩეი უნისონში ლაპარაკობდნენ სამომავლო კატაკლიზმებზე და გამოთქვამდნენ მოსაზრებას, როგორ უნდა აეცილებინა ეს კატაკლიზმები კაცობრიობას. **ეს იყო „საოცარი ახალი მსოფლიოს“ მშენებელთა ერთობლივი მანიფესტი. ის ოდნავ შეფარული ფორმით შეიცავდა იდეებს, რომლებიც შემდეგ ჩაიწერა რომის კლუბის 50-ზე მეტ მოხსენებაში.**

ბევრი მოხსენება უფრო მეტი სარწმუნოებისთვის შეიცავდა მსოფლიოს ხანგრძლივვადიანი განვიარების მოდელებს, რომლებიც გამოთვლილი და დამუშავებული იყო მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის მძლავრი ელექტროგამომთვლელი მანქანის მიერ. **ბჟეზინსკისა და პეჩეის წიგნებში შეგიძლიათ წაიკითხოთ ისეთ გლობალურ გამოწვევებზე, როგორებიცაა პლანეტის ჭარბი მოსახლეობა, ბუნებრივი რესურსების ამოწურვა, სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობის შემცირება, გარემოს დაბინძურება, კლიმატური ცვლილებები; აგრეთვე, ისიც, რომ ამ პრობლემების თავიდან ასაცილებლად საჭიროა, შეჩერდეს დემოგრაფიული მატება, მრეწველობის განვითარება, მოხდეს ძალისხმევის კონსოლიდაცია გლობალური ეკონომიკური კრიზისის წინააღმდეგ და ა.შ.**

ძალიან შემპარავი თეზისები მალე უფრო რადიკალური რედაქციით გავრცელდა: **პლანეტის მოსახლეობის მკვეთრი შემცირება** (ერთ მილიარდამდე); **დეინდუსტრიალიზაცია; სახელმწიფოების მიერ ნებაყოფლობით უარის თქმა სუვერენიტეტზე კაცობრიობის კონსოლიდაციისთვის; მსოფლიო მთავრობის შექმნა.**

ბჟეზინსკი იყო ერთ-ერთი ავტორიტეტული იდეოლოგი, რომელმაც დაიწყო გლობალიზაციის სიკეთეებისა და სამრეწველო კაპიტალიზმზე უარის თქმის დასაბუთება. ის იბრძოდა კომპიუტერებისა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ტექნოტრონული საზოგადოებისთვის. ბჟეზინსკი იყო იდეოლოგი იმ „ციფრული საზოგადოებისა“, რომლის შესახებაც ყველა ალაპარაკდა 21-ე საუკუნის მეორე ათწლეულში. ამასთანავე, **ბჟეზინსკი მაშინ მსჯელობდა „ტექნოტრონულ საზოგადოებაზე“, როცა სულ ახალი შექმნილი იყო ნათურებზე მომუშავე ელექტრო-გამომთვლელი მანქანების პირველი თაობა.** ელექტრონიკა და კომუნიკაციები (ბჟეზინსკის ენაზე — ტექნოტრონიკა), რა თქმა უნდა, საჭირო იყო სამხედრო მიზნებისთვის, მაგრამ ბჟეზინსკი ლაპარაკობდა ამ ტექნიკის გამოყენების სხვა მიმართულებაზე. მას სურდა, აეგო ელექტრონული საკონცენტრაციო ბანაკი და მასში გამოემწყვდია მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც დარჩებოდა „დემოგრაფიული ოპტიმიზაციის“ შემდეგ.

ბჟეზინსკი წერს (1970 წელს!), რომ რამდენიმე ათწლეულის შემდეგ მსოფლიო მივა „ტექნოტრონულ ერამდე — დიქტატურამდე, რომლის დროსაც თითქმის მთლიანად იქნება გაუქმებული ამჟამად არსებული პოლიტიკური პროცედურები“.

ის ლაპარაკობს ხალხის „მასებზე“, როგორც უსულო საგნებზე, როგორც დაკვირვების ობიექტებზე: **„ტექნოტრონულ ეპოქაში ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ ჩამოყალიბდება კონტროლს დაქვემდებარებული საზოგადოება. ასეთი საზოგადოება უნდა მართონ ელიტებმა, რომლებიც უარყოფენ ტრადიციულ ფასეულობებს და მალე შესაძლებელი იქნება, პრაქტიკულად თითოეული მოქალაქის გაკონტროლება; შესაძლებელი იქნება ყველაზე ინტიმური ინფორმაციის მოგროვება თითოეულ მოქალაქეზე და ამ ინფორმაციების შენახვა განსაკუთრებულ ელექტრონულ საქაღალდეებში. ხელისუფლებებს კი შეეძლებათ ამ საქაღალდეების გამოყენება საჭიროების შემთხვევაში“.**

და კიდევ: „ტექნოტრონულ საზოგადოებაში ტენდენციად იქცევა მილიონობით მარტოხელა და ერთმანეთთან არაფრით დაკავშირებული მოქალაქეების ათქვეფა ერთ საერთო მასად, რომლის მართვასაც იოლად შეძლებენ ქარიზმული და სიმპათიური პიროვნებები. ეს ქარიზმული ადამიანები მასების სამართავად გამოიყენებენ კომუნიკაციის ყველაზე თანამედროვე საშუალებებს, რათა ადამიანების გრძნობები საჭირო მიმართულებით მიმართონ და გააკონტროლონ მათი აზროვნება“.

ადამიანების ცხვრის დიდ ფარად („საერთო მასად“) გადაქცევისა და ამ ფარის მართვის მცდელობის ნიშნები დღეს აშკარად ჩანს, თუმცა ბჟეზინსკი შეცდა „ქარიზმულ და სიმპათიურ პიროვნებებზე“ ლაპარაკისას — ასეთად ვერ ჩაითვლება **ანგელა მერკელი, აგრეთვე, ემანუელ მაკრონი, დონალდ ტრამპი** და სხვები.

აი კიდევ: **„მოიმატებს სოციალური და პოლიტიკური კონტროლის შესაძლებლობა პიროვნებებზე. მალე შესაძლებელი იქნება მუდმივი კონტროლის დამყარება თითოეულ მოქალაქეზე და განახლების რეჟიმში კომპიუტერული ფაილ-დოსიეების შექმნა, რომლებშიც ჩვეულებრივ ინფორმაციასთან ერთად იქნება თითოეული ადამიანის კონფიდენციალური მონაცემები ჯანმრთელობის მდგომარეობისა და ქმედებების შესახებ“.**

გავიდა ნახევარი საუკუნე და დღეს ე.წ. კოვიდ-19-ის პანდემიის პირობებში, ჩვენ ვხედავთ, რა ენერგიულად ცდილობენ ქვეყნების ხელისუფლებები ადამიანის ფიზიკური მდგომარეობის, მისი გადაადგილების, კონტაქტებისა და ა.შ. გასაკონტროლებელი სისტემების შექმნას. ეს ყველაფერი კი 50 წლის წინათ იყო ჩაფიქრებული.

ბჟეზინსკი წერდა იმაზეც, რაც შეიძლება ვნახოთ მომავალში: „თუ შორს გავიხედავთ, შევამჩნევთ, რომ არსებობს ცნობიერებასა და ადამიანების გენეტიკურ მანიპულაციაზე ბიოქიმიური კონტროლის დაწესების შესაძლებლობა; მათ შორის ისეთი არსებების შექმნა, რომლებიც იმსჯელებენ და იმოქმედებენ ადამიანებივით“...

სიცოცხლის ბოლოს კი ბჟეზინსკი ფრთხილობდა წინასწარმეტყველებისას. ახალი იდეების ევროპულ ფორუმზე (European Forum For News Ideas, EFNI), რომელიც 2012 წლის 26-28 სექტემბერს გაიმართა პოლონეთში, მან აღიარა: **„მოსახლეობის ფართო მასების გლობალური პოლიტიკური აქტივობის მატება უკვე აღარ იძლევა გარედან თავსმოხვეული კონტროლით მათი მართვის საშუალებას, როგორც ეს იყო კოლონიალიზმისა და იმპერიალიზმის ეპოქაში... წინააღმდეგობა მტკიცე მრწამსის მქონე ადამიანებისა, რომლებიც ხალხის ინტერესებს დაიცავენ, ეფუძნება მათ პოლიტიკურ გააქტიურებასა და გარედან მართვის უარყოფას ისტორიული მიზეზებით — ეს წინააღმდეგობა სულ უფრო მძიმედ ექვემდებარება ჩახშობას“.**

ესეც გასათვალისწინებელია!

**fondsk.ru-ზე გამოქვეყნებული ვალენტინ კატასონოვის მასალის მიხედვით მოამზადა**
**ნიკა კორინთელმა**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



1931-41 წლები — ეს იყო საბჭოეთის შინაურ თუ გარეშე მტრებთან ხელჩართული ბრძოლისა და პარალელურად თავდაუზოგავი შრომის პერიოდი. ფეთქდებოდა ღუმელები, დიდი საამქროები, რკინიგზის ლიანდაგებიდან ვარდებოდა შემადგენლობები, კატასტროფები ხდებოდა შახტებში, ზღვასა და ჰაერში. დანგრეული სწრაფად დგებოდა მწყობრში და ვითარდებოდა, როგორც მძიმე, ისე მსუბუქი ინდუსტრია. სოფლად კი გუგუნებდა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა და იქმნებოდა საზოგადოებრივი დოვლათი.

# სტალინი და სახელმწიფო

**ვიდრე ძირითად საკითხზე გადავიდოდე, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ დონალდ ტრამპისა და ზოგიერთი ადგილობრივი თუ უცხოელი მუცლითმეზღაპრე ისტორიკოსის გასაგონად უნდა განვმარტო, ვის უნდა უმადლოდეს კაცობრიობა ყავისფერი ჭირის — ფაშიზმის — დამარცხებას.**

მოვიყვან უტყუარ მასალას — ეს არის ფაშიზმის დამარცხების ძირითადი მოწმის, დიდი ბრიტანეთის პრემიერმინისტრის, ანტიჰიტლერული კოალიციის წევრის — **უინსტონ ჩერჩილის** წერილი (დათარიღებულია 1945 წლის 23 თებერვლით) სტალინისადმი:

**„მარშალ სტალინს!**

**წითელი არმია თავის 37-ე წლისთავს ზეიმობს ტრიუმფით, რომელმაც მისი მოკავშირეების უსაზღვრო აღფრთოვანება გამოიწვია და რომელმაც გერმანული მილიტარიზმის ბედი გადაწყვიტა. მომავალი თაობები თავიანთ ვალს წითელი არმიის წინაშე ისევე უსიტყვოდ აღიარებენ, როგორც ამას ვაკეთებთ ჩვენ — ამ ბრწყინვალე გამარჯვების ცოცხალი მოწმეები. გთხოვთ, დიდი არმიის დიად ხელმძღვანელს, მიესალმოთ წითელ არმიას ჩემი სახელით საბოლოო გამარჯვების ზღურბლზე“** (1941-1945 წლების მიმოწერა. ტომი 1, 1985 წელი, გვ. 391).

იქნებ ეს წერილიც საეჭვოდ ჩათვალონ „ჩვენმა“ ლიბერალებმა და კვლავ თქვან, — ფაშიზმი ამერიკამ და ინგლისმა დაამარცხაო. XX საუკუნე (სხვა საუკუნეებს არ ვეხები) ოთხ ძირითად პერიოდად იყოფა: რევოლუციამდელ, რევოლუციის შემდგომ, დიდი სამამულო ომისა და ომის შემდგომ პერიოდებად. **რევოლუციამდელ მსოფლიოს** უამრავი მკვლევარი და ჟამთააღმწერელი ჰყავს, მათ რაციონალური მარცვლის გამოტანა შეუძლიათ და, ესიამოვნება თუ არა ვინმეს ეს, ჭეშმარიტება თითქოს დადგენილია, თუმცა შიგადაშიგ თავს იჩენს დაუმსახურებელი ქება-დიდება და კერპთაყვანისმცემლობა. **რევოლუციის შემდგომი პერიოდი** მსოფლიოში „სოციალისტური შეჯიბრების“ პერიოდია. ორპოლუსიანი მსოფლიოს გაჩენამ და ალტერნატიული ფორმაციის შექმნამ მეტოქეობა ჩამოაგდო მსოფლიოს არა მხოლოდ გეოპოლიტიკაში, არამედ ეკონომიკაში, განათლებაში, თავდაცვაში, სპორტში, ხელოვნებაში და, საერთოდ, ადამიანების განვითარების ყველა სფეროში.

1931 წელს გამართულ კომპარტიის მეჩვიდმეტე ყრილობაზე გამოწვევა იყო სტალინის სიტყვები: **„ჩვენ კაპიტალისტურ ქვეყნებს ასი წლით ჩამოვრჩებით და, თუ ეს ჩამორჩენა ათ წელიწადში არ დავძლიეთ და ვერ დავეწიეთ, ისინი ჩვენ გაგვსრესენ“.**

ამ სიტყვების წარმოთქმიდან შვიდი წლის შემდეგ მოსკოვში ჩასული გერმანელი მწერალი **ლიონ ფოიხტვანგერი** თავის წიგნში **„მოსკოვი 1937 წელი“** წერდა:

„მე ვნახე ქარხნები, რომლებშიც ათიათასით მუშა მუშაობდა საუკეთესოდ მოწყობილ საამქროებში. გამაკვირვა მათი ჩაცმულობისა და კვების ორგანიზაციამ. კეთილმოწყობილ მუშათა სასადილოებში, ისე, რომ ზედმეტი არ დახარჯოს, მუშას ორ მანეთად შეუძლია მსუყე სადილი მიირთვას, ეს მაშინ, როდესაც მუშის საშუალო ხელფასი 3 ათას მანეთს აჭარბებს“.

1931-41 წლები — ეს იყო საბჭოეთის შინაურ თუ გარეშე მტრებთან ხელჩართული ბრძოლისა და პარალელურად თავდაუზოგავი შრომის პერიოდი. ფეთქდებოდა ღუმელები, დიდი საამქროები, რკინიგზის ლიანდაგებიდან ვარდებოდა შემადგენლობები, კატასტროფები ხდებოდა შახტებში, ზღვასა და ჰაერში. დანგრეული სწრაფად დგებოდა მწყობრში და ვითარდებოდა როგორც მძიმე, ისე მსუბუქი ინდუსტრია. სოფლად კი გუგუნებდა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა და იქმნებოდა საზოგადოებრივი დოვლათი.

სახელმწიფომ 10 წელიწადში შეიძინა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და არსებობის ყველა ატრიბუტი. გავიდა ათი წელი და საბჭოეთის მიწაზე ჩვენს გასასრესად შემოიჭრა სიკვდილის მანქანა — ფაშიზმი. მსოფლიოში დიქტატურა მძვინვარებდა: იაპონია ზღვაზე ბატონობას ცდილობდა, რასაც ვერ თმობდა „ზღვის ლომი“ დიდი ბრიტანეთი. იტალიაში ჩაისახა ვირუსი ფაშიზმისა **დუჩეს** სახით. ესპანეთი სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოდა ხალხის დასათრგუნავად და ტერიტორიების მოსაპოვებლად, ჰიტლერი წალეკვით ემუქრებოდა მსოფლიოს, ველურ რუსეთს კი მოხერხებულად ხედნიდა სამხრეთელი მომთვინიერებელი.

**მეორე მსოფლიო ომმა მსოფლიო ხალხებს ასწავლა შრომა, მომჭირნეობა, მოთმენა და გაერთიანება. 61 დიდი თუ პატარა ქვეყანა ჩაება ომში. ხელში თოფი აიღო 110 მილიონმა ადამიანმა. მხოლოდ საბჭოთა კავშირში 717 დიდი ქალაქი დაანგრია ომმა. მთელი ევროპა ნანგრევებად იქცა. ომი დამთავრდა. დაიწყო მეოთხე ეტაპი — ომის შემდგომი პერიოდი. ქვეყანას, მასთან ერთად მსოფლიო ხალხებს, ეგონათ, გაგრძელდებოდა ხალხთა მეგობრობა და სიღარიბესაც ისე დაძლევდნენ, როგორც საბჭოეთმა სძლია ფაშიზმს. გამარჯვების ტრიუმფატორი, რომელიც ერთადერთი შემორჩა მსოფლიოს, ამაყად იდგა მავზოლეუმის ტრიბუნაზე და გასცქეროდა მსოფლიო სივრცეებს, მის ფეხებთან კი ეშვებოდა გერმანული ფაშიზმის დროშები და შტანდარტები.**

უძველესი გამონათქვამი — „ყველა გზა რომში მიდის“ — შეიცვალა გამოთქმით „ყველა გზა მოსკოვში მიდის“. სტალინის დიპლომატია და გეოპოლიტიკა შიშის ზარს სცემდა არა მხოლოდ მტრებს, არამედ მოკავშირეებსაც. ევროპას მშვიდობა უნდოდა, ამიტომ ჩამოხსნა უნაგირი „მეომარ ცხენს“ და **უინსტონ ჩერჩილი** პრემიერობიდან გადააყენა. **ფრანკლინ რუზველტი** კი გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა. პლანეტა მისი რეალური პატრონის, სტალინის, ხელში დარჩა.

1941 წლის 7 ნოემბრის ლეგენდარული აღლუმის შემდეგ სტალინის უტეხი ნება მსოფლიოში საარაკო ამბად იქცა.



ჰიტლერის ელვისებური ომის მითი რუსეთის წინააღმდეგ საპნის ბუშტივით გასკდა მოსკოვთან. მსოფლიო ზეიმობდა **ჰიტლერის** პირველ დაჩოქებას საბჭოეთის დედაქალაქთან. **ამერიკის შეერთებული შტატების, კანადისა და ცენტრალური ამერიკის აბორიგენი ინდიელების 27 ტომობრივი გაერთიანების კონფერენციამ გადაწყვიტა, აერჩია ტომთა ბელადი. ტომების წარმომადგენლებმა, რომლებიც დასახელებულნი იყვნენ ტომთა ბელადის კანდიდატად, ერთხმად განაცხადეს უარი არჩევაზე და ყველა კანდიდატმა შეთანხმებულად გამოაცხადა სრულიად ახალი კანდიდატი. ტომთა საპატიო ბელადად აირჩიეს უბადლო მხედართმთავარი სტალინი.** არჩევნების შედეგი ამერიკა-რუსეთის სამხედრო დახმარების საზოგადოების თავმჯდომარე **ედუარდ კარტერმა** ამერიკაში საბჭოთა კავშირის ელჩ **კონსტანტინე უმანსკის** აცნობა და მას ინდიელი ხალხის სახელით სტალინისთვის გადასცა ძვირფასი ქსოვილითა და ბრილიანტებით შემკული წინამძღოლის ქუდი.

ამერიკის აბორიგენი ხალხის ძვირფასი საჩუქარი საბჭოთა მხარეს 1942 წლის თებერვალში გადასცეს ქალაქ ნიუ-იორკში ინდიელთა ტრადიციული რიტუალის თანხლებით. „ნიუ-იორკ თაიმსმა“ გამოაქვეყნა წერილი აღნიშნულ მოვლენაზე, რომელიც სენსაციად იქცა და მიიპყრო მსოფლიოს პრესის ყურადღება. მსოფლიოს აინტერესებდა სტალინის რეაქცია ამ მოვლენაზე, მაგრამ დუმდა, როგორც პრესა, ისე კრემლი.

**სტალინის თანაგრძნობა ინდიელი ხალხის მიმართ მხოლოდ 1944 წელს გამომჟღავნდა, როდესაც ინდიელი ხალხის ბელადის ტიტულის სიგელთან ერთად უძვირფასესი თავსამკაული სტალინის სამდივნომ ოფიციალურად გადასცა რევოლუციის მუზეუმს, რომელშიც ამჟამადაც არის გამოფენილი.**

1946 წლის 6 მარტს ბრიტანეთის მანტიამოსხმული „ბებერი ლომი“, რომელსაც არანაირი ვალდებულება არ აწვა მხრებზე, გარდა იმისა, რომ ჩერჩილი იყო, საუნივერსიტეტო ქალაქ ფულტონში უზარმაზარი აუდიტორიის წინაშე წარდგა, ზარი ავის მომსაწავებლად დაარისხა და მოუწოდა მსოფლიოს წითელი ფაშიზმის წინააღმდეგ. ამან რკინის ფარდა ჩამოუშვა აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის. და დაიწყო ცივი ომი, რომელიც ჯერაც არ დამთავრებულა. 1945 წლის ივლისის პოტსდამის კონფერენციიდან მიმავალი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი **ენტოლ იდენი** და აშშ-ის პრეზიდენტი **ჰარი ტრუმენი** ერთმანეთს შესჩიოდნენ, რომ ჯიბეში არაფერი ედოთ. გარდა იმისა, რომ ძირითადი საკითხები პოტსდამის კონფერენციაზე შეათანხმეს და დეკლარაციას ხელი მოაწერეს, წინ მაინც ბევრი საქმე იყო გასაკეთებელი.

**სტალინის თანაგრძნობა ინდიელი ხალხის მიმართ მხოლოდ 1944 წელს გამომჟღავნდა. როდესაც ინდიელი ხალხის ბელადის ტიტულის სიგელთან ერთად უძვირფასესი თავსამკაული სტალინის სამდივნომ ოფიციალურად გადასცა რევოლუციის მუზეუმს, რომელშიც ამჟამადაც არის გამოფენილი**



უინსტონ ჩერჩილი ფულტონში

**1946 წლის 11 სექტემბერს დაიწყო ლონდონის კონფერენცია. მოსკოვში კარგად ესმოდათ, რომ განადგურებას გადარჩენილი ევროპა და მოკავშირეები სულ სხვა ტონით დაიწყებდნენ საუბარს ამ უმნიშვნელოვანეს კონფერენციაზე, სადაც იურიდიულად უნდა გაფორმებულიყო ის, რაც პოტსდამის კონფერენციის დეკლარაციიდან მომდინარეობდა. მით უმეტეს, რომ ატომური ბომბი უმაგრებდათ ზურგს, თუმცა სტალინი სულაც არ აპირებდა, ყური ეგდო მათი პრეტენზიებისთვის, რადგან წინასწარვე განიმტკიცა პოზიციები იალტისა და პოტსდამის ისტორიული გადაწყვეტილებებით მსოფლიოს ახალი განაწილებისა და სფეროების გაყოფის თაობაზე.**

სტალინის წინასწარმეტყველურმა აზრმა კონფერენციის პირველივე დღეს იჩინა თავი, როდესაც პირველი სერიოზული კონფლიქტი წარმოიშვა რუმინეთსა და ბულგარეთში პროსაბჭოური რეჟიმის აღიარებაზე. ამერიკამ და ინგლისმა, რომლებიც მხარს უჭერდნენ რუმინეთისა და ბულგარეთის ანტისაბჭოურ ოპოზიციას, უარი განაცხადეს მათთან მოლაპარაკებასა და ხელშეკრულების გაფორმებაზე, სანამ აღნიშნულ ქვეყნებში არ ჩატარდებოდა დემოკრატიული არჩევნები. მოსკოვში მყოფ სტალინს კონფლიქტის შესახებ იმავე დღეს მოახსენა მოლოტოვმა, რასაც მოჰყვა დეპეშა მოლოტოვის სახელზე. ტელეგრამაში სტალინის მიერ ნაბრძანები იყო, მოლოტოვი მტკიცედ მიჰყოლოდა დასახულ მიმართულებას.

**„რუმინელები თავს კარგად გრძნობენ, — წერდა სტალინი, — მტკიცედ დადგებიან და, ყველა მონაცემის მიხედვით, მოკავშირეთა მაქინაციები ჩაიშლება. აუცილებელია, შენც მტკიცე პოზიცია დაიჭირო და რუმინეთის საკითხში მოკავშირეებს არაფერი დაუთმო“.** სტალინმა არა მხოლოდ მოუხაზა მოლოტოვს ქცევის საერთო მიმართულება, არამედ აღნიშნა, რომ მას თავდაცვითი პოზიცია ეკავა მოკავშირეებთან საუბარში და კონკრეტული შეტევითი ხასიათის არგუმენტაციაც მიაწოდა: **„საჭირო იყო, პირდაპირ გეთქვა, რომ ამერიკისა და ინგლისის წარმომადგენლები რუმინეთში მხარს უჭერდნენ ანტისაბჭოთა ელემენტებს რადესკუსა და მისი მეგობრების სახით, რაც შეუთავსებელია ჩვენს მოკავშირულ ურთიერთობებთან... თუკი მოკავშირეები შეურიგებლობას გამოიჩენენ რუმინეთის, ბულგარეთისა და სხვა ქვეყნების მიმართ, იქნებ საჭირო შეიქნეს, ვაგრძნობინოთ ბირნსსა და ბევინს, რომ სსრკ-ის მთავრობას გაუჭირდება, დათანხმდეს იტალიასთან სამშვიდობო ხელშეკრულების დადებაზე.** ამასთანავე, შეიძლება ისეთი არგუმენტების გამოყენება, როგორიც არის მათი უმადური განწყობა იტალიის კოლონიების შესახებ ჩვენ მიერ წამოყენებულ წინადადებაზე, აგრეთვე, სსრკ-ის სასარგებლოდ იტალიის მიერ გადასახდელი რეპარაციების რაოდენობის საკითხის გადაუწყვეტელობა. მოკავშირეებმა, შესაძლოა, ჩვენ ▶

**მეორე მსოფლიო ომმა მსოფლიო ხალხებს ასწავლა შრომა, მომჭირნეობა, მოთმენა და გაერთიანება. 61 დიდი თუ პატარა ქვეყანა ჩაება ომში. ხელში თოფი აიღო 110 მილიონმა ადამიანმა. მხოლოდ საბჭოთა კავშირში 717 დიდი ქალაქი დაანგრია ომმა. მთელი ევროპა ნანგრევებად იყო ქცეული. ომი დამთავრდა. დაიწყო მეოთხე ეტაპი — ომის შემდგომი პერიოდი. ქვეყანას, მასთან ერთად მსოფლიო ხალხებს, ეგონათ, გაგრძელდებოდა ხალხთა მეგობრობა და სიღარიბესაც ისე დაძლევდნენ, როგორც საბჭოეთმა სძლია ფაშიზმს. გამარჯვების ტრიუმფატორი, რომელიც ერთადერთი შემორჩა მსოფლიოს, ამაყად იდგა მავზოლეუმის ტრიბუნაზე და გასცქეროდა მსოფლიო სივრცეებს, მის ფეხებთან კი ემხობოდა გერმანული ფაშიზმის დროშები და შტანდარტები.**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ გარეშე დადონ სამშვიდობო ხელშეკრულება იტალიასთან, მაგრამ მერე რა? მაშინ ჩვენ საშუალება მოგვეცემა, მოკავშირეთა გარეშე დავდოთ სამშვიდობო ხელშეკრულება ჩვენს სატელიტებთან. თუკი საქმის ამგვარი შემობრუნება იქამდე მიგვიყვანს, რომ მინისტრთა საბჭოს მოცემული სესია მთავარი საკითხების ირგვლივ ერთობლივი გადაწყვეტილებების გარეშე დასრულდეს, არც ამას უნდა შევუშინდეთ“.

სახელმწიფო იმიტომაა სახელმწიფო, რომ მას აქვს თავისი სტრატეგია და იბრძვის მის განსახორციელებლად. კიდევ ბევრჯერ შევხვდებით ისეთ ფაქტებს, როცა საკმაოდ დიდ სახელმწიფოებსაც კი თავიანთ მომავალზე მწირი ინფორმაცია აქვთ. ამის საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიყვანოთ ევროპის ერთ-ერთი უდიდესი სახელმწიფოს, საფრანგეთის, მაგალითი:

1944 წლის 14 ნოემბერს ჩერჩილმა სტალინს გაუგზავნა საიდუმლო წერილი, რომელშიც იგი საბჭოთა ბელადს აცნობებდა საფრანგეთში მოგზაურობის შედეგებს. წერილი ვრცელია და ყოვლისმომცველი, მაგრამ მე დამაინტერესა წერილის მეორე საკითხმა.

აი, ისიც:

**„საუბრის შემდეგ მე და ენტონი იდენმა ორი საათი ვისაუბრეთ შარლ დე გოლთან.** მან დაგვისვა რიგი შეკითხვებისა, რომლებმაც დამანახვეს, რაოდენ ცოტა იციან ფრანგებმა იმის შესახებ, რაც გადაწყვეტილიაან რაც ხდება მათ ქვეყანაში“.

ძვირფასო მკითხველო, პატარა ერისა და ქვეყნის ხელისუფლებამ თუ მოქალაქემ ძალიან ცოტა რამ იცის თავის მომავლის შესახებ, რადგან მათი ბედი „იქ“ წყდება, მაღლა.

ჩვენი გაუთავებელი „პოლიტმეტრები“, „რეაქციები“ თუ სხვა პოლიტიკური გადაცემები სრულიად შეუსაბამოა რეალობასთან. მთავრობასა თუ პარლამენტში ცხარე კამათის შემდეგ მიღებული გადაწყვეტილებები ერთი კალმის მოსმით არის გადაწყვეტილი მეორეხარისხოვანი სახელმწიფო მოხელეების მიერ იქ, სადაც „ჯერ არს“. ამიტომ თავი დავანებოთ ამბიციებს და ნორმალურად ვიცხოვროთ — ადამიანური ურთიერთობები გვქონდეს ერთმანეთთან. **რამდენი დეპუტატი შევა, შევლენ თუ არა პარლამენტში ნაციონალები, ეს ჩვენი არც ასარჩევია და არც გასარჩევი. ვინ იქნება ხელისუფლებაში, ეს ისე გადაწყდება, როგორც ზევით იყო ნათქვამი საფრანგეთის მაგალითზე,** მაგრამ ერთი განსხვავებით. **იმხანად, რომელ დროზეც მე ვსაუბრობ, კიდევ არსებობდა ხალხის ნების ასრულების სურვილი, მაგრამ ეს სურვილი დღეს მსოფლიოში ნულზეა დასული. რადგან ყაჩაღები, რომლებმაც გაძარცვეს ქვეყანა და ხელისუფლებაში მოვიდნენ, არ თმობენ ნაყაჩაღარს. მოქმედი ბანდიტები ანადგურებენ მომავალ ბანდიტებს, რათა ხვალ ბანდიტური გზით არ მოვიდნენ ხელისუფლებაში.**

ბანდიტი დღეს არ იყენებს ცეცხლსასროლ ან ცივ იარაღს, მას ნაყაჩაღარი ფული აქვს და ფულით აკეთებს იმას, რაც წინათ ხელნაკეთი ბომბებითა და ბერდენკა თოფებით კეთდებოდა. **ძველი გამოთქმა „ნებისმიერ ციხესიმაგრეს აიღებს ოქროთი დატვირთული ვირიო“, გასული საუკუნის პირველ ნახევარში უაზრობად იქცა, რადგან ოქრო სამშობლოს სიყვარულმა შეცვალა, რომლისგანაც დღეს ნასახიც აღარ არის დარჩენილი. დღეს ქრისტე მამონამ შეცვალა. ხალხთა თავისუფლების დროშა ტალახში გადააგდეს. დაცულია ბოროტმოქმედ უმცირესობათა ინტერესები და უგულებელყოფილია მშრომელი ხალხის კანონიერი და ღვთისგან მინიჭებული უფლებები.**

20 სექტემბერს მოლოტოვთან საუბარში აშშ-ის 49-ე სახელმწიფო მდივანმა ჯეიმს ბირნსმა მოულოდნელად წამოაყენა იდეა მოკავშირეთა შორის ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე გერმანიის 20-25-წლიანი დემილიტარიზაციის შესახებ. ხსენებული ხელშეკრულებით გერმანიის განიარაღებასთან ერთად გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო მოკავშირეების მიერ მისი სამხედრო ოკუპაციის თანდათანობით მოხსნა. წინადადება მიმართული იყო „გერმანული მუქარის“ აღორძინების თაობაზე საბჭოთა კავშირის შიშის საპასუხოდ. მოლოტოვმა მსწრაფლ გამოიჩინა ინტერესი ამ წინადადების მიმართ, ხოლო სტალინისთვის გაგზავნილ ანგარიშში კიდევ უფრო კონკრეტულად გამოთქვა თავისი მოსაზრება: **„ვფიქრობ, მხარი უნდა დავუჭიროთ ბირნსის წინადადებას ოთხი სახელმწიფოს ხელშეკრულების შესახებ, გერმანიის მხრიდან ახალი აგრესიის თავიდან აცილების მიზნით. თუმცა, გარეგნულად დიდი დაინტერესება არ უნდა გამოვამჟღავნოთ, რა თქმა უნდა, ეს მისაღები იქნება იმ შემთხვევაში, თუ ამერიკელები მეტ-ნაკლებ დათმობაზე წავლენ ბალკანეთის ქვეყნების საკითხში“.** სახალხო კომისარი წინადადებას იძლეოდა, განეგრძოთ ბირნსთან ამ საკითხზე მოლაპარაკება.

და — ისევ შეცდომა!

დასაწყისისთვის სტალინმა შეაჩერა მოლოტოვის შემდგომი საუბრები ამ თემაზე (საბაბით, „დღე-დღეზე ელოდეთ პასუხს“), მეორე დღეს კი თვალი აუხილა თავის მიმნდობ მოადგილეს ამერიკელების „ტროას ცხენის“ ჭეშმარიტ შიგთავსზე.

„ბირნსის წინადადება, — წერდა სტალინი, — ოთხ მიზანს ისახავს: პირველი — გადაიტანოს ჩვენი ყურადღება შორეული აღმოსავლეთიდან, სადაც ამერიკა ისე იქცევა, თითქოს ხვალ იაპონიის მეგობარი იქნება, და ამით შექმნას შთაბეჭდილება, რომ შორეულ აღმოსავლეთში ყველაფერი რიგზეა; მეორე — მიიღოს სსრკ-ისგან ფორმალური თანხმობა იმაზე, რომ ევროპის საქმეებში აშშ-მა ისეთივე როლი შეასრულოს, როგორც სსრკ-მა, რათა შემდგომში, ინგლისთან გაერთიანებულმა, საკუთარ ხელში აიღოს ევროპის ბედი; მესამე — გააუფასუროს სსრკ-ის მიერ ევროპის სახელმწიფოებთან კავშირის შესახებ დადებული პაქტები; მეოთხე — უშინაარსო გახადოს სსრკ-ის ყველა მომავალი პაქტი რუმინეთთან, ფინეთთან და ა.შ. კავშირების თაობაზე“.

სტალინი შეჩვეული იყო ყველაზე უარესი ვერსიის ვარაუდს. მას ჰქონდა იშვიათი უნარი, კეთილი ინიციატივის უკან დაენახა ნეგატიური შესაძლო მოტივები. სტალინის აზრით, აშშ მალე უნდა წასულიყო ევროპიდან და აშკარად არ აპირებდა, თანაბრად ეთამაშა ამერიკელებთან (ან ვინმე სხვასთან) ერთად ევროპის ჰეგემონის როლი. ევროპის გულში საბჭოთა გეოპოლიტიკური უპირატესობის შენარჩუნების ამგვარი გეგმის არსებობა იმითაც დასტურდება, რომ სტალინს აშკარად არ სურდა გერმანიის დემილიტარიზაციის (ანუ გერმანული სამხედრო მუქარის ლიკვიდაციის) ნაცვლად ამ ქვეყნიდან საბჭოთა ჯარების გამოყვანა.

„ამერიკის წინადადება საკონსულტაციო კომიტეტის ორგანიზების შესახებ მიზნად ისახავს, გაურკვეველი დროით გადაიდოს საკონტროლო საბჭოს შექმნის საკითხი და ამგვარად, საშუალება მისცეს ამერიკელ გენერალ **დუგლას მაკართურს,** ერთპიროვნულად გადაწყვიტოს იაპონიასთან დაკავშირებული როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო საკითხები... მიგვაჩნია, რომ ბოლო უნდა მოეღოს მაკარტურის შეუზღუდავ უფლებებს და ოთხი სახელმწიფოს ერთპიროვნული უმაღლესი მთავარსარდლის ინსტიტუტს, რომელიც, როგორც ცნობილია, იმას აკეთებს, რაც მოეპრიანება, და არც კი გვატყობინებს გაცემული განკარგულებების შესახებ“.

26 სექტემბერს ბირნსმა, რომელიც შექმნილი ჩიხიდან გამოსვლას ცდილობდა, წინადადება შემოიტანა, საბჭოში სამშვიდობო მოლაპარაკებების განხილვის პროცედურის შესახებ რუსული პოზიციის მიღების სანაცვლოდ მოელაპარაკათ საბჭოს ხუთი წევრის მონაწილეობით სამშვიდობო კონფერენციის მოწვევის თაობაზე. მას მხედველობაში ჰქონდა ამ მოლაპარაკებების ისეთ კონფერენციაზე გადატანა, სადაც დასავლეთს უფრო მეტი ხმები ექნებოდა. ამგვარ გამოსავალს სტალინმა მხარი არ დაუჭირა. **„როგორც ჩანს,** — წერდა იგი მოლოტოვს, — **ამერიკელები ლონდონის საბჭოდან ხელცარიელი წასვლას არ მოინდომებენ. შეეცდებიან, საბჭოს გადაწყვეტილება მიაღებინონ. მოკავშირეები ზემოქმედებას ცდილობენ, რათა შენი ნებისყოფა გატეხონ და დათმობა გაიძულონ. ცხადია, რომ შენ ქედუხრელობა უნდა გამოიჩინო. მეორე მხრივ, შესაძლოა, საბჭოს გადაწყვეტილებების მიღწევის მიზნით, ამერიკელები შეეცადონ ზოგიერთ დათმობაზე წასვლას, რათა შენი მხრიდან საპასუხო სერიოზული დათმობები გამოიწვიონ პრინციპით: დათმობა დათმობის საპასუხოდ.**

ვფიქრობ, ამ შემთხვევაშიც სრული შეუვალობა უნდა გამოამჟღავნო.

ისიც შესაძლებელია, რომ საბჭოს სხდომა უშედეგოდ დამთავრდეს, მოკლედ — ჩაიშალოს. ჩვენ ამ შემთხვევაშიც არაფერი გვაქვს სადარდებელი. კონფერენციის ჩაშლა ბირნსის ჩავარდნა იქნება, რის გამოც ჩვენ თავი არ უნდა ავიტკივოთ“.



მოლოტოვი და სტალინი

**ამერიკის შეერთებული შტატების, კანადისა და ცენტრალური ამერიკის აბორიგენი ინდიელების 27 ტომობრივი გაერთიანების კონფერენციამ გადაწყვიტა, აერჩია ტომთა ბელადი. ტომების წარმომადგენლებმა, რომლებიც დასახელებულნი იყვნენ ტომთა ბელადის კანდიდატად, ერთხმად განაცხადეს უარი არჩევაზე და ყველა კანდიდატმა შეთანხმებულად გამოაცხადა სრულიად ახალი კანდიდატი. ტომთა საპატიო ბელადად აირჩიეს უბადლო მხედართმთავარი სტალინი**



ინდიელთა ტომების საპატიო ბელადის ქუდის საბჭოთა კავშირის ელჩისთვის გადაცემის ცერემონია. ნიუ-იორკი, 1942 წ.



ინდიელთა ტომების საპატიო ბელადის ქუდი

მსოფლიო
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ეროვნული დაზვერვის „მმართველი დირექტორის“ პოსტის დატოვებამდე რამდენიმე დღით ადრე რიჩარდ გრენელმა გრიფი „საიდუმლო“ მოხსნა კიდევ რამდენიმე დოკუმენტს, რომლებიც დევს 2016 წლის საპრეზიდენტო საარჩევნო კამპანიის პერიოდში ტრამპის გარემოცვის რუსეთთან კავშირის გამოძიების საქმეში. ახლახან დანიშნული ჯონ რეტკლიფი გადაწყვეტს, გამოაქვეყნოს თუ არა ეს დოკუმენტები, რომლებსაც გრიფი „საიდუმლო“ აღარ ადევს.**

# ტრამპი ობამას «ობამაგეიტით» ემუქრება

## ბარაკ ობამა რუსეთთან კავშირში ტრამპის დასადანაშაულებლად სპეცსამსახურებით მანიპულირებდა

**21 მაისს აშშ-ის სენატმა ეროვნული დაზვერვის (DNI) დირექტორად ჯონ რეტკლიფის დანიშვნას დაუჭირა მხარი. რეტკლიფი — რესპუბლიკელი კონგრესმენი ტეხასიდან — პრეზიდენტ ტრამპის საიმედო მოკავშირედ ითვლება. როგორც ჩანს, ეროვნული დაზვერვის პოსტის გარშემო კრიზისი, რომელიც ამ პოსტზე გერმანიაში აშშ-ის ელჩ რიჩარდ გრენელის დანიშვნით დაიწყო, დაძლეულია.**

დემოკრატები **რიჩარდ გრენელს** აკრიტიკებდნენ იმის გამო, რომ ის ტრამპის თავგადაკლული მომხრეა და ბრალს სდებდნენ იმაში, რომ დაზვერვის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის მოვალეობების შესრულებისას პრეზიდენტის ინტერესებს იცავდა. ტრამპისთვის დაზვერვის მთავარი შეფის პოსტი არა „ტექნიკური“, არამედ „შიდაპოლიტიკურია“. **მუშაობის სამი თვის განმავლობაში გრენელმა მოასწრო, ნაწილობრივ გარკვეულიყო ამერიკის სპეცსამსახურების ანტიტრამპული მოღვაწეობის „სამზარეულოში“. გრენელმა „დიდი ნაბიჯები გადადგა დაზვერვის დეპოლიტიზაციისა და დაზვერვისადმი ამერიკელი ხალხის ნდობის აღსადგენად“.**

27 მაისს ცნობილი შეიქნა, რომ ეროვნული დაზვერვის „მმართველი დირექტორის“ პოსტის დატოვებამდე რამდენიმე დღით ადრე რიჩარდ გრენელმა გრიფი „საიდუმლო“ მოხსნა კიდევ რამდენიმე დოკუმენტს, რომლებიც დევს 2016 წლის საპრეზიდენტო საარჩევნო კამპანიის პერიოდში ტრამპის გარემოცვის რუსეთთან კავშირის გამოძიების საქმეში. ახლახან დანიშნული ჯონ რეტკლიფი გადაწყვეტს, გამოაქვეყნოს თუ არა ეს დოკუმენტები, რომლებსაც გრიფი „საიდუმლო“ აღარ ადევს.

ამ განსაიდუმლოებულ დოკუმენტებშია ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში მომავალი მრჩევლის, **მაიკლ ფლინისა,** და 2016-17 წლებში აშშ-ში რუსეთის ელჩის, **სერგეი კისლიაკის,** სატელეფონო საუბრების სტენოგრაფიული ჩანაწერები.

ტელეარხ Fox-ისთვის მიცემულ ინტერვიუში დაზვერვის თანამშრომელმა, რომლის ვინაობაც არ დაუსახელებიათ, განაცხადა, რომ ზემოაღნიშნული დოკუმენტებით მტკიცდება, რომ 2016 წლიდან დაზვერვა მანიპულირებდა მონაცემებით, რათა ცრუ ბრალდება წარედგინათ ტრამპის თანამშრომლებისთვის, რომ ისინი ხელს უწყობდნენ აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებში რუსეთის ჩარევას.

„დოკუმენტები ძალიან მნიშვნელოვანია იმის აღსაქმელად, როგორ მანიპულირებდნენ დაზვერვით, რათა დაწყებულიყო გამოძიება რუსეთის ჩარევის თაობაზე“.

2020 წლის მაისში გრენელმა გრიფი „საიდუმლო“ მოხსნა დოკუმენტების 6 ათას გვერდს, შემდეგ კი გამოაქვეყნა ისინი. ამ დოკუმენტებს შორის იყო წარმომადგენელთა პალატის დაზვერვის კომიტეტის თავმჯდომარის, დემოკრატ ადამ შიფის სატელეფონო საუბრების სტენოგრაფიული ჩანაწერები. გაირკვა, რომ აშშ-ის ყოფილი მთავრობისა და პრეზიდენტ ბარაკ ობამას ადმინისტრაციისთვის ცნობილი იყო, რომ „არ არსებობდა არანაირი პრაქტიკული მტკიცებულება“ სავარაუდო გარიგების შესახებ ტრამპის წინასაარჩევნო შტაბსა და მოსკოვს შორის 2016 წლის საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას“.

ბრენვილმა, აგრეთვე, გამოაქვეყნა სია ობამას ადმინისტრაციის თანამშრომლებისა, რომლებიც მოითხოვდნენ, გამოემჟღავნებინათ ფლინის კონტაქტები რუსეთის ელჩთან არჩევნების შემდგომ პერიოდში და პრეზიდენტ ტრამპის ინაუგურაციამდე. სიაში სხვებთან ერთად დასახელებული არიან ვიცეპრეზიდენტი ჯო ბაიდენი, გამოძიების ფედერალური ბიუროს იმჟამინდელი დირექტორი ჯეიმს კომი, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს იმჟამინდელი დირექტორი ჯონ ბრენანი, ეროვნული დაზვერვის იმჟამინდელი დირექტორი ჯეიმს კლეპერი, აგრეთვე, ობამას ადმინისტრაციის ყოფილი უფროსი დენის მაკდონი და სხვ.

გრენელმა, აგრეთვე, გამოამზეურა წერილი, რომელიც მას პრეზიდენტ ტრამპის ინაუგურაციის დღეს გაუგზავნა ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში პრეზიდენტ ობამას მრჩეველმა სუზან რაისმა. ელექტრონული წერილი არის დოკუმენტირებული პროტოკოლი მთავრობის მაღალჩინოსნებთან ბარაკ ობამას შეხვედრისა, რომელიც 2017 წლის 5 იანვარს თეთრი სახლის ოვალურ კაბინეტში გაიმართა. ამ შეხვედრაზე ბარაკ ობამამ, რომელიც პრეზიდენტის პოსტზე ყოფნის ბოლო დღეებს ითვლიდა, გასცა მითითება, რომ გამოეძიებინათ რუსეთის თითქოსდა ჩარევა აშშ-ის 2016 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში.

პრეზიდენტი ტრამპი 2020 წლის საარჩევნო კამპანიაში ცდილობს, ერთი მხრივ, გაანეიტრალოს თავისი მოწინააღმდეგეების მოღვაწეობა ამერიკის სპეცსამსახურების მეშვეობით; მეორე მხრივ კი, მიისწრაფვის დემოკრატების, კონკრეტულად **ჯო ბაიდენის,** დისკრედიტაციისკენ, რომელიც პირდაპირ იყო ჩართული ტრამპის გარემოცვისა და რუსეთის თითქოსდა გარიგების შესახებ გამოძიებაში. რა თქმა უნდა, დარტყმის ქვეშაა **ბარაკ ობამაც,** რომელსაც ტრამპი ემუქრება „ობამაგეიტით“ — მის მიერ ჩადენილი დანაშაულების გამოძიებითა და სისხლის სამართლებრივი დევნით.

**ealaily.com-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა გიორგი გაჩეჩილაძემ**




**ტელეარხ Fox-ისთვის მიცემულ ინტერვიუში დაზვერვის თანამშრომელმა, რომლის ვინაობაც არ დაუსახელებიათ, განაცხადა, რომ ზემოაღნიშნული დოკუმენტებით მტკიცდება, რომ 2016 წლიდან დაზვერვა მანიპულირებდა მონაცემებით, რათა ცრუ ბრალდება წარედგინათ ტრამპის თანამშრომლებისთვის, რომ ისინი ხელს უწყობდნენ აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებში რუსეთის ჩარევას**

**2020 წლის მაისში გრენელმა გრიფი «საიდუმლო» მოხსნა დოკუმენტების 6 ათას გვერდს, შემდეგ კი გამოაქვეყნა ისინი. ამ დოკუმენტებს შორის იყო წარმომადგენელთა პალატის დაზვერვის კომიტეტის თავმჯდომარის, დემოკრატ ადამ შიფის, სატელეფონო საუბრების სტენოგრაფიული ჩანაწერები. გაირკვა, რომ აშშ-ის ყოფილი მთავრობისა და პრეზიდენტ ბარაკ ობამას ადმინისტრაციისთვის ცნობილი იყო, რომ «არ არსებობდა არანაირი პრაქტიკული მტკიცებულება» სავარაუდო გარიგების შესახებ ტრამპის წინასაარჩევნო შტაბსა და მოსკოვს შორის 2016 წლის საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას»**


ჯონ რეტკლიფი

# აშშ-მა ჯანმოსთან ურთიერთობა გაწყვიტა

World Health Organization

**აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები წყვეტს ურთიერთობას ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციასთან.**

ამერიკის ლიდერმა განაცხადა, რომ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციისთვის ადრე გამოყოფილი თანხა გადაერიცხებათ სხვა ორგანიზაციებს. ტრამპის თქმით, მიუხედავად იმისა, რომ აშშ-მა წარმოადგინა ჯანმოს რეფორმირების დაწვრილებითი გეგმა, ორგანიზაციამ უარი განაცხადა ამ გეგმის განხორციელებაზე.

უფრო ადრე ტრამპმა ჯანმოს წაუყენა ულტიმატუმი და მოსთხოვა, გადაეხედა პოზიციისთვის, რომელიც ეხებოდა ჩინეთის „ბრალს“ კორონავირუსის პანდემიაში და დაემუქრა, რომ შეუწყვეტდა დაფინანსებას.

**მოამზადა ლუკა ნემსაძემ**

მსოფლიო
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მინეაპოლისში მასობრივი საპროტესტო აქციები რესტორნის 46 წლის მცველ ჯორჯ ფლოიდის სიკვდილის შემდეგ დაიწყო. 25 მაისს პოლიციას ერთ-ერთი მაღაზიიდან აცნობეს, რომ მყიდველი ყალბი 20-დოლარიანი კუპიურით ცდილობდა ნივთის შეძენას. პოლიციელებმა გააჩერეს ფლოიდის ავტომობილი და მამაკაცი ძალისმიერი მეთოდით დააკავეს. ამის შემდეგ ჯორჯ ფლოიდი, რომელიც თითქმის აღარ სუნთქავდა, მიიყვანეს საავადმყოფოში, სადაც გარდაიცვალა.**

# ტრამპს ფერადი რევოლუცია აუგორეს

## აშშ-ში საპროტესტო აქციები დარბევებსა და ძარცვაში გადაიზარდა



**აშშ-ის ქალაქ მინეაპოლისში რამდენიმე დღის განმავლობაში არ ცხრებოდა საპროტესტო აქციები, მიზეზი შავკანიანი მამაკაცის სიკვდილია, რომელიც მაშინ დაიხრჩო, როცა პოლიციელები აკავებდნენ.**

მაროდიორები არბევდნენ და ძარცვავდნენ მაღაზიებს, სცემდნენ თანამემამულეებს, რომლებიც ცდილობდნენ არეულობებისთვის ხელის შეშლას. ქალაქში გაჩნდა ხანძრის კერები და იყო სროლები. ვითარების დასარეგულირებლად ხელისუფლებამ მინეაპოლისსა და სხვა ქალაქებში ეროვნული გვარდია შეიყვანა და კომენდანტის საათი დააწესა. შემდეგ აქციების ტალღამ ამერიკის რამდენიმე ქალაქს გადაუარა.

მინეაპოლისში მასობრივი საპროტესტო აქციები რესტორნის 46 წლის მცველ **ჯორჯ ფლოიდის** სიკვდილის შემდეგ დაიწყო. 25 მაისს პოლიციას ერთ-ერთი მაღაზიიდან აცნობეს, რომ მყიდველი ყალბი 20-დოლარიანი კუპიურით ცდილობდა ნივთის შეძენას. პოლიციელებმა გააჩერეს ფლოიდის ავტომობილი და მამაკაცი ძალისმიერი მეთოდით დააკავეს. ამის შემდეგ **ჯორჯ ფლოიდი**, რომელიც თითქმის აღარ სუნთქავდა, მიიყვანეს საავადმყოფოში, სადაც გარდაიცვალა. სამართალდამცველთა თქმით, „მამაკაცს, როგორც ჩანს, ჯანმრთელობის პრობლემები ჰქონდა“. მინეაპოლისის მერმა **ჯეიკობ ფრეიმ** მოუბოდიშა გარდაცვლილის ოჯახს და ქალაქის შავკანიან მცხოვრებლებს. მომხდარის გამო პოლიციის თანამშრომლები, რომლებიც დაკავებაში მონაწილეობდნენ, დაითხოვეს, თუმცა ამ პოლიციელებით დაინტერესდა გამოძიების ფედერალური ბიურო, რადგან გარდაცვლილის ოჯახი ფლოიდის მკვლელების დასჯას მოითხოვს.

ფლოიდის სიკვდილმა ბევრს გაახსენა 43 წლის შავკანიანი **ერიკ გარნერის** სიკვდილი. ის 2014 წელს დაიღუპა პოლიციელის მიერ ჩატარებული „მახრჩობელა ილეთით“.

ქალაქში მალე დაიწყო საპროტესტო აქციები, რომლის მონაწილეებსაც ხელში ეჭირათ პლაკატები: „სუნთქვა არ შემიძლია“, „ვიხრჩობი“. აქციის მონაწილეთა რაოდენობამ თანდათან მოიმატა, შემდეგ კი აქცია არეულობებში გადაიზარდა და სხვა ქალაქებსაც მოედო.

მოამზადა
**ლუკა მაისურაძემ**



**P.S. მინეაპოლისის გარდა აშშ-ის კიდევ რამდენიმე ქალაქში საპროტესტო გამოსვლები არ ცხრება. ზოგიერთ შტატში მომიტინგეებმა დაარბიეს შენობები, გაძარცვეს მაღაზიები და დაწვეს პოლიციის მანქანები, საპასუხოდ კი სამართალდამცავებმა მათ წინააღმდეგ რეზინის ტყვიები და ცრემლმდენი აირი გამოიყენეს.**

**31 მაისს აშშ-ის დედაქალაქსა და 30-მდე ქალაქში კომენდანტის საათი დაწესდა. „სი-ენ-ენის“ ინფორმაციით, ხელისუფლებამ ეროვნული გვარდიიდან დაახლოებით 5 000 კაცი გამოიყვანა წესრიგის დასაცავად, საჭიროების შემთხვევაში გასააქტიურებლად მზად არის კიდევ 2 000 გვარდიელი. აშშ-ის პრეზიდენტმა მომხდარს შიგა ტერორისტული აქტი უწოდა და აქციების ორგანიზებაში ჯო ბაიდენი და მისი დემოკრატიული პარტია დაადანაშაულა. როგორც ჩანს, დონალდ ტრამპს „დემოკრატებმა,“ რომლებიც გამოცდილნი სხვადასხვა ქვეყანაში ფერადი რევოლუციის მოწყობაში, ტრამპს აშშ-ში აუგორეს ფერადი რევოლუცია.**





**მაროდიორები არბევდნენ და ძარცვავდნენ მაღაზიებს, სცემდნენ თანამემამულეებს, რომლებიც ცდილობდნენ არეულობებისთვის ხელის შეშლას. ქალაქში გაჩნდა ხანძრის კერები და იყო სროლები. ვითარების დასარეგულირებლად ხელისუფლებამ მინეაპოლისსა და სხვა ქალაქებში ეროვნული გვარდია შეიყვანა და კომენდანტის საათი დააწესა. შემდეგ აქციების ტალღამ ამერიკის რამდენიმე ქალაქს გადაუარა**



# ჩეხეთში უკრაინელებს «ჩეხებისთვის შეუფერებელი» სამუშაოს შესასრულებლად ელოდებიან

**ჩეხეთში მცხოვრებლებს არ სურთ, მოსავლის აღების სამუშაოების შესრულება, რადგან მიაჩნიათ, რომ ეს სამუშაოები მძიმე და ღირსების შემლახველია, — განაცხადა ჩეხეთის რესპუბლიკის მრეწველობისა და ტრანსპორტის კავშირის პრეზიდენტმა იაროვლავ განაკმა.**

განაკის თქმით, ჩეხ ფერმერებს სჭირდებათ, სულ ცოტა, 2 ათასი ადამიანი და ამიტომ დაჩქარდა ვიზების გაცემა უცხოელებისთვის, განსაკუთრებით **უკრაინისა** და **ბულგარეთის** მოქალაქეებისთვის. „მათ გარეშე ვერ შევძლებთ ხენდროსა და მარწყვის მოკრეფას. ეს ჩეხებისთვის შეუფერებელი სამუშაოა“, — განაცხადა მან.

ჩეხეთის სასოფლო-სამეურნეო სექტორში, ძირითადად, დაკავებულები არიან უკრაინელი და ბულგარელი მოქალაქეები. მას შემდეგ, რაც კორონავირუსით გამოწვეული პანდემიის გამო დაიხურა ქვეყნის საზღვრები, ჩეხური კომპანიები მოსავლის დაკარგვის საფრთხის წინაშე აღმოჩნდნენ.

წელს მათ, ვინც მისავლის აღებას დააპირებს, ნიღაბი უნდა ეკეთოთ და, ამასთანავე, დაიცვან ე.წ. სოციალური დისტანცია.

მოამზადა
**გიორგი გაჩეჩილაძემ**



# ევროზონის მშპ 8-12%-ით შემცირდება

## ევროპის ცენტრალურმა ბანკმა სამწუხარო პროგნოზი გამოაქვეყნა

**ეკონომიკაზე პანდემიის ნეგატიური გავლენის გამო ევროზონის ქვეყნების მშპ 8-12%-ით შემცირდება,** — განაცხადა ევროპის ცენტრალური ბანკის ხელმძღვანელმა **კრისტინ ლაგარდმა.**

ევროპარლამენტის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებაზე სიტყვით გამოსვლისას ევროპის ცენტრალური ბანკის მეთაურმა ისაუბრა „ეკონომიკური აქტიურობის მოულოდნელ გაჩერებაზე“, რომელიც 2008 წლის კრიზისზე რამდენიმეჯერ მძიმე რეცესიის საფუძველი შეიქნა.

ლაგარდის განცხადებით, ევროკავშირის ქვეყნებს წინ აქვთ „მასშტაბური ეკონომიკური კრიზისი“, რომელიც თავისი შედეგებით ყველაზე მძიმე იქნება მშვიდობიან პერიოდში.



მსოფლიო ბანკმა და საერთაშორისო სავალუტო ფონდმა განაცხადეს, რომ ევრაზიის ქვეყნების მშპ, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი სახელმწიფო კარანტინის რეჟიმიდან გამოდის, შემცირდება.

**iarex.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**ნიკა კორინთელმა**

ოცდამეხუთე გვერდი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**1944 წლის 20 ივლისს ჰიტლერის შტაბში შეთქმულები დაყოვნებული მოქმედების ნაღმს ააფეთქებენ. ფიურერი შემთხვევით გადარჩება. ჰიტლერი ბობოქრობს — თუ მსოფლიოში საუკეთესო სპეცსამსახურებმა თავიდან ვერ აიცილეს ტერაქტი, რატომ არ შეიძლება სტალინთან შეღწევა?! იგი მოითხოვს №1 მტრის დაუყოვნებლივ ლიკვიდაციას.**

**„საქართველო და მსოფლიოს“ 27 მაისის ნომერში გამოქვეყნებულ მასალას „ტერაქტები სტალინის წინააღმდეგ“ დავურთეთ ანონსი, რომ გაზეთის მომდევნო ნომერში რუბრიკით „ოცდამეხუთე გვერდი“ მკითხველებს დაწვრილებით მოვუთხრობდით გერმანული დაზვერვის მიერ იოსებ სტალინის წინააღმდეგ დაგეგმილი ტერორისტული აქტის ჩაფუშვის ამბავს. დღეს ვასრულებთ დაპირებას.**

# როგორ ჩაფლავდა ფაშისტების მიერ სტალინის ლიკვიდაციის მასშტაბური ოპერაცია




1944 წლის ზაფხული. ომის ღმერთმა გერმანიას ზურგი აქცია.

უჭერდა კი მხარს?

სტალინგრადის კატასტროფა, ტუნისში აფრიკული კამპანიის წარუმატებლობა, მოკავშირეთა ჯარების გადმოსხდომა სიცილიაში, მუსოლინის მარცხი და იტალიის კაპიტულაცია, ოკუპირებულ საფრანგეთში მოკავშირეთა ჯარების შეჭრა და ა. შ. ჰიტლერსა და მის გარემოცვას პანიკაში აგდებს.

**1944 წლის 20 ივლისს ჰიტლერის შტაბში შეთქმულები დაყოვნებული მოქმედების ნაღმს ააფეთქებენ. ფიურერი შემთხვევით გადარჩება. ჰიტლერი ბობოქრობს — თუ მსოფლიოში საუკეთესო სპეცსამსახურებმა თავიდან ვერ აიცილეს ტერაქტი, რატომ არ შეიძლება სტალინთან შეღწევა?! იგი მოითხოვს №1 მტრის დაუყოვნებლივ ლიკვიდაციას.**

გერმანიის სამხედრო დაზვერვის სარდლობა ემზადება, ფიურერს დაუმტკიცოს ერთგულება...

დივერსანტთა საწვრთნელ გერმანულ ბანაკში სხვებთან ერთად ამზადებენ განსაკუთრებულ აგენტს, გვარად **ტავრინს.** დადგა მისი გამოყენების დრო. ტავრინი რუსი კოლაბორაციონისტია, გერმანიის დაზვერვის — „ცეპელინის“ აგენტი.

...რიგის სამხედრო აეროდრომზე დგას ასაფრენად გამზადებული ოთხძრავიანი სპეციალური კონსტრუქციის სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავი, სამხედრო ტექნიკის სასწაულად აღიარებული მანქანა. თვითმფრინავში ტვირთავენ ეტლიან მოტოციკლს, რკინის ყუთებსა და ჩემოდნებს იარაღითა და სპეცსაშუალებებით. ტავრინს აცილებენ აბვერის (სამხედრო დაზვერვის) ხელმძღვანელები. დივერსანტი დათანხმდა ისეთი დავალების შესრულებას, რომელზეც მრავალი ადამიანის ბედია დამოკიდებული, შესაძლებელია – ომის შედეგიც.

თვითმფრინავი აღმოსავლეთისკენ იღებს გეზს.

1944 წლის ივნისში გერმანიის დაზვერვის ხელმძღვანელი **ვალტერ შელენბერგი** რაიხმინისტრ **რიბენტროპთან გამოიძახეს** სასწრაფოდ. მას გაანდობენ დიდ საიდუმლოს, რომელიც იციან მხოლოდ **ბორმანმა** და **ჰიმლერმა.**

რიბენტროპი დარწმუნებულია, რომ საბჭოთა რეჟიმი მხოლოდ ერთი ადამიანის ნიჭსა და უნარზე დგას.

**— უნდა მოვიშოროთ სტალინი, — ეუბნება იგი შელენბერგს. შესთავაზებს, შეიტყუონ საბჭოთა ლიდერი რომელიმე საერთაშორისო კონფერენციაზე და დიპლომატიური მოლაპარაკების დროს მოკლან გერმანელების მიერ დამზადებული ავტომატური კალმისტრით, რომელიც ხუთ მეტრზე ისვრის ტყვიას. ტერაქტის განხორციელებას საგარეო საქმეთა მინისტრი კისრულობდა. შელენბერგმა ეს გეგმა რიბენტროპის გონებრივი და ნერვული გადაღლის ნაყოფად მიიჩნია და უარყო: სტალინი არასოდეს დათანხმდება, შეხვდეს გერმანელებს იმ ვითარებაში, როცა გერმანია უეჭველად აგებს ომს.**

მაშინ იბადება სტალინის მოკვლის მეორე გეგმა.

ომის დაწყებისთანავე აშკარა შეიქნა, რომ სტალინი არის უმძლავრესი გამაერთიანებელი ფიგურა, რომელიც რაზმავს საბჭოთა ხალხს ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ. ამიტომ იყო, რომ ნაცისტური სპეცსამსახურები განიხილავდნენ სტალინის გაუვნებლობას მაინცდამაინც თავიანთი ძალებით, მეთოდებითა და შესაძლებლობით...

სპეციალური თვითმფრინავი დივერსანტით ბორტზე უახლოვდება ფრონტის ხაზს. ეს უნიკალური თვითმფრინავი, რომელიც დამზადებული იყო გერმანიის იმპერიული უშიშროების მთავარი სამმართველოს დაკვეთით მტრის ღრმა ზურგში სპეციალური ოპერაციების განსახორციელებლად, აღჭურვილია უთანამედროვესი ნავიგაციური მართვის მოწყობილობით, შეიარაღებულია ავიაგამანადგურებლებთან ბრძოლის ტყვიამფრქვევებით; სპეციალური, კაუჩუკის ოცბორბლიანი შასი საშუალებას აძლევს, აეროდრომად ნებისმიერი მინდორი გამოიყენოს. სპეციალური მოწყობილობისა და შეფერილობის წყალობით ღამის ცაში იგი უხილავია.

ნავარაუდევი იყო, რომ დანიშნულ ადგილზე დაფრენისთანავე აბვერის სპეცაგენტი გადაჯდებოდა ეტლიან მოტოციკლეტზე და მოსკოვისკენ გაემართებოდა.

**ტავრინის დაკითხვის ოქმიდან (დივერსანტს დაჰკითხავდნენ სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისარიატის გენერლები — რაიხმანი და ლეონტიევი, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის პოლკოვნიკი ბარიშნიკოვი):**

**„— რა დავალებით გადმოგისროლათ გერმანიის დაზვერვამ ფრონტის ხაზზე?**

**— დავალებული მაქვს, ჩავაღწიო მოსკოვში და განვახორციელო ტერორისტული აქტი საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელის იოსებ ბესარიონის ძე სტალინის, წინააღმდეგ.**

**— და თქვენც დათანხმდით?**

**— დიახ, დავეთანხმე. სხვა რა გზა მქონდა“.**

ვინ იყო აბვერის აგენტი პეტრე ტავრინი: საძულველი სტალინური რეჟიმის წინააღმდეგ მებრძოლი თუ დაქირავებული მკვლელი? კამიკაძე, რომელიც მზად იყო გაეწირა საკუთარი სიცოცხლე, თუ სისხლის სამართლის დამნაშავე? ან იქნებ იგი იყო გენიალური ავანტიურისტი, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში აბითურებდა გერმანიისა და საბჭოთა კავშირის დაზვერვებს?



**ტავრინის დაკითხვის ოქმიდან (დივერსანტს დაჰკითხავდნენ სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისარიატის გენერლები — რაიხმანი და ლეონტიევი, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის პოლკოვნიკი ბარიშნიკოვი):**
**«— რა დავალებით გადმოგისროლათ გერმანიის დაზვერვამ ფრონტის ხაზზე?**
**— დავალებული მაქვს, ჩავაღწიო მოსკოვში და განვახორციელო ტერორისტული აქტი საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელის, იოსებ ბესარიონის ძე სტალინის, წინააღმდეგ.**
**— და თქვენც დათანხმდით?**
**— დიახ, დავეთანხმე. სხვა რა გზა მქონდა».**

სტალინმა იმგვარად შეძლო საკუთარი დაცვის ორგანიზება, რომ მის მკვლელობის ყველა ცდა კრახით დამთავრდა. შეიქმნა ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს სტალინის წინააღმდეგ არავის ხელი არ აღუმართავს.

მაგრამ ეს მცდარი თვალსაზრისია...

თვითმფრინავი, რომლის ბორტზეც დივერსანტია, უკვე ერთი საათია, ჰაერშია. მიზნამდე საათ-ნახევარი დარჩა. ახლა შეუძლებელია იმის დადგენა, ფიქრობდა იმ დროს ტავრინი თავის გადარჩენის შანსზე თუ განსახორციელებელი ტერაქტის დეტალებს აზუსტებდა.

**თავდასხმის ვარიანტი იყო ორი: პირველის მიხედვით, სტალინის მანქანისთვის უნდა ესროლა პორტატული ყუმბარმტყორცნიდან, რომელიც გერმანელებმა სპეციალურად თავდასხმისთვის შექმნეს. მისი დამალვა ადვილად შეიძლებოდა სახელოს ქვეშ, ღულა ქამრებით მაგრდება მკლავზე, ჯიბეში — ჩართვის ღილაკიანი აპარატი აამოქმედებს, კუმულაციური 30-მილიმეტრიანი ყუმბარა 300 მეტრამდე დაშორებულ ჯავშანს ხვრეტს. საკმარისია, მიმართო ხელი მოძრავი მანქანის მიმართულებით, მეორე ხელით კი დააწვე ჯიბეში დამალულ ღილაკს, რომ მოწყობილობა ამოქმედდება და გაისვრის.**

**იყო მეორე, სამარქაფო ვარიანტიც. მის სარეალიზციოდ დამზადებული იყო მძლავრი ასაფეთქებელი მოწყობილობა, რომელიც დამონტაჟებული იყო პორტფელში.** ტავრინს დაზეპირებული ჰქონდა იმ ადამიანების მისამართები, რომლებიც დაეხმარებოდნენ 6 ნოემბრის საზეიმო სხდომაზე დასასწრებლად მოსაწვევი ბარათის შოვნაში. პორტფელი მას გენერალური მდივნის სიახლოვეს შეუმჩნევლად უნდა დაედო და რადიოსიგნალით აეფეთქებინა, როგორც ეს ჰიტლერზე თავდასხმის შემთხვევაში შტაუფენბერგმა გააკეთა. მაშინ გერმანელმა ვიცე-პოლკოვნიკმა პორტფელის აფეთქება თითქმის ჰიტლერის ფეხებთან მოახერხა, თვითონ კი იქაურობას უსაფრთხო მანძილით მოსცილდა.

მოახერხებდა კი ტავრინი იმავეს გამეორებას?

სტალინის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად გამოყენებული იყო ღონისძიებათა ძალიან ძლიერი სისტემა, ამიტომ თავდასხმის განხორციელებაზე გაფიქრებაც კი პირობითი იყო. სტალინზე თავდასხმა, ექსპერტების აზრით, მხოლოდ მისი უახლოესი გარემოცვის წევრს თუ შეეძლო, რადგან მხოლოდ ისინი ეკონტაქტებოდნენ უშუალოდ.

სტალინი მიჩვეული იყო აზრს შესაძლო თავდასხმაზე. ერთხელ მის აგარაკზე დარეკეს ცენტრალური კომიტეტიდან. ინკოგნიტო აფრთხილებდა, რომ დივანში, რომელზეც სტალინი ისვენებდა ხოლმე, დევს ასაფეთქებელი მოწყობილობა. პირადი დაცვის თანამშრომლები — **ტუკოვი** და **ხრუსტალევი** მყისიერად იწყებენ შემოწმებას. იღება კარი, შემოდის სტალინი და გაოცებული ეკითხება:

— რა ხდება აქ?

პასუხი რომ მოისმინა, გულიანად გაეცინა:

— თქვენც გჯერათ ამ სისულელის?!

და მშვიდად შევიდა კაბინეტში სამუშაოდ.

**სასწაული რომც მომხდარიყო და მოწ-** ▶

**აგენტ ტავრინის პირად დოსიეში მისი დამგეშავნი ჩაწერენ: „სძულს საბჭოთა წყობილება, კარგად ერკვევა ნებისმიერ ვითარებაში, უყვარს ფული“. ომის დროს საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მოქმედებდა ჰიტლერული გერმანიის 130-მდე სადაზვერვო ორგანო; 60-მდე სადაზვერვო სკოლაში გაერთიანებული ჰყავდათ მოღალატე მებრძოლები, ტყვეები, ადგილობრივი მოქალაქეები, რომლებიც სხვადასხვა მიზეზით უკმაყოფილონი და დაზარალებულნი იყვნენ საბჭოთა ხელისუფლების მიერ. 1943 წლის 25 აგვისტოდან შილო-ტავრინით სერიოზულად დაინტერესდა გესტაპო.**

ოცდამეხუთე გვერდი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ინააღმდეგის სპეცსამსახურების აგენტებს შეძლებოდათ, ჩასაფრებოდნენ საბჭოთა კავშირის ლიდერების ავტომანქანებს, გაბითურებულები დარჩებოდნენ, რადგან სამთავრობო „ზისები“ ცალ-ცალკე არ გადაადგილდებოდნენ, ხშირად იცვლიდნენ ადგილებს კოლონაში და იმის გარკვევა, მათგან რომელში იჯდა ბელადი, პრაქტიკულად შეუძლებელი იყო. ავტომანქანა, რომლითაც ჩვეულებრივ მგზავრობდა სტალინი, გარეგნულად სხვებისგან არ განსხვავდებოდა. ჯავშანკორპუსი, ტყვიაგაუმტარი შუშები და ზოგი სხვა რამ, რაც დღეს მეტნაკლებად საკუთარი თავის დაცვაზე მზრუნველი ოლიგარქების ავტომობილებში ჩვეულებრივი აღჭურვილობაა.**

ტავრინის ნამდვილი სახელი და გვარია **პეტრე ივანეს ძე შილო.** დაბადებულია 1909 წლის 12 ივნისს მეწაღის ოჯახში, მამა განაკულაკეს და დახვრიტეს 1918 წელს. 1930 წლამდე კულაკების მოჯამაგირე იყო. შემდეგ გადავიდა ქალაქ ნეჟინში. მოეწყო შრომის განყოფილებაში და აგროვებდა მუშახელს ხუთწლედის მშენებლობებზე სამუშაოდ. ერთ-ერთი მივლინების დროს ქალაქ სარატოვში ბანქოში წააგო 5 ათასი მანეთი, რომელიც მიცემული ჰქონდა მუშებისთვის ავანსის სახით დასარიგებლად. დააპატიმრეს. მაგრამ ქურდებთან ერთად დაშალა იმ შენობის კედელი, რომელშიც დროებით იყო მოთავსებული, და გაქცევა მოახერხა. იმალებოდა ჯერ ირკუტსკის, შემდეგ ვორონეჟის ოლქებში გავრინის, ტავრინისა და სერკოვის გვარებით. სახლი, რომელშიც ცხოვრობდა, ხანძრისგან დაიწვა. ჩაიფერფლა მისი პასპორტიც. ახალ დოკუმენტს ცოლის გვარზე აფორმებს — გავრინი ხდება. სწავლას იწყებს ვორონეჟის იურიდიულ ინსტიტუტში. პირველი კურსის დამთავრების შემდეგ მუშაობას იწყებს ვორონეჟის პროკურატურაში უფროს გამომძიებლად. ერთი წლის შემდეგ თავს ანებებს ამ სამუშაოს და გადაბარგდება კიევში, სადაც 1935 წელს კვლავ დააპატიმრებენ. სასჯელის მოსახდელად ვორონეჟში გაამწესებენ. იქიდანაც ახერხებს გაქცევას. დროებით თავს აფარებს ჯერ ტაშკენტს, შემდეგ — უფას. 1940 წელს პასპორტში ჩაწერილი გვარის პირველ ასოს „გ“-ს გადაასწორებს „ტ“-დ და ცხოვრებას ტავრინის გვარით განაგრძობს. სამუშაოდ ეწყობა სვერდლოვსკის ტრესტ „ურალზოლოტოს“ ერთ-ერთი გეოლოგიური-სამძებრო პარტიის უფროსად. 1941 წლის 14 ივლისს „წითელი არმიის“ რიგებში გაიწვევენ.

**შილო-ტავრინის დაკითხვის ოქმიდან:**

**„— როდის და რა ვითარებაში დაიწყეთ თანამშრომლობა გერმანიის დაზვერვასთან?**

**— 1942 წლის 30 მაისს, როცა კალინინის ფრონტის 30-ე არმიის 359-ე მსროლელთა დივიზიის 1196-ე პოლკის მეტყვიამფრქვევეთა ოცეულის უფროსი ვიყავი, დავიჭერი მუცლის არეში. გონებადაკარგული, გერმანელებმა დამატყვევეს, გადავყავდით საბჭოთა კავშირის, შემდეგ — გერმანიის ტერიტორიაზე მდებარე ბანაკებში. 1943 წლის ივნისში, როცა ციხეში ვიჯექი ტყვეთა ბანაკიდან გაქცევის მცდელობისთვის, გამომიძახა გესტაპოს ორმა ოფიცერმა. შემომთავაზეს გერმანიის დაზვერვასთან თანამშრომლობა. დავეთანხმე“.**

შილო-ტავრინი ატყუებდა ყველას, ვისთანაც გასდიოდა ტყუილი. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში რომ აღმოჩნდა, იქაც იტყუებოდა.

პირველ დაკითხვაზე, რბილად რომ ვთქვათ, ტავრინი თავისი ბიოგრაფიის გარკვეულ დეტალებს შელამაზებულად გადმოსცემს. „წითელი არმიის“ ოცეულის მეთაური ლეიტენანტი ტავრინი არასოდეს დაჭრილა და ტყვედ გონებადაკარგული არ ჩავარდნილა. 1942 წლის 30 მაისს იგი ნებაყოფლობით ჩაბარდა ტყვედ, მას შემდეგ, რაც ფრონტის ხაზი ფარულად გადაკვეთა. ყველაფერი მარტივად და ბანალურად მოხდა: აეშალა კუჭი, გადავიდა ბუჩქებში, იქ ჰიტლერელთა პროკლამაცია იპოვა, რომლითაც ნაცისტები ტყვედ ჩაბარებისკენ მოუწოდებდნენ საბჭოთა ჯარისკაცებს. ისიც ჩაბარდა.

გერმანელებს ტავრინმა თავიდანვე განუცხადა, რომ მზად არის მათთან სათანამშრომლოდ. ისინიც დაინტერესდნენ, მაგრამ მალევე დარწმუნდნენ, რომ არავითარ მნიშვნელოვან ინფორმაციას არ ფლობდა ეს კუჭაშლილი ლეიტენანტი და აღმოსავლეთ პრუსიის ტყვეთა ბანაკში გაგზავნეს. იქ მას დაავალეს საბჭოთა ტყვეებისთვის ჩამორთმეული წერილების დახარისხება. წერილებს შორის რაღაც ფასეულობებიც აღმოჩნდებოდა ხოლმე. ტავრინი მათ ითვისებდა. თავს ახსენებს აზარტული თამაშებისადმი მიდრეკილება. ამხელენ შულერობაში, უმოწყალოდ სცემენ. გერმანელები ჩამოაცილებენ იქაურობას და გადაჰყავთ ჰამერბურგის საგანგებო ბანაკში.

**რატომ ელოლიავებოდნენ ასეთ არასანდო ადამიანს ფაშისტები?**

გესტაპოს შეფი **მიულერი** 1941 წლის 17 ივლისის დირექტივაში მოუწოდებდა თავის ქვეშევრდომებს: ტყვეთა შორის გამოევლინებინათ ყველა პოლიტიკური, სისხლის სამართლისა და სხვა დანაშაულებისკენ მიდრეკილი ელემენტები, რომლებიც გამოადგებოდათ ბანაკში საჯაშუშოდ და იმათ სალიკვიდაციოდ, ვინც ნდობას არ იმსახურებდა. აბსოლუტურად ამორალური ტავრინი ნაცისტებს, როგორც ჩანს, ხელს აძლევდა.

**შილო-ტავრინის დაკითხვის ოქმიდან:**

**„— პერსონალურად ვის უნდა განეხორციელებინა ტერორისტული აქტი?**

**— ტერორისტული აქტის განხორციელება პირადად მე მქონდა დავალებული. მე ვიყავი აღჭურვილი სპეციალური იარაღით, მათ შორის, პორტატიულ ყუმბარმტყორცნ „პანცერკნაკეთი“, რომელიც გერმანელი კონსტრუქტორების მიერ სპეციალურად იყო დამზადებული.**



ტავრინი გერმანელ ოფიცერთან ერთად

**სტალინი მიჩვეული იყო აზრს შესაძლო თავდასხმაზე. ერთხელ მის აგარაკზე დარეკეს ცენტრალური კომიტეტიდან. ინკოგნიტო აფრთხილებდა, რომ დივანში, რომელზეც სტალინი ისვენებდა ხოლმე, დევს ასაფეთქებელი მოწყობილობა. პირადი დაცვის თანამშრომლები – ტუკოვი და ხრუსტალევი მყისიერად იწყებენ შემოწმებას. ილება კარი, შემოდის სტალინი და გაოცებული ეკითხება:**

**– რა ხდება აქ?**

**პასუხი რომ მოისმინა, გულიანად გაეცინა:**

**– თქვენც გჯერათ ამ სისულელის?!**

**და მშვიდად შევიდა კაბინეტში სამუშაოდ.**



ARADO 332

**— რა შემთხვევაში უნდა გამოგეყენებინათ ეს იარაღი?**

**— „პანცერკნაკე“ უნდა გამომეყენებინა მაშინ, თუ მექნებოდა საშუალება, თავს დავსხმოდი ქუჩაში მოძრავ სამთავრობო ავტომანქანას.**

**— რა მიზნით უნდა გამოგეყენებინათ დაკავების დროს თქვენთვის ჩამორთმეული მოწამლული და ფეთქებადი ტყვიები?**

**— ეს ტყვიები უნდა გამომეყენებინა იმ შემთხვევაში, თუ აღმოვჩნდებოდი ამხანაგ სტალინის გვერდით“.**

აგენტ ტავრინის პირად დოსიეში მისი დამგეშავნი ჩაწერენ: „სძულს საბჭოთა წყობილება, კარგად ერკვევა ნებისმიერ ვითარებაში, უყვარს ფული“.

ომის დროს საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მოქმედებდა ჰიტლერული გერმანიის 130-მდე სადაზვერვო ორგანო, 60-მდე სადაზვერვო სკოლაში გაერთიანებული ჰყავდათ მოღალატე მებრძოლები, ტყვეები, ადგილობრივი მოქალაქეები, რომლებიც სხვადასხვა მიზეზით უკმაყოფილონი და დაზარალებულები იყვნენ საბჭოთა ხელისუფლების მიერ.

1943 წლის 25 აგვისტოდან შილო-ტავრინით სერიოზულად დაინტერესდა გესტაპო. იგი გადაჰყავთ ფსკოვის ბანაკში, სადაც ამზადებდნენ დივერსანტებს საბჭოთა ტერიტორიაზე ტერორისტული აქტების მოსაწყობად. მასთან პერსონალურად მუშაობს შტურბანფიურერი ოტო კრაუსი.

**შილო-ტავრინის დაკითხვის ოქმიდან:**

**„— დაწვრილებით მოგვიყევით, როგორ აპირებდით ტერორისტული აქტის განხორციელებას.**

**— მაიორმა კრაუსმა დამავალა, რომ თვითმფრინავით დანიშნულების ადგილზე ჩასვლის შემდეგ უნდა შემეღწია მოსკოვში და ლეგალურ მდგომარეობაზე გადავსულიყავი.**

**— მოსკოვში როგორ უნდა შეგეღწიათ?**

**— ბალტიისპირეთის ფრონტის 39-ე არმიის კონტრდაზვერვის „სმერშის“ უფროსის მოადგილის დოკუმენტები, რომლებითაც მომარაგებული ვიყავი, დაუყოვნებლივ უნდა შემეცვალა, რადგან ამ დოკუმენტებით მოსკოვში დიდხანს ყოფნა საშიში იყო, ასე ამიხსნა კრაუსმა. მოსკოვში ჩასვლის შემდეგ უნდა დამემზადებინა დოკუმენტი „წითელი არმიის“ ოფიცრის სახელზე, რომელიც დაჭრის შემდეგ შვებულებაში იმყოფებოდა“.**

1944 წლის გაზაფხულისთვის ტავრინის მომზადება დამთავრდა. იგი აღჭურვეს შესაბამისი დოკუმენტებითა და ჯილდოებით. გადასცეს საბჭოთა კავშირის გმირის ოქროს ვარსკვლავი და ლენინის ორდენი, ხუთი მედალი, რომლებითაც დაჯილდოებული იყო გერმანელების მიერ წამებით მოკლული გვარდიის გენერალ-მაიორი ივან შეპეტოვი. ფიქტიური დოკუმენტები ტავრინს გაუმზადა CC-ის ობერშტურბანფიურერმა ბერჰარდ კრიუგერმა.

შილო-ტავრინი შეაიარაღეს რამდენიმე პისტოლეტით, რომლებიც დატენილი იყო მოწამლული ტყვიებით, „პანცერკნაკეს“ ორი ნაღმსატყორცნით, მაგნიტური ნაღმით, პორტატული რადიოგადამცემითა და დეშიფრების ბლოკნოტებით. მოსკოვში ტავრინი უნდა დაკავშირებოდა იმ ანტისაბჭოთა მოძრაობის წარმომადგენლებს, რომლის წევრები ვითომ იყვნენ გენერალი ზაგლადინი, თავდაცვის სახალხო კომისარიატის კადრების სამმართველოდან და მაიორი პალკინი ოფიცერთა რეზერვის პოლკის შტაბიდან. ისინი უნდა დახმარებოდნენ შილო-ტავრინს, შეეღწია კრემლში გამართულ საზეიმო სხდომაზე, რომელსაც დაესწრებოდა სტალინი და მოეკლა საბჭოთა ბელადი, მაგრამ, თუ ტავრინი კრემლში ვერ შეაღწევდა, იგი უნდა ჩასაფრებოდა სტალინს, აეფეთქებინა მისი ავტომანქანა და მოწამლული ტყვიებით დაეცხრილა იოსებ ბესარიონის ძე.

**საზღვრის გადაკვეთის პირველი მცდელობა 1944 წლის ივნისში განხორციელდა.**

თვითმფრინავი „არადო 232 A8“, რომლის მეთაური იყო უნტეროფიცერი ბრუნო დავიდსი, მიწას მოსწყდა, გადაკვეთა ფრონტის ხაზი და კურსი რჟევისკენ აიღო, ტავრინს ეჭვები აწუხებს: ნუთუ ეს არის ბილეთი მხოლოდ ერთი მიმართულებით?! იხსენებს ოპერაციის ხელმძღვანელთან CC-ის ობერშტურბანფიურერ დოქტორ გრეიფის საუბარს, რომელიც არწმუნებდა, რომ ოპერაცია გულდასმითა და დეტალურად იყო გათვლილი და ტერაქტის განხორციელების შემდეგ მას გულუხვად დაასაჩუქრებდნენ.

დაიჯერა ტავრინმა თავისი შეფის სიტყვები? შესაძლებელია, რომ ენდო კიდეც, ყოველ შემთხვევაში, იქამდე, სანამ ტერაქტის მთავარი მიზნის ვინაობას გაიგებდა.

**(დასასრული შემდეგ ნომერში)**

მოამზადა
**არმაზ სანებლიძემ**

მწარე სიმართლე
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„გამოდის, რომ შესაძლოა, ერთს ქვეყანაში ორჯელ ორი ხუთი იყოს, თუ ეხეირება, რასაკვირველია, და სხვაგან-კი მომაკვდინებელი ცოდვა იქნება, თუ ორჯელ ორი ოთხად არ არის მიღებული. ამისი მაგალითები ათასია და უჩვენოდაც გონების თვალწინ გაიტარებს მკითხველი, თუ კი არ დაიზარა...“**

რუბრიკას უძღვება დარეჯან ანდრიაძე

# «რაც გინდ ოსტატურად ამრუდო სასწორი ჭეშმარიტებისა, ადრე იქნება თუ გვიან, გამრუდებულს სასწორს თავის ლარზედ დააყენებს ლოღიკა ერისა»

„ძნელია, როცა თქმასა და ქმნას შუა ხიდი ჩატყდება. აი მაგალითი ამისთანა ყოფისა, რომელმაც გამოიწვია ეს ჩვენი საუბარი და რომელიც ერთი მრავალთაგანიაო“, — ასე იწყებს ილია მკითხველთან ამ მეტად მტკივნეულ საკითხზე მსჯელობას. როგორც ჩანს, ეს ჩვენი მარადიული პრობლემაა, რადგან არც დღეს **„აღარაფერს ვერიდებით, ვასორსლებთ ტალახის გუნდას და პანტასავით თავზე ვაყრით“ იმ ადამიანს, რომელსაც გულით სწადია საქვეყნო საქმის, ერის სამსახური, ჩვენ კი ოდნავ წაფორხილებისთანავე მზად ვართ ნიშნის მოსაგებად და მისი სახელის ლაფში ამოსასვრელად. საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ პარლამენტში გამოსვლისას აღნიშნა: „უმძიმესი საყურებელია არა მხოლოდ ჩემთვის, არამედ დარწმუნებული ვარ იმ მოქალაქეებისთვის, რომლებიც ამას უყურებენ, კომპეტენციისგან, შინაარსისგან დაცლილი, სასოწარკვეთილი და დეგრადირებული ოპოზიციაო“. მართლაც, როდემდე შეიძლება მანიპულირება ბავშვების გაჭირვებით, თითოეული მოქალაქის სიღარიბით? ვეღირსებით ოდესმე ობიექტურ, შინაარსობრივ ოპონირებას პოზიციისა და ოპოზიციის, წარსულს ჩაბარდებიან ოდესმე ინსტინქტებით მართული, გაბრაზებული, ხელების ქნევით, ყვირილით მოლაპარაკე სახეწაშლილი პოლიტიკოსები?**

დღეს საქართველოში მოქმედებს „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონი, მასში ცნება „ცილისწამება“, ზოგადად, განმარტებულია, როგორც „არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი და პირისთვის ზიანის მიმყენებელი, მისი სახელის გამტეხი განცხადება“, თუმცა ერთმანეთისგან განსხვავებულია კერძო პირის ცილისწამებისა და საჯარო პირის ცილისწამების გამო პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძვლები. **ბოკუჩავამ ჯალათი უწოდა გიორგი გახარიას — „სისხლიანი ხელებს ვერ დამალავთო“. მისი ნათქვამი ყოველი სტრიქონიდან გამოკრთოდა, რომ „აქ ნაწყენი, გადამტერებული, დამუქრებული გული მოქმედებს და არა გამკითხველი, გულდინჯი, ჭკუადამჯდარი მართალი“.**

„ამ ლაფის წვიმის ქვეშ“ კი ბატონ გახარიას მოუწია დგომა, რადგან, როგორც დიდი ილია ბრძანებს, ამ წვიმის ქვეშ „უფრო იმისთანანი ჰდგანან, რომელთაც უბედური სვე შეხვედრიათ და გამოსულან გასარჯელად საზოგადო მოედანზედ საზოგადო სამსახურისათვის შეძლებისამებრ“. ილიას აზრით, „იმისთანა უნუგეშო, უმწეო, ხელთაღუპყრობელი კაცი არ არის ჩვენში, როგორც საზოგადო საქმის მოღვაწე“, რადგან, **„როგორც გადატეხილს ღობეს, დიდი და პატარა მისდგომია და სთელავს, არავის სტკენს გულს ეს ასეთი უსამართლო ქცევა, არავის ეზიზღება, არავის ეთაკილება“.**

ამ ცოტა ხნის წინათ კი შალვა ნათელაშვილმა თავის „ფეისბუკ“-გვერდზე დაწერა: „ამერიკული პოლიტიკის ამომავალმა ვარსკვლავმა, ჩემმა მეგობარმა სენატორმა ტედ კრუზმა შეასრულა დაპირება, ყველაზე კრიტიკულ მომენტში დადგა ქართველი ხალხის გვერდით და ბიძინა ივანიშვილის თავზე აღმართა ფინანსურ სანქციათა გილიოტინა. თქვენი სახელით უდიდეს მადლობას ვუხდი მას“. რაც შეეხება საპატრიარქოსთვის ტყის ფართობის გადაცემას, მისი თვალსაზრისი ასეთია: „მორიგი წინასაარჩევნო ქრთამი საპატრიარქოს, ამჯერად ტყეების სახით. ახლა ნახეთ ღვთისმმოსავი მეუფეების სირბილი ღვთისკაც ივანიშვილზე ხმათა შესაგროვებლად. რა ბედი ქონია ჩვენს ხალხს — არც მღვდელი, არც გზირი მისთვის არ ყოფილა... საპატრიარქომ დაიკავა თანამმართველის, ფეოდალთა, ღმერთის სახელით ბიზნესის მკეთებელთა ადგილი“.

რას იზამ! გამოხატვის თავისუფლება წარმოადგენს დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ ფუნდამენტურ საფუძველს, მისი განვითარებისა და პიროვნების თვითრეალიზების მთავარ პირობას, ამიტომ დემოკრატიულ საზოგადოებაში გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა მხოლოდ იშვიათად შეიძლება აღმოჩნდეს აუცილებელი. ასეთია ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს პრაქტიკა. ამ პრაქტიკით დადგენილ სტანდარტებს შეესაბამება საქართველოს კანონიც „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“. **ჰოდა, „გამოხატა“ ბატონმა შალვამ, „მოახდინა თვითრეალიზება“, უფრო სწორად, გადმოანთხია შხამი და ბალღამი, რომელიც საქართველოსადმი მის სიძულვილს უფრო ჰგავს, ვიდრე რომელიმე კონკრეტული პიროვნებისადმი. და ის ყველაფერ ამას „დადგენილი სტანდარტების შესაბამისად“ აკეთებს და პასუხსაც არავინ სთხოვს.**

**გახარიამ კი — „ჩვენ უნდა ჩავატაროთ შესანიშნავი, იდეალური არჩევნები ამ ქვეყანაშიო“. ეს არა მხოლოდ გახარიას, მთელი საზოგადოების დიდი სურვილიცაა, მაგრამ ამისთვის მხოლოდ ჩვენი მოქალაქეების სიბრძნე, თანადგომა და მხარდაჭერა, არა გვგონია, საკმარისი იყოს; არა გვგონია, ჩვენს „მეგობრებს“ ხელს აძლევდეთ, რომ საქართველოში „შემდგომი პარლამენტი იქნეს ბევრად ხარისხიანი, შინაარსობრივი და ბევრად უფრო კომპეტენტური“. და ეს, ბატონო გიორგი, თქვენც მშვენივრად მოგეხსენებათ, მაგრამ, თუ ამ რეალობასთან შეგუებას არ აპირებთ, წინ დიდი ბრძოლა გელოდებათ, ამისთვის მზად ხართ? მით უფრო, რომ ახლა ის დროა, როცა „არ გამარჯვება, იმედთა გამტყუნება, შეცდომილება საზოგადო მოღვაწისა ჩვენ სასიხარულო ამბავ მიგვაჩნია იმიტომ, რომ შემთხვევას გვაძლევს, ლანძღვის გუდას პირი მოეხსნათ და გაბიაბრუებს, გაუპატიურებს საწამლავში ამოვლებულ ისრით გულს გავურევთ და რამდენად უფრო სატკენი, საწყენია ეს ამბავი მოღვაწისათვის, მით უფრო ბევრს ბარაქალას ვეუბნებით მსროლელსა“.**



გიორგი გახარია

**კარად, უფერმარილოდ, უტყუილოდ და უხვანჯოდ.** ლიტერატურას სხვათა შორის ერთი შვილი ჰყავს, რომელიც დღეს ყველა სხვა შვილებზე უფრო გაძლიერებულია, უფრო გავლენიანია. ამ შვილს „ჟურნალ-გაზეთობას“ ეძახიან. ამ ჟურნალ-გაზეთობაზე, რომელიც სხვა არა არის-რა გარდა ყოველ-დღიურის სარკისა, ერი აჭდევს ხოლმე თავის ავკარგიანობასა დღითიდღემდე. აი, სავაგლახო ის არის, როცა ზემოხსენებული ჭირი აქ, ამ ჟურნალგაზეთობაშიაც დაიბუდება, როცა აქ თქმა და ქმნა ერთმანერთის განუყრელნი და-ძმანი არ არიან. მაგრამ რა თქმა და რა ქმნა!

დღევანდელ ჟურნალგაზეთობას სხვა რა სჭირს კარგი, რომ ეგა სჭირდეს და თქმასა

## «ისე გაბიაბრუებული, ისე გაუპატიურებული არავინ არის ჩვენში, როგორც სვეუბედური მსახური საზოგადო საქმისა. აქაოდა, მოედანზედ სდგას და ნიშანში ადვილი ამოსაღებიაო, აღარაფერს ვერიდებით, ვასორსლებთ ტალახის გუნდას და პანტასავით თავზე ვაყრით. უცდომელი არავინ არის და შესაძლოა, საზოგადო მოღვაწე ბევრში სცდებოდეს, ბევრში არ ემარჯვოს, ბევრში იმედი გაუმტყუნდეს...»

**თუმცა საზოგადო საქმის მსახურთა გზა არასოდეს ყოფილა ია-ვარდით მოფენილი, მაგრამ „რაც გინდ ოსტატურად ამრუდო სასწორი ჭეშმარიტებისა, ადრე იქნება თუ გვიან, გამრუდებულს სასწორს თავის ლარზედ დააყენებს ლოღიკა ერისა“.**

**მოვუსმინოთ ისევ დიდ ილიას.**

### ყალბი და ნამდვილი

I

ლოღიკა თითქო ბაჟს რასმე ემალებაო, სადღაც გაექცა, სადღაც დაეკარგა ადამიანსა. ღრმად დაკვირვება არ არის საჭირო, კაცმა დაინახოს, რომ ადამიანის ჭკუას რაღაც გაუტყდა, ბუნებური მართულები მოეშალა, რაღაც სალტე ან მოჰშვებია, ანუ უფრო მეტად წასჭერია, რაღაც სოლი ამოვარდნია და ძირით თხემამდე თავი და ბოლო დაჰბნევია.

კაცს ეხლანდელ დროში ვერა გაუგია რა, ვერა გამოურკვევია-რა. ხედვით ერთსა ჰხედავს, სმენით სულ სხვა ესმის. არის ერთი არეულობა. **იპარვენ პატიოსნების სახელითა და არავინ ჰკითხულობს: სად პატიოსნება და სად მპარაობა? აბეზღებენ და ცილსა სწამებენ გულმტკივნეულობის სახელითა და არავინ ჰკითხულობს: სად ცილი და ბეზღი და სად გულმტკივნეულობა?** ღალატობენ საქმეს, ჰღალატობენ ერთმანეთსა ერთგულობის სახელითა და არავინ ჰკითხულობს: სად ღალატი და სად ერთგულობა?

**სხვის ნაკლს, სხვის უბედურობას თვის ღირსებად, თვის ბედნიერებად, თვის სიხარულად სთვლიან კაცთმოყვარეობის სახელითა და არავინ ჰკითხულობს: სად სხვის ნაკლის და უბედურობის გამო სიხარული და ცეკვა და სად კაცთმოყვარეობა? სტყუიან, ცრუობენ სიმართლის სახელითა და არავინ ჰკითხულობს: სად ტყუილი და სად სიმართლე?**

**კაცს სამარცხვინო ბოძზედ ტყუილ-უბრალოდ გასაკრავად არა ჰზოგვენ, არ ჰთაკილობენ, და იძახიან-კი, — ადამიანის ღირსება, ადამიანობა ხელშეუხებელია, სათაყვანებელიაო, და გამკითხავი არავინ არის: სად ტყუილუბრალოდ ადამიანის თავზე ლაფის დასხმა და სად ხელშეუხებლობა ადამიანის ღირსებისა?**

ათასს ამისთანას ჩამოგითვლით, საცა თქმა საქმეს არ ებმის და საქმე თქმას არ ემსგავსება, არ ეთანხმება. ყველაფერი ეს ცარიელის სახელით გადის და სახრავს-კი არავინ დაგიდევთ. ფიცი სწამთ და ბოლო კი არავის აკვირვებს, თქმა ერთია და ქმნა სხვა. ნუთუ ამას არ ეთქმის, რომ ლოღიკა დაკარგულია, ხელიდამ წასულია, სადაც ბარდებში განაბული?..

ეს ყოფა და ამბავი დიდი ჭირია. ამ ჭირს კაცთა კერძო ცხოვრების ერთმანერთობაში ადამიანი კიდევ როგორც იქმნებოდა, ვაითა და ვაგლახით აიტანდა, გაუძლვებოდა. ვიდრე ქვეყანაზე კაცია, ბოროტიც არის, და ბოროტი ხომ იმითია მარტო სულდგმული, რომ თქმა ერთი აქვს და ქმნა სხვა... სულ სხვაა და დიდი და მეტისმეტი უბედურებაა, როცა ეს ბოროტი, ეს ჭირი გზას გაიხსნის, მოედანს მოიპოვებს იქ, სადაც თქმა და ქმნა ერთი უნდა იყოს, სადაც ჭეშმარიტება უნდა ჭეშმარიტობდეს, მართალი ჰმართლობდეს, კეთილი ჰკეთილობდეს და პატიოსნება ჰპატიოსნებდეს, სადაც ხმა ერისაა და მაშასადამე, ღვთისაცა. ამისთანა „წმიდა წმიდათა“ ლიტერატურაა, საცა **ჭკვათამყოფელი, უკეთესი, თავანკარა ნაწილი ერისა უნდა მეტყველებდეს აშ**და ქმნას ერთმანერთს არ აშორებდეს და ერთმანერთს არ უპირისპირებდეს. ჩვენ არ ვიცით არც ერთი შემაძრწუნებელი ზნე, რომ დღეს ჟურნალ-გაზეთობაში არ დაბადებულიყოს, ოღონდ, ავად თუ კარგად, ჟურნალ-გაზეთობასთან მოსათავსებელი იყოს და ასე თუ ისე მოსახმარებელი. გამოცინცვლა რისამე გნებავთ ვისგანმე, იპოვით იმისთანა ჟურნალ-გაზეთს, რომელიც მზაა სამსახურისთვის. სახელის გატეხა გინდათ ვისიმე, რამ სიგძეთაც გნებავთ დაგრიხეთ ბაწარი ჭორებისა და იპოვით იმისთანა ჟურნალ-გაზეთს, რომელიც სიხარულით დაგითმობთ ადგილსა და თავს მოიწონებს კიდეც ლიბერალობითა. მაშ... ყველას ჰპენტავს და სწეწავს, — ლიბერალობა არ არის, მა რა ეშმაკია!...

**ჯავრის ამოყრა გინდათ ვისიმე, შესთხზეთ ერთი სამარცხვინო ამბავი თქვენს გამჯავრებელზედ, მოაყარეთ პილპილი ცილისწამებისა, მარილი ლაზათიანის გინებისა და გათავებულია საქმე.** არიან იმისთანა გაზეთები, რომელნიც არამცთუ ხელაღპყრობით მიგიღებენ, როცა მიუტანთ ამისთანა განძსა დასაბეჭდად, არამედ თვით მოგნახავენ და თავს შე-

**„განა განკითხვა ადამიანისა არ შეიძლება ზრდილობიანი, თავაზიანი, და მართებული იყოს?! დღეს ჭეშმარიტად განათლებული და გულით და გონებით განათლებისაგან გაფაქიზებული და განწმენდილი კაცი ითხოვს, რომ ადამიანურად, ადამიანის ღირსების ძირს დაუშვებლად ექცევოდნენ თვით ავაზაკსაც კი, რომელიც უკვე წამოსკუპებულია დამნაშავეთა სკამზედ და მსჯავრი მის მიერ შეგინებულის სათნოებისა უკვე თავს დასტრიალებს სამართლიან ზღვევისათვის“.**

მწვანე სიმართლე
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ მოგევლებიან, ოღონდ ხელიდან არ წაუვიდეთ თქვენ მიერ შეთითხნილი ლანძღვა-გინება. ჭირთა-ჭირი ეს არის, რომ აღარც მკითხველებსა აქვთ ხალისი და კბილი უკეთესის კითხვისათვის. შეაჩვიეს ყური ამისთანა უწმაწურს ქარაფშუტობას და ცუღლუტობას... ძნელია, როცა სახელმძღვანელო დედააზრებს ფეხქვეშედამ მიწა გამოეცლება; ძნელია, როცა თქმასა და ქმნას შუა ხიდი ჩატყდება. აი მაგალითი ამისთანა ყოფისა, რომელმაც გამოიწვია ეს ჩვენი საუბარი და რომელიც ერთი მრავალთაგანია.

**კითხულობთ ჟურნალ-გაზეთებს და გიკვირთ, — რაზედ შემოსწყრომია მწერლობა ლოღიკასაო? სად მიჰმალვია სახელმძღვანელო დედააზრი, რომ ესე არახუნებს უთავბოლოდაო?** აი, რაშია საქმე... ეხლაც არ დაგვეთანხმებით, რომ ლოღიკა საძებნელი და საპოვნელი გაუხდა ადამიანსა ცალკედ და მწერლობასა საერთოდ! აბა, ეხლა იანგარიშეთ, რამდენი ამისთანა გაზეთია, რომელიც დედააზრობით ერთს გვეფიცება და საქმით კი სულ სხვასა საქმობს. არ შეიძლება, რომ ჩვენ თვითონ არ ვაქეზებდეთ ამისთანა მიმართულებას, თორემ დღეს-აქამომდე ამისთანა მწერლობას სული ათჯერ ამოეხუთებოდა, რადგანაც, როგორც ჭირიანს, შემოეფანტებოდნენ მკითხველები და მკითხველები იძლევიან მას, რითაც მწერლობაც ავად თუ კარგად იკვებება და სულდგმულობს. რაკი ესეა, ბოროტიც ამ მხრით არის გაძლიერებული და ამაშია დღის სავალალოც.

II

კვირანდელს ნომერში ჩვენმა მეთაურმა წერილმა შეჰნიშნა, რომ დღევანდელს დღეს ლოღიკა სადღაც გაჰქცევია და ადამიანის ჭკუა-გონებას ღერძი გასტეხიაო. ამან ისე აშკარად არსად არ იჩინა თავი, როგორც მწერლობისა და საზოგადო მოღვაწეობის სარბიელზედ. თუ თვალი გიდევნებიათ, შეუძლებელია არ შეგენიშნოთ იმისთანა მწერალნი, პუბლიცისტები, საზოგადოდ მოსაქმენი და მოღვაწენი, რომელნიც რასაც შინ თვითონ სდევნიან და ჯვარს აცმენ, იმის ნათალს დევნულობასაც-კი სხვა ქვეყანაში მომაკვდინებელ ცოდვადა სთვლიან და არის ერთი ჭექა და ქუხილი იმ ქვეყნის მტარვალობასა და ბარბაროსობაზედ. **გამოდის, რომ შესაძლოა, ერთს ქვეყანაში ორჯელ ორი ხუთი იყოს, თუ ეხეირება, რასაკვირველია, და სხვაგან-კი მომაკვდინებელი ცოდვა იქნება, თუ ორჯელ ორი ოთხად არ არის მიღებული. ამისი მაგალითები ათასია და უჩვენოდაც გონების თვალწინ გაიტარებს მკითხველი, თუ კი არ დაიზარა...** მეცხრამეტე საუკუნემ, რომელმაც ასეთი ძლევამოსილობა გამოიჩინა ყველაფერში, რომელმაც მანძილი და დრო დაიმორჩილა, ზღვა ყურმოჭრილ ყმად გაიხადა, უზარმაზარი მთები გასჭრა და გაარღვია, ცა და დედამიწა ხელის გულზედ გადიშალა, ამ მეცხრამეტე საუკუნემ ვერა უხერხა-რა, რომ ბუნებით მონიჭებული ლოღიკა საზოგადოდ მოღვაწე კაცს შერჩენოდა. ეს, რასაკვირველია, მარტო იმ ცალკე კაცებზედ ითქმის, ვისაც ბედმა არგუნა თავის ასე თუ ისე გამოჩენა საზოგადო სარბიელზედ. უფრო ის ერთნი პოლიტიკოსები და მწერალნი არიან ამაში დამნაშავენი. ხოლო, ამათ წინააღმდეგი არის ერთი არსება, რომელსაც ერს ეძახიან და რომლის სიღრმეშიაც, როგორც ზღვის ძირში მარგალიტი, თავს ინახავს ლოღიკა და, მაშასადამე, მართალიცა. საცა ეგ ერი თვალახილებულია, იქ დიდი მანძილი, დიდი საგზალი არა აქვს ულოღიკოდ რახუნსა და უდედააზრო საქმესა. ამის მაგალითს წარმოგვიდგენს იგივ ინგლისის ერი, რომელიც ჰოშენისთანა კაცებსა იმისთანა მხნე მეომარს მიუსევს ხოლმე, როგორიც სახელოვანი გლადსტონია... **ტყუილს მოკლე ფეხები აქვს; იმას, რომ რაც გინდ ოსტატურად ამრუდო სასწორი ჭეშმარიტებისა, ადრე იქნება თუ გვიან, გამრუდებულს სასწორს თავის ლარზედ დააყენებს ლოღიკა ერისა.** იგი აღტაცებით და დიდის პატივით მიეგება გლადსტონს და მით მხარიღლივ წუნი დასდო ჰოშენისთანა კაცებსა. **ნათქვამია: ჭკუა რომ დაიკარგოს, მთაში მონახეო. არა, ჭკუა რომ დაიკარგოს, ხალხში უნდა მონახოთ. სულიერს განძს კაცობრიობისას აქა აქვს თავისი სალარო და ლოღიკაც — ეს უკეთესი ნიჭი ადამიანისა — აქა ჰპოულობს თავის სადგურსა.**

**დაიბეჭდა გაზეთ „ივერიაში“, 1887 წელი, 17-19 ოქტომბერი.**

## საზოგადო საქმის მსახურთა სახელის დაცვისათვის

**ჩვენი გაზეთი მეტად ჰფრთხილობს, რომ არა რომელიმე კაცი არ იყოს გაბიაბრუებული, გაუპატიურებული არც მართლად და არც ტყუილუბრალოდ. გაბიაბრუება, გაუპატიურება ვისიმე საკადრისი არ არის არც ცალკე კაცისაგან, არც ლიტერატურისაგან, რომელიც მართებულობისა და რიგიანობის მაგალითი უნდა იყოს და, თუ ან ერთი აკლია, ან მეორე, ღირსი არ არის, წმინდა სახელი ლიტერატურისა ატაროს.** ჭუჭყიანი სიტყვა-პასუხი, ჭუჭყიანი გულისნადები, რომელიც ზედ აბეჭდია ხოლმე ყოველს კაცს, სხვის გასაბიაბრუებლად გამოლაშქრებულს, მეტისმეტად ცხადი ნიშანია თვითონ მოლაშქრეს უწმინდურობისა და ჭუჭყისა.

ჩვენ ამის თაობაზედ არაერთხელ გვქონია ლაპარაკი და ისიც დაგვიმატებია, რომ ეს ჩვენი აზრი იმას კი არა ჰნიშნავს, ვითომც კაცი განკითხული არ უნდა იყოს, როცა გასაკითხავია. ხოლო განკითხვაც არის და განკითხვაც. **განა განკითხვა ადამიანისა არ შეიძლება ზრდილობიანი, თავაზიანი, და მართებული იყოს?! დღეს ჭეშმარიტად განათლებული და გულით და გონებით განათლებისაგან გაფაქიზებული და განწმენდილი კაცი ითხოვს, რომ ადამიანურად, ადამიანის ღირსების ძირს დაუშვებლად ექცევოდნენ თვით ავაზაკსაც კი, რომელიც უკვე წამოსკუპებულია დამნაშავეთა სკამზედ და მსჯავრი მის მიერ შეგინებულის სათნოებისა უკვე თავს დასტრიალებს სამართლიან ზღვევისათვის.**

თუ ავაზაკს ესე უნდა მოვექცეთ, მაშ როგორ უნდა მოვექცეთ ერთმანერთს, როცა ბედი და გარემოება შეგვახვედრებს ხოლმე ერთმანერთის განსაკითხად? ცხადია, როგორც, მაგრამ, **ჩვენდა სამწუხაროდ, ჩვენში მართებულ, ზრდილობიან განკითხვისათვის ბევრს აკლია საფანელი, ბევრს გული და გონება ამისათვის საკმაოდ განწმენდილი, გაწურთვნილი არა აქვს. ამიტომაც ისეთს თავზედ ხელაღებულს ლანძღვა-თრევას, ისეთის სიხარულით კაცის ავად ხსენებას არსად ნახავთ, როგორც ჩვენში.** საკმაოა ჩვენში კაცმა კაცს რაზედმე საბუთიანი უარი უთხრა, საკმაოა ერთს რომელსამე აზრზედ არ დაეთანხმო, საკმაოა შენი საკუთარი აზრი იქონიო, სხვის სიტყვას, სხვის საქმეს სამართლიანი წუნი დასდო, საკმაოა, რაც იმას მოსწონს, თქვენ არ მოიწონოთ, ერთ-ერთი ამისთანა საკმაოა-მეთქი, რომ მომდურავმა კაცმა თავისი კალამი თუ ენა ლაფში ამოავლოს და ზედ თავზედ დაგაბერტყოთ. სამწუხარო ჭირთა ჭირი ის არის, რომ ამის მომქმედს ბარაქალის ქუდსა ვხურავთ და ისიც გაბღინძული და გამოჭიმული დადის და უსირცხვილოდ ჰქადულობს თავის სამარცხვინო საქციელს.

დღე არ გადის, რომ ზოგიერთი ადგილებიდამ ესე ლაფში ამოვლებულ კალმით დაწერილი კორესპონდენციები არ მოგვდიოდეს. ზოგი ბაზარნიკსა ჰლანძღავს, ასეთი და ასეთიაო და სამსახურიდამ უნდა გაგდებულ იქმნასო, ზოგი მღვდელზედ, ზოგი ბლაღოჩინზედ, ზოგი მეზობელზედ, ზოგი მტერზედ, ზოგი მოყვარეზედ. **ყოველის სტრიქონიდამ გამოჰკრთის, რომ აქ ნაწყენი, გადამტერებული, დამუქრებული გული მოქმედებს და არა გამკითხველი, გულდინჯი, ჭკუადამჯდარი მართალი.**

ამ ლაფის წვიმის ქვეშ, რა თქმა უნდა, უფრო იმისთანანი ჰდგანან, რომელთაც უბედური სვე შეხვედრიათ და გამოსულან გასარჯელად საზოგადო მოედანზედ საზოგადო სამსახურისათვის შეძლებისამებრ. იმისთანა უნუგეშო, უმწეო, ხელთაღუპყრობელი კაცი არ არის ჩვენში, როგორც საზოგადო საქმის მოღვაწე. **როგორც გადატეხილს ღობეს, დიდი და პატარა მისდგომია და სთელავს, არავის სტკენს გულს ეს ასეთი უსამართლო ქცევა, არავის ეზიზღება, არავის ეთაკილება.** ისე გაბიაბრუებული, ისე გაუპატიურებული არავინ არის ჩვენში, როგორც სვეუბედური მსახური საზოგადო საქმისა. აქაოდა, მოედანზედ სდგას და ნიშანში ადვილი ამოსაღებიაო, აღარაფერს ვერიდებით, ვასორსლებთ ტალახის გუნდას და პანტასავით თავზე ვაყრით.

უცდომელი არავინ არის და შესაძლოა, საზოგადო მოღვაწე ბევრში სცდებოდეს, ბევრში არ ემარჯვოს, ბევრში იმედი გაუმტყუნდეს და ამასთანავე შესაძლოა, რომ გული, ნამუსი, სინიდისი წმინდა ჰქონდეს, სურვილი, განზრახვა, გულისნადები პატიოსანად ერჩოდეს. **არ გამარჯვება, იმედთა გამტყუნება, შეცდომილება საზოგადო მოღვაწისა ჩვენ სასიხარულო ამბად მიგვაჩნია იმიტომ, რომ შემთხვევას გვაძლევს ლანძღვის გუდას პირი მოვხსნათ და გაბიაბრუების, გაუპატიურების საწამლავში ამოვლებულ ისრით გული გავურღვიოთ** და რამდენად უფრო სატკენია, საწყენია ეს ამბავი მოღვაწისათვის, მით უფრო ბევრს ბარაქალას ვეუბნებით მსროლელსა.

ამ ჭუჭყს მოვერიდნეთ. კმარა ასეთი სამარცხვინო ქცევის შეწყნარება. სამართლიანის გულისწყრომით ზურგი შევაქციოთ სხვის გამაუპატიურებელს და ყოველივე ლანძღვა-თრევით გაბიაბრუებული ჩვენს საფარველქვეშ მივიღოთ და სარჩლი გავუწიოთ. ამას ითხოვს ჯანმრთელობა საზოგადოებისა, ამას ითხოვს ნამუსი და პატიოსნება ყველასი ერთად და თვითვეულისა ცალკედ. **გულმტკივნეულად მომქმედი მართებული განმკითხველია და არა შემაგინებელი და მლანძღავი. პირველს მხარი მივსცეთ და მეორემ კი ილაწლაწოს, ვიდრე თვის საკუთარს ლაფში სული შეუგუბდება და დაირჩობა.**

**29 დეკემბერი, 1887 წელი**

**«ყოველის სტრიქონიდამ გამოჰკრთის, რომ აქ ნაწყენი, გადამტერებული, დამუქრებული გული მოქმედებს და არა გამკითხველი, გულდინჯი, ჭკუადამჯდარი მართალი»**



თინა ბოკუჩავა

**«ამ ჭუჭყს მოვერიდნეთ. კმარა ასეთი სამარცხვინო ქცევის შეწყნარება!»**



**«ღრმად დაკვირვება არ არის საჭირო, კაცმა დაინახოს, რომ ადამიანის ჭკუას რაღაც გაუტყდა, ბუნებური მართულები მოეშალა, რაღაც სალტე ან მოჰშვებია, ანუ უფრო მეტად წასჭერია, რაღაც სოლი ამოვარდნია და ძირით თხემამდე თავი და ბოლო დაჰგნევია»**

**ამისთანებზე ამბობდა ილია, «ილაწლაწოს, ვიდრე თვის საკუთარს ლაფში სული შეუგუბდება და დაირჩობაო»**

ეს უნდა ვიცოდეთ
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

აღვსილნი არიან ყოველგვარი უსამართლობით, ბოროტებით, ანგარებითა და სიავით, სავსენი შურით, მკვლელობით, შუღლით, ვერაგობით, უზნეობითა და მაბეზღარობით. ცილისმწამებელნი, ღვთის მოძულენი, შეურაცხმყოფელნი, ამპარტავანნი, მკვეხარნი, ბოროტგამზრახველნი, მშობლების ურჩნი.

*(მოციქულ პავლეს წერილი რომაელთა მიმართ, 1,29-30)*

# სანამ მსოფლიო კორონავირუსს ებრძვის, სოროსის ნაშიერნი ტრადიციულ ოჯახს საფლავს უთხრიან



**კორონა კორონად, დასავლელ გლობალისტებს კი, სამწუხაროდ, არ სძინავთ. განსაკუთრებით გააქტიურდნენ გაუკუღმართებულთა უფლებების დამცველები... ბოდიში! უნდა მეთქვა არატრადიციულთა ორგანიზაციების წარმომადგენლები და კაცობრიობის ასობით გენდერად დაყოფის მოყვარული.**

მაგალითად, **ჯორჯ სოროსის** — „ფერადი რევოლუციების“ მამის — ფონდმა „ღია საზოგადოებამ“ გამოაქვეყნა რადიკალური ფემინისტის, **სოფი ლიუსის,** მანიფესტი-მოწოდება ტრადიციული ოჯახის გაუქმების შესახებ. ის ოჯახის ნაცვლად გვთავაზობს რაღაც ქვირკომუნებს.

ეს, ფემინისტის აზრით, აუცილებლად უნდა გავაკეთოთ კორონავირუსით დაზარალებული ამერიკელების დასახმარებლად, იმიტომ, რომ ტრადიციული ოჯახი ძალადობის ბუდეა, ამიტომ უნდა გაუქმდეს.

მაგრამ რა არის ქვირი?

ეს არის გენდერული უმცირესობის აღმნიშვნელი ტერმინი, ანუ მათი, ვინც საკუთარ თავს არ მიაკუთვნებს ჩვეულებრივ ჰეტეროსექსუალ ადამიანებს. ამ განმარტების სიღრმეებს არ ჩავწვდებით, ისედაც ცნობილია, რომ ჯანსაღ და ტრადიციულ საზოგადოებაში მათ გაუკუღმართებულებად მიიჩნევენ.

ამერიკაში დღეს გაურკვევლობა სუფევს. მაგალითად, გაისმა მოწოდებები უმცირესობების დაფინანსების შესახებ.

**„დემოკრატები კონგრესში მოგვიწოდებენ 250 მილიარდი დოლარის გამოყოფას ადგილობრივი ფინანსური ინსტიტუტებისთვის, რომლებიც მუშაობენ კომპანიებთან და არაკომერციულ ორგანიზაციებთან, რომლებიც შექმნილი აქვთ ფერმერებს, ქალებს, უმცირესობათა წარმომადგენლებს, ვეტერანებს“,** — ნათქვამია განცხადებაში.

ამერიკელი კონსერვატორები აღშფოთებულნი არიან — მემარცხენეები ვითომ ეხმარებიან ყველას, მაგრამ არ ეხმარებიან საშუალო მუშათა კლასს და საზოგადოებას სრულად. კორონავირუსის წინააღმდეგ ბრძოლის ნაცვლად ისინი მოგვიწოდებენ, გავაუქმოთ ოჯახები! გაიღვიძეთ, ბატონებო?

ევროპაში, კარგა ხანია, ტრადიციული ოჯახის გაუქმებას აპირებენ. იმავე სოფი ლუისის აზრით (რომელმაც კრიზისს „ტრადიციული ოჯახური მეურვეობისგან“ გათავისუფლების შესაფერი დრო უწოდა), სახლი უსაფრთხოების გარემო აღარ არის. ეს ის სოფია, რომელმაც თავისი „ფემინისტური“ ბიოგრაფიის დასამშვენებლად განაცხადა, რომ მამამისმა მასზე იძალადა, როცა 13 წლის იყო.

სოფი ლუისმა ჯორჯ სოროსი გაიცნო მას შემდეგ, რაც დაწერა წიგნი „სრული სუროგატული დედობა ამჟამად: ფემინიზმი ოჯახის წინააღმდეგ“. სოროსმა მოიწონა ეს იდეა — სუროგატული დედობა, აბორტები, სექსუალური თავაშვებულობა — და დაიწყო მისი გაყიდვა-გავრცელება მასებში.

რა სურთ სოროსის ნაშიერთ?

მათ სურთ დედისა და მამის ჩანაცვლება რობოტებით, რომლებშიც არ იქნება ორიენტირები და ფასეულობები. ისინი გაზრდიან მომხმარებელთა და უზარმაზარი კორპორაციების ერთგულ მოსამსახურეებს. კორონავირუსის წინააღმდეგ ბრძოლის იდეას ამოფარებულები, ეცდებიან, დამალონ თავიანთი ნამდვილი იდეები საზოგადოების სამუდამოდ გარდაქმნის შესახებ.

# ნეოლიბერალური ზნეობა

## ველური უკრაინა: მამაკაცებმა მხეცურად აწამეს და გააუპატიურეს ყმაწვილი



**ხარკოვის მახლობლად სოფელ რონაში ორმა მამაკაცმა 17 წლის ყმაწვილი გაიტაცა. აწამეს, გააუპატიურეს იმ აყალმაყალის გამო, რომელშიც გოგო მონაწილეობდა, იუწყება უკრაინის პრესა დაზარალებული ბიჭის, ვიაჩესლავ ტუნგუსკოვის, დედის მონათხრობზე დაყრდნობით.**

ყმაწვილი დღემდე საავადმყოფოში წევს და ნორმალურად ლაპარაკი უჭირს.

ყველაფერი ვიაჩესლავის მეგობარი გოგოს, 18 წლის **ანჟელას,** გამო დაიწყო მას შემდეგ, რაც ისინი ერთმანეთს წაეჩხუბნენ, დასცილდნენ, მაგრამ განაგრძობდნენ მეგობრობას.

„4 მაისს ისინი ერთად სეირნობდნენ, — ყვება ბიჭის დედა, — წაკინკლავდნენ და იჩხუბეს. სლავამ შეაგინა. ანჟელას მეგობარმა გოგომ სლავას საზარდულში ფეხი ამოარტყა. ამანაც უკანალზე მისცხო. მეგობარმა გოგომ მამასთან უჩივლა სლავას, თუმცა არ უთქვამს, რომ პირველმა მან ამოარტყა ფეხი. არ იფიქროთ, რომ ჩემს შვილს ვამართლებ.

ანჟელამ თავის ბიჭთან, **დიმიტრისთან,** დაასმინა სლავა. დიმიტრის მთელი როგანი იცნობს. მას შემდეგ ჩემი შვილი მუქარის ზარებით აიკლეს, ერთ საღამოს კი, ტელეფონით რომ დავურეკე რამდენიმეჯერ, არ მიპასუხა“.

შეშფოთებულმა ქალმა ბიჭის ყველა მეგობარს ჩამოურეკა. 6 მაისის ღამეს კი შემთხვევითმა გამვლელმა სლავა ავტობუსის გაჩერებაზე მიგდებული იპოვა. სასწრაფო დახმარებამ ყმაწვილი გადაუდებელი ქირურგიის ინსტიტუტში წაიყვანა, პოლიციამ კი დედის განცხადება მიიღო.

საავადმყოფოში დაადგინეს, რომ პაციენტს გატეხილი ჰქონდა 4 ნეკნი, ცხვირი, მთელ სხეულზე აჩნდა ჰემატომები, სისხლი ჩაქცეული ჰქონდა მუცლის ღრუს ორგანოებში, კეფაზე, ჰაიმორის სინუსში.

ყმაწვილი იხსენებს, რომ მას რამდენიმე საათის განმავლობაში სცემდნენ, აუპატიურებდნენ ცელის ტარით, ურტყამდნენ არმატურას, სკოჩით შეუკრეს ხელ-ფეხი და თავი, ძალით ასხამდნენ პირში არაყს. თავში ჩარტყმით გაუტეხეს ტელეფონი, არსად რომ არ დაერეკა. ცდილობდნენ ფრჩხილების მოგლეჯას და ზურგზე დანით სიტყვა „პედერასტის“ დაწერას, მაგრამ მხოლოდ პირველი ასოს დაწერა მოახერხეს. მუქრებოდნენ, მოგკლავთო და მთელ ამ საშინელებას ვიდეოზე იღებდნენ. ცემა-წამების პროცესს თავიდან ბოლომდე ესწრებოდა გოგონა, რომელმაც საზარდულში წიხლი ამოჰკრა ვიაჩესლავს. ისიც ვიდეოზე იღებდა. დაზარალებულს მხოლოდ იმ პირობით შეეშვნენ, რომ იგი მომხდარის შესახებ არსად კრინტს არ დაძრავდა. იტყვი და მოკლავთო.





ყმაწვილს ნეიროქირურგების, სახე-ყბის ქირურგებისა და ტრავმატოლოგების დახმარება სჭირდება, — ამბობენ მედიკოსები.

მომდევნო დღეს ყმაწვილის დედას დაურეკეს პოლიციის რაიონული განყოფილებიდან და უთხრეს, რომ არ მიიღებენ მის განცხადებას, რადგან დანაშაული მათ რაიონში არ იყო ჩადენილი. ქალს უთხრეს, მიემართა ორჯონიკიძის რაიგანყოფილებისთვის, სადაც იგივე განუცხადეს: მიმართეთ სხვა რაიგანყოფილებასო. ასე აწვალეს, სანამ დედა ჟურნალისტებს არ დაუკავშირდა.

პოლიციელებმა დაარწმუნეს, რომ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა და მიმდინარეობს გამოძიება. სამართალდამცველებმა დაადგინეს, რომ სლავა სცემა ორმა კაცმა, რომლებთან ერთადაც ალკოჰოლს სვამდა. სავარაუდო სასჯელი დამნაშავეებისთვის 5-დან 8 წლამდე თავისუფლების აღკვეთას გულისხმობს.

# შვეიცარიაში გაუკუღმართებულთა დისკრიმინაციისთვის სისხლის სამართლის კანონით დასჯა მოიწონეს

**შვეიცარიის მოქალაქეთა უმრავლესობამ მოიწოდა რეფერენდუმზე გამოტანილი კანონპროექტი, რომლის თანახმად ადამიანების დისკრიმინაცია მათი სექსუალური ორიენტაციის გამო სისხლის სამართლის კანონით დაისჯება.**

ხმის მიცემის შედეგების თანახმად, ამომრჩეველთა 63,1-მა პროცენტმა მხარი დაუჭირა მოქმედი ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის გაფართოებას. წინააღმდეგ ხმა მისცა, ძირითადად, სასოფლო რაიონების მოსახლეობამ. მოწონების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აღირიცხა ფრანგულ და იტალიურენოვან რაიონებსა და ქალაქებში, — იუწყება Swiss Info.

კონსერვატულმა შვეიცარულმა ოპოზიციამ, რომლის ინიციატივითაც კანონპროექტი საერთაშორისო რეფერენდუმზე გაიტანეს, აღიარა დამარცხება, თუმცა განაცხადა, რომ განაგრძობს ბრძოლას სხვა სოციალური უმცირესობებისთვის გამიზნულ შესწორებებზე.

„კვლავაც დაჟინებით მივადევნებთ თვალს კანონის შესრულებას, რადგან გვსურს, რომ აზრის გამოხატვის თავისუფლება გარანტირებული იყოს“, — განაცხადა **დევიდ ტრასხელმა** რეფერენდუმის კომიტეტიდან.

ლგბტ თემის წევრებიც აპირებენ ბრძოლის გაგრძელებას ერთი და იმავე სქესის პირთა შორის ქორწინების დასაკანონებლად.

მამათმავლობის მოწინააღმდეგეები ამტკიცებენ, რომ კანონი ძირს უთხრის სიტყვის თავისუფლებას და რომ ლგბტ თემს არ სჭირდება დამატებითი სამართლებრივი დაცვა. მოქმედი სამართალი სავსებით საკმარისია შეურაცხყოფის, ცილისწამების, ძალადობისა და სასტიკი მოპყრობის სხვა ფორმების ასაკვეთად.




**„ამჟამად შვეიცარიაში შეიძლება სამი წლით ჩაგსვან ციხეში, თუ სიტყვა „გეის“ წარმოთქვამ იმ ტონით, რომელიც ლგბტ-ელებს არ მოეწონებათ. ასე გადაწყვიტეს აქაურ რეფერენდუმზე. საინტერესოა, იმათაც თუ დასჯიან, ვინც შეურაცხყოფს ნატურალებს?“** — ასეთი კომენტარით შეაფასეს პოპულარული ტელეარხის „გამოუშვით კრაკენის“ ავტორებმა რეფერენდუმის შედეგები.



**„აღმოსავლეთ აზიის მოსახლეობა დარწმუნებულია ძლიერი სახელმწიფოს აუცილებლობაში. ბევრ ადამიანს მტკიცედ სწამს, რომ ბაზრის უხილავ ხელს უნდა მართავდეს სახელმწიფო მმართველობის ხილული ხელი... ამჟამინდელმა კრიზისმა, უწინარესად, წარმოაჩინა კარგად დაფინანსებული სახელმწიფო ინსტიტუტების საჭიროება ეფექტიანად სამართავად, რათა სწრაფად მოხდეს ვითარებაზე რეაგირება“.**

ჰეგემონიის დასასრული

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ბრიტანელი ისტორიკოსი და ჟურნალისტი ნილ ფერგიუსონი 2012 წელს გამოცემულ თავის წიგნში Civilization: The West and the Rest-ში ამტკიცებს, რომ დასავლური კულტურა მთავარ როლს თამაშობს მსოფლიოში და სამაგალითოა „დანარჩენებისთვის“. ასეთი მტკიცებულებების მიმართ დასავლეთში ყოველთვის არსებობდა ეჭვები, მაგრამ აი „მოვიდა ვირუსი“ და ეჭვებიც გაძლიერდა.**

# დასავლეთი პრესტიჟსა და მომხიბვლელობას კარგავს

## აზიამ პოლიტიკური ეფექტიანობის გაკვეთილი ჩაუტარა ევროპასა და ამერიკას

„დასავლეთი ამიერიდან თავს ვეღარ ჩათვლის სამაგალითოდ სრულიად მსოფლიოსთვის“, — ასეთი სათაურით დაბეჭდა ფრანგულმა Liberation-მა ინტერვიუ სინგაპურელ მწერალ და დიპლომატ **კიშორ მაჰბუბანისთან.** კითხვაზე — რატომ ებრძვიან ინფექციას აზიური ქვეყნები უფრო უკეთ, ვიდრე ევროპა, მაჰბუბანიმ უპასუხა: **„ათწლეულების განმავლობაში ჩვენ ვხედავთ, როგორ ანგრევდნენ სახელმწიფო ინსტიტუტების ლეგიტიმურობასა და დაფინანსებას აშშ-სა და ევროპაში. აზიაში ყველაფერი პირიქით იყო. აღმოსავლეთ აზიის მოსახლეობა დარწმუნებულია ძლიერი სახელმწიფოს აუცილებლობაში. ბევრ ადამიანს მტკიცედ სწამს, რომ ბაზრის უხილავ ხელს უნდა მართავდეს სახელმწიფო მმართველობის ხილული ხელი... ამჟამინდელმა კრიზისმა, უწინარესად, წარმოაჩინა კარგად დაფინანსებული სახელმწიფო ინსტიტუტების საჭიროება ეფექტიანად სამართავად, იმისთვის, რათა სწრაფად მოხდეს ვითარებაზე რეაგირება“.**

აღმოსავლეთ აზიის მთავრობები „კრიზისამდე სარგებლობდნენ მოსახლეობის უფრო მეტი ნდობით, ვიდრე ევროპის ქვეყნების ხელისუფლებები“, — ამბობს მაჰბუბანი და ეს, მისი აზრით, დაკავშირებულია მერიტოკრატიაზე (მართვის პრინციპი, რომლის თანახმადაც, სახელმძღვანელო პოსტები უნდა ეკავოთ ყველაზე ნიჭიერ და უნარიან ადამიანებს, მიუხედავად მათი სოციალური წარმოშობისა და ფინანსური შესაძლებლობებისა) დაფუძნებულ მართვის სისტემასთან.

**„ჩინეთში კომპარტიის უმაღლეს ინსტანციებში მხოლოდ სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების საუკეთესო კურსდამთავრებულებს აწინაურებენ. ეს საშუალებას იძლევა, ხელისუფლებაში მოვიდნენ ნათელი გონების ადამიანები, ხალხი საკუთარ თავს ხედავს მთავრობის წევრებად. მთავრობისადმი ხალხის ნდობა უმნიშვნელოვანესი ელემენტია... რადგან ასეთ შემთხვევაში საზოგადოება ერთობლივად მუშაობს“.**

„როცა საავადმყოფოებს არ აძლევენ სახსრებს, როცა გაერთიანებული საშუალო კლასი ქუჩებში გამოხატავს აღშფოთებას, ისევე, როგორც „ყვითელი ჟილეტები“ საფრანგეთში, როცა აშშ-ში ოჯახების ორ მესამედს 500 დოლარზე მეტი არ აქვს გადადებული შავი დღისთვის, დასავლეთი თავს ვეღარ ჩათვლის სამაგალითოდ დანარჩენი მსოფლიოსთვის, — ამბობს სინგაპურელი მწერალი და დიპლომატი. — თუ გსურთ თქვენი მოდელის ექსპორტი, მაშინ აქციეთ ის წარმატებისა და ჰარმონიის ბრწყინვალე მაგალითად და თავზე ნუ დააყრით სანქციებსა და ბომბებს ქვეყნებს, რომლებიც ნორმალურად მუშაობენ, ოღონდ განსხვავებულად აზროვნებენ“.

„კორონავირუსი დასავლეთის სტატუსს ამდაბლებს და ხსნის აზიის საუკუნეს, — წერს მეორე ფრანგული გამოცემა Le Figaro, — **ვირუსი დაუნდობელი იყო დასავლური დემოკრატიების მიმართ, რომლებიც თავიანთი პოლიტიკური მოდელის სავარაუდო უპირატესობის მანტიამოსხმული ხშირად ასწავლიდნენ დანარჩენ მსოფლიოს, როგორ ეცხოვრათ, მაგრამ ახლა დაკარგეს მანევრის ველი ეკონომიკაში. მსოფლიო თავისი ღერძის გარშემო ბრუნავს და აზია, რომელიც ვითარდება და ლიდერია ეკონომიკური ზრდის მიხედვით, პოლიტიკური ეფექტიანობის საოცარ გაკვეთილს უტარებს დასავლეთს“.**

იმის შესახებ, რომ XXI საუკუნე აზიური იქნება, დიდი ხანია, ლაპარაკობენ, მაგრამ კორონავირუსული ინფექციის გავრცელება ისეთი მომენტია, როცა მსოფლიოში დაწყებულ ცვლილებებს ყველა ხედავს. „დიახ, აზია მართლაც სწრაფად მიიწევდა წინ ეკონომიკური ზრდისა და მაღალი



ჩინეთის დედაქალაქის ტიანანმენის მოედანი კორონავირუსის აფეთქების პერიოდში



„ყვითელი ჟილეტების“ საპროტესტო აქცია საფრანგეთში

**თუ მსოფლიოს წარმოვიდგენთ „დიდ საჭადრაკო დაფად“, როგორც მას ხედავდა ზბიგნევ ბჟეზინსკი, მაშინ, ვირუსულ-ეკონომიკური კრიზისის წინასწარი შედეგების მიხედვით, შეიძლება ითქვას, რომ ამ დაფაზე ფიგურების განლაგება იცვლება. მათ, ვისაც „ჩამორჩენილებად“ მიიჩნევდნენ, დასავლეთს გაკვეთილი ჩაუტარეს და ეს არ არის ერთი კულტურის უპირატესობა მეორეზე — ეს იმ საზოგადოებრივ-პოლიტიკური სისტემების ეფექტიანობის შედეგია, რომლებშიც ექსტრემალური სიტუაციებისას „საზოგადოება ერთობლივად მუშაობს“**

ტექნოლოგიების სფეროში მიღწევების გამო, მაგრამ დასავლეთის სახელმწიფოებს, როგორც ისინი მიიჩნევდნენ, მაინც ჰქონდათ უპირატესობა სოციალური სახელმწიფოს, შემოქმედებითი ძალებისა და დემოკრატიული მოდელის წყალობით, — განაგრძობს Le Figaro. — შემდეგ კი ჩვენთან მოვიდა ვირუსი. **ჩვენს პოლიტიკოსებსა და საავადმყოფოებს უზარმაზარმა ტალღამ გადაუარა და ისინი ფსკერზე დაეშვნენ. პანდემიის ჰუმანიტარული შედეგები (ჯერ კიდევ ბოლომდე გაურკვეველი) მსოფლიო სანიტარული სისტემის უპირობო მაჩვენებელია და ამ მაჩვენებლებმა ჩაძირეს „განვითარებული“ ქვეყნები. „კოვიდ-19“-მა საფრანგეთში 28 ათასზე მეტი სიცოცხლე შეიწირა, 50-მილიონიან სამხრეთ კორეაში — 269, ხოლო 23-მილიონიან ტაივანზე — 6. „აზიურმა დრაკონებმა“ ელვისებურად გაატარეს სანიტარული ზომები მოსახლეობის დასაცავად, ამასთანავე, გამოავლინეს აზიური ეფექტიანობა...“**

კორონავირუსის გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლაში „აზიურ ეფექტიანობას“ მედიდური ბრიტანელებიც აღიარებენ. საკარანტინო რეჟიმიდან გამოდის კიდევ ერთი არადასავლური ქვეყანა — **რუსეთი,** რომელშიც გაიხსენეს საბჭოთა ჯანდაცვის სისტემის გამოცდილება, როცა 1959 წელს ინდოეთიდან შეტანილი შავი ყვავილის ეპიდემიის აფეთქება 19 დღეში ჩააცხრეს.

თუ მსოფლიოს წარმოვიდგენთ „დიდ საჭადრაკო დაფად“, როგორც მას ხედავდა **ზბიგნევ ბჟეზინსკი**, მაშინ, ვირუსულ-ეკონომიკური კრიზისის წინასწარი შედეგების მიხედვით, შეიძლება ითქვას, რომ ამ დაფაზე ფიგურების განლაგება იცვლება. მათ, ვისაც „ჩამორჩენილებად“ მიიჩნევდნენ, დასავლეთს გაკვეთილი ჩაუტარეს და ეს არ არის ერთი კულტურის უპირატესობა მეორეზე — ეს იმ საზოგადოებრივ-პოლიტიკური სისტემების ეფექტიანობის შედეგია, რომლებშიც ექსტრემალური სიტუაციებისას „საზოგადოება ერთობლივად მუშაობს“.

**fondsk.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**ნიკა კორინთელმა**



კორონავირუსი სერიოზულ გამოცდად იქცა დასავლეთის ქვეყნების ჯანდაცვის სისტემებისთვის



საპროტესტო აქცია ამერიკაში

ყველაზე ყველაზე...
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ცნობილმა დიზაინერმა უილიამ პაიმ წინადადება წამოაყენა, შეექმნათ განსაკუთრებული შადრევანი ქალაქ სანდერლენდის სასტუმრო SEAHAM HALL-ის შესასვლელში. ამ შედევრის მთავარი ღირებულება არის ტექნიკური საიდუმლო, რომელიც შესაძლებლობას იძლევა, წარმოქმნას საჰაერო გრიგალის ნაკადები, რომლებიც, თავის მხრივ, ქმნის ხელოვნურ მორევს დაუჯერებლად ეფექტური ძაბრით. წყლის დონის მიხედვით ეს ძაბრი შეიძლება იყოს გამჭვირვალე რეზერვუარის ხან ცენტრში, ხან ზევით, ხანაც ქვევით.**

# შვიდი ულამაზესი შადრევანი, რომლებსაც თამამად შეიძლება ეწოდოს არქიტექტურის შედევრები

როგორც ცნობილია, წყალს შეიძლება უსასრულოდ უმზირო და მნიშვნელობა არ აქვს, იქნება ეს პატარა ნაკადული, ზღვის ტალღები თუ შადრევანი. ზოგიერთი შადრევანი კი განსაკუთრებული ღირსშესანიშნაობაა, რომელთა მონახულებაც უამრავ ტურისტს სწადია.





## პეტერგოფის დიდი კასკადი სანქტ-პეტერბურგში (რუსეთი)

პეტერგოფის დიდი კასკადი ერთ-ერთი დიდი და მომხიბლავი ნაგებობაა მსოფლიოში. ვერც ერთი შადრევანი ვერ შეედრება მას ფუფუნებით, დიდებულებითა და გამდინარი წყლის მოცულობით. ეს უნიკალური არქიტექტურული კომპლექსი შედგება ჩანჩქერის 3 კიბისგან (სიგრძე 42 მ) და 3 გროტისგან (ზედა და ქვედა), 75 შადრევნისგან, ბრინჯაოს 255 სტატუისგან, მასკარონებისა (ნიღბისა და ადამიანის სახის მსგავსი გამოძერწილი ორნამენტი) და უამრავი დეკორატიული დეტალისგან. მიუხედავად იმისა, რომ საწყლოსნო კონსტრუქციები და სკულპტურები უკვე 400 წლისაა, კასკადის შთამბეჭდავი ფორმები და გაბარიტები კაცობრიობის საინჟინრო აზრის ყველაზე მნიშვნელოვან მიღწევად ითვლება.



## სიმდიდრის შადრევანი სინგაპურში (სინგაპურის რესპუბლიკა)



სიმდიდრის შადრევანი ქალაქის შუაგულში, სავაჭრო ცენტრ Suntec City-სთან ახლოს მდებარეობს და ყველაზე დიდ შადრევნად ითვლება მსოფლიოში. ეს დადასტურებულია გინესის რეკორდების წიგნში 1998 წლის ჩანაწერით. უზარმაზარი ფართობის მქონე შადრევანი აღტაცებას იწვევს და, ადგილობრივთა გარდა, უამრავ ტურისტს იზიდავს, ამიტომ ხალხის მოზღვავების თავიდან ასაცილებლად დაწესებულია გრაფიკი და ტურისტულ ჯგუფებს შადრევანის მოსანახულებლად გარკვეული დროით უშვებენ. ეს გრანდიოზული ნაგებობა აშენებულია ფენშუის წესების მიხედვით და ყველა დეტალს თავისი აზრი და დანიშნულება აქვს. მაგალითად, შადრევნის ბინჯაოს რგოლი, ინდუიზმის მიხედვით, სამყაროს განასახიერებს და ადიდებს თანასწორობას, სულიერ ერთობასა და ჰარმონიას ურთიერთობებში.



## შადრევანი დუბაი დუბაიში (გაერთიანებული არაბული საამიროები)

შადრევანი დუბაი, რომელიც აგებულია ხელოვნურ ტბა ბურჯ-ხალიფაზე (ფართობი 12 ჰა), უკვე აღიარებულია ერთ-ერთ დიდ და მაღალ შადრევნად მსგავსი ტიპის ნაგებობებს შორის. მისი სიმაღლე 150 მ-ია, სიგრძე — 275 მ. წყლის ჭავლს, რომელიც 50-სართულიანი სახლის სიმაღლეზე ადის, 6,6 ათასი დიოდის ნათურა და 25 ფერადი პროჟექტორი ანათებს. წყლის ჭავლს კი სხვადასხვა პოპულარულ მელოდიაზე „ცეკვას" უამრავი ტურბო აიძულებს.



## შადრევანი-მორევი ქარიბდისი სანდერლენდში (დიდი ბრიტანეთი)

უცნაურ შადრევან ქარიბდისს რეგალიები არ აქვს, მაგრამ ამით მისი მშვენიერება არ დაჩრდილულა. ცნობილმა დიზაინერმა **უილიამ პაიმ** წამოაყენა წინადადება, შეექმნათ განსაკუთრებული შადრევანი ქალაქ სანდერლენდის სასტუმრო Seaham Hall-ის შესასვლელში. ამ შედევრის მთავარი ღირებულება არის ტექნიკური საიდუმლო, რომელიც შესაძლებლობას იძლევა, წარმოქმნას საჰაერო გრიგალის ნაკადები, რომლებიც, თავის მხრივ, ქმნის ხელოვნურ მორევს დაუჯერებლად ეფექტური ძაბრით. წყლის დონის მიხედვით ეს ძაბრი შეიძლება იყოს გამჭვირვალე რეზერვუარის ხან ცენტრში, ხან ზევით, ხანაც ქვევით.

თვით შადრევანი წარმოადგენს თავისებურ კოლბას, რომლის სიმაღლე 2,3 მეტრია, დიამეტრი — 2,4 მ და დამზადებულია გამჭვირვალე აკრილისგან. ამ უჩვეულო შადრევანმა სწრაფად მოიპოვა პოპულარობა, ამიტომ უილიამ პაიმ კიდევ რამდენიმე გააკეთა სხვადასხვა შემკვეთისთვის.



## მოცეკვავე შადრევანი ბელაჯიო ლას-ვეგასში (აშშ)

აზარტული თამაშების სამყაროს ქალაქი, რომლის ღამის ცხოვრება მაგნიტივით იზიდავს ტურისტების უზარმაზარ რაოდენობას, თავისი სტატუსის განმტკიცებას ცდილობს. ქალაქ ლას-ვეგასის მთავარ ქუჩა The Strip-ზე აგებულია უნიკალური შადრევანი, რომელიც კარგად ჩანს მის გარშემო მდებარე პრაქტიკულად ყველა სადღეღამისო კაზინოდან, მდიდრული რესტორნიდან თუ თემატური სასტუმროდან. დღე-ღამის ნებისმიერ მონაკვეთში შეიძლება დატკბეთ შადრევნის სილამაზითა და მის ირგვლივ სიგრილით. როცა წყლის ნაკადები სასიამოვნო მუსიკაზე „ცეკვავენ" და ნაირფერად არის განათებული, სწორედ მაშინ შადრევნის გარშემო ყველაზე მეტი ხალხი იკრიბება.



## ერის შადრევანი ფლორიდაში (აშშ)



ეს შადრევანი 1982 წელს გაიხსნა პატარა ქალაქ ლეიკ ბუენა ვისტას (ფლორიდის შტატი) „უოლტ დისნეის დასასვენებელი ცენტრის" თემატური პარკის ტერიტორიაზე. მისი გახსნის დღეს დედამიწის სხვადასხვა კუთხიდან ჩაიტანეს დიდი მდინარეების წყალი, რომლითაც სიმბოლურად გაავსეს შადრევნის რეზერვუარი. აი უკვე 38 წელიწადია, წყლის ჭავლები „ცეკვავენ" მუსიკაზე უოლტ დისნეის პოპულარული მულტფილმებიდან. ქვეყნის ყველაზე მიმზიდველი პარკის მთავარი ღირსშესანიშნაობა შექმნა ინჟინერმა და დიზაინერმა **მარკ ფულერმა**, რომელიც, აგრეთვე, მუშაობდა „ბელაჯიოს" შადრევანზე ლას-ვეგასში.

## ჯული პენროუზის შადრევანი კოლორადო-სპრინგსში (აშშ)



ეს უცნაური შადრევანი 2007 წელს ააგეს კოლორადო-სპრინგსის ცენტრში. შადრევანი მიუძღვნეს ცნობილ ფილანტროპ **ჯული პენროუზს** (1870-1956 წწ.), რომლის წყალობითაც განვითარდა ეს ქალაქი. სწორედ ამიტომ დაერქვა შადრევანს Julie Penrouse Fountain-ი, თუმცა ბევრი მას „მუდმივს" ეძახის კონსტრუქციის გამუდმებით მოძრაობის გამო. შადრევნის დიზაინის შემქმნელები არიან არქიტექტორები — **დევიდ ბარბერი** და **ბილ ბურგესი**. შადრევნის ორიგინალურობა გამოიხატება მის უცნაურ ფორმებსა და გამუდმებით მოძრაობაში. ის ჰგავს სპირალის ერთი ხვეულის ფრაგმენტს. ეს უცნაური რგოლი 15 წუთის განმავლობაში ასრულებს ერთ სრულ ბრუნს თავისი ღერძის გარშემო.

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**

სპორტი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**2005 წლის 22 ივნისს პირველად მსოფლიოში ქალმა 5 მეტრის სიმაღლე დაძლია. ეს ქალი, რა თქმა უნდა, იყო ისინბაევა, რომელმაც შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ 5 მ მისთვის ნორმა იყო და შეეცდებოდა, რეკორდის გაუმჯობესებას.**

# ელენე ისინბაევა — მომხიბვლელი ქალი და ხტომის დედოფალი



**ჭოკით მხტომელი, ოლიმპიური თამაშების 2-გზის ჩემპიონი და ბრინჯაოს მედლის მფლობელი, 3-გზის მსოფლიო ჩემპიონი ღია სტადიონებზე და 4-გზის დარბაზში, მსოფლიო თასის მფლობელი ელენე ისინბაევა 1982 წლის 3 ივნისს დაიბადა ვოლგოგრადში (ყოფილი სტალინგრადი, რუსეთი), წარმოშობით დაღესტნელი გაჯი ისინბაევისა და რუსი ნატალია ისინბაევას ოჯახში.**

**ელენა ისინბაევა**, რომელმაც კარიერის განმავლობაში 28 მსოფლიო რეკორდი დაამყარა, სპორტული დიდების მსოფლიო აკადემიამ „პლანეტის საუკეთესო სპორტსმენად“ ორჯერ დაასახელა — 2007 და 2009 წლებში.

ელენე და მისი და, ერთი წლით უმცროსი **ინესა,** ბავშვობიდან იყვნენ დაკავებული სპორტული ტანვარჯიშით. 1991 წელს ელენე ისინბაევამ მეცადინეობა დაიწყო მწვრთნელ **ალექსანდრე ლისოვოისთან** და სპორტის ოსტატობის კანდიდატობის წოდებაც მოიპოვა. სპორტული სკოლიდან ისინბაევა გადავიდა ოლიმპიური რეზერვების სასწავლებელში, მაგრამ იქიდან გარიცხეს, როგორც უპერსპექტივო ტანმოვარჯიშე. 15 წლის ელენეს სწორი გზის პოვნაში დაეხმარა სპორტული ტანვარჯიშის მწვრთნელი ალექსანდრე ლისოვოი. სწორედ მან მიიყვანა ელენე ჭოკით მხტომელთა მწვრთნელ **ევგენი ტროფიმოვთან**, რომლის ხელმძღვანელობით ისინბაევამ ყველაზე მეტი ჯილდო მოიპოვა და რომელსაც ელენე მეორე მამად მიიჩნევს.

ელენემ პირველი ჯილდო, როგორც ჭოკით მხტომელმა, 1998 წელს მოიპოვა მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატზე. შემდეგ წელს კი სევილიაში თავისი პირველი მსოფლიო რეკორდი დაამყარა (იუნიორებს შორის).

2000 წელს ისინბაევა 4,20 მეტრზე გადახტა და მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოიპოვა იუნიორთა შორის; 2003 წელს 4,65 მეტრზე გადახტა და ევროპის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა 23 წლამდე ახალგაზრდებს შორის.

საერთაშორისო აღიარება და ხალხის სიყვარული კი ისინბაევას 2004 წლის ათენის ოლიმპიურ თამაშებში გამარჯვებამ მოუტანა, სადაც 4,91 მეტრზე გადახტა და ოქროს მედალი მოიპოვა.

2005 წელს ელენე გადავიდა მწვრთნელ **ვიტალი პეტროვთან**, რომელიც მანამდე ცნობილ მხტომელ **სერგეი ბუბკას** (მსოფლიოში პირველი სპორტსმენი, რომელიც 6 მეტრზე მაღლა გადახტა) ავარჯიშებდა. თვითონ ბუბკაც ხშირად ესწრებოდა ელენეს ვარჯიშებს და რჩევებს აძლევდა.

2005 წელს შვეიცარიის ქალაქ ლოზანაში გაიმართა სუპერ გრან-პრის სერიის ტურნირი „ატლეტისიმა-2005“, ელენე 4,93 მეტრზე გადახტა და გაიმარჯვა.

**2005 წლის 22 ივნისს, პირველად მსოფლიოში, ქალმა 5 მეტრის სიმაღლე დაძლია. ეს ქალი, რა თქმა უნდა, იყო ისინბაევა, რომელმაც შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ 5 მ მისთვის ნორმა იყო და შეეცდებოდა, რეკორდის გაუმჯობესებას.**








ელენე ისინბაევა და მისი მეუღლე ნიკიტა პეტინოვი



3 კვირის შემდეგ ელენემ რეკორდი 1 სმ-ით გააუმჯობესა, 2008 წელს კი მონაკოში გამართულ სუპერ გრან-პრიზე 5,04 მ-ზე გადახტა.

2008 წელს ისინბაევამ პეკინის ოლიმპიადაზე გაიმარჯვა და მსოფლიოს რეკორდიც დაამყარა — 5,05მ.

2009-2011 წლებში ისინბაევა ე.წ. წარუმატებლობის ზოლში მოხვდა, მან მხოლოდ 2012 წელს ლონდონის ოლიმპიურ თამაშებში მოიპოვა ბრინჯაოს მედალი, 2013 წელს კი კვლავ გაიმარჯვა მსოფლიო პირველობაზე.

2015 წელს, რიო-დე-ჟანეიროს ოლიმპიადამდე წელიწად-ნახევრით ადრე, ისინბაევამ, რომელსაც იმ მომენტისთვის უკვე ჰყავდა შვილი ევა, სპორტში დაბრუნების შემდეგ განაცხადა: „მე ისე მიყვარს სპორტი, რომ, უბრალოდ, ავდგე და წავიდე, არ შემიძლია“. იქვე დასძინა, რომ 2016 წელს ოლიმპიადა რიოში მისთვის უკანასკნელი იქნებოდა, მაგრამ 2015 წელს მძლეოსნობის საერთაშორისო ასოციაციამ (IAAF) ყველა რუს მძლეოსანს აუკრძალა თამაშებში მონაწილეობა ე.წ. დოპინგსკანდალის გამო. ამ სპორტსმენებს შორის მოხვდა ისინბაევაც, მიუხედავად იმისა, რომ არც მსოფლიო ანტიდოპინგურ ორგანიზაციასა და არც საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს მის მიმართ პრეტენზია არ ჰქონია. არადა, ოლიმპიადის წინ ისინბაევამ მსოფლიოში საუკეთესო შედეგი აჩვენა — 4 მ და 90 სმ. რიო-დე-ჟანეიროს ოლიმპიადის გამარჯვებულმა, ბერძენმა სტეფანიდიმ კი მხოლოდ 4,85 მ დაძლია.

2016 წელს ისინბაევამ სპორტული კარიერა დაასრულა.

## პირადი ცხოვრება

სპორტული არენის მიღმა ელენე ისინბაევა უბრალო და უშუალო იყო. ლამაზი და მომხიბვლელი სპორტსმენი ქალი ხშირად ხვდებოდა პოპულარული გამოცემების ფურცლებზე. თაყვანისმცემლებმა კი მას დედოფალი შეარქვეს. ელენეზე ბევრი მამაკაცი ოცნებობდა, მაგრამ მისი გული დაიპყრო ვოლგოგრადელმა მძლეოსანმა **ნიკოლოზ პეტინოვმა** — შუბის მტყორცნელმა, რომელმაც ამურის ისარი ზუსტად სტყორცნა ელენეს გულში. ელენემ და ნიკოლოზმა 2014 წლის 12 დეკემბერს იქორწინეს, მანამდე კი 2014 წლის 28 ივნისს წყვილს გოგონა შეეძინა.

დიდი სპორტიდან წასვლის შემდეგ ისინბაევა რუსეთის პრეზიდენტთან არსებული სპორტული საკითხების უწყებათაშორის კომისიაში შეიყვანეს. არის თავდაცვის სამინისტროს ინსტრუქტორი მძლეოსნობაში. 2017 წლიდან არის საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მძლეოსნობის კომისიის წევრი.

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**

**ელენე ისინბაევას მიღწევები:**

*** 2-გზის ოლიმპიური ჩემპიონი — 2004, 2008 წლები;**
*** ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს მედალოსანი — 2012 წელი;**
*** 3-გზის მსოფლიო ჩემპიონი — 2005, 2007, 2013 წწ;**
*** 4-გზის მსოფლიო ჩემპიონი დარბაზში — 2004, 2006, 2008, 2012 წწ.;**
*** მსოფლიო თასის მფლობელი — 2006 წ.;**
*** ევროპის ჩემპიონი — 2006 წ.**







# ანდერძადა ვწერ წადილსა, მოწმედა ზეცის თვალია...



**მკითხველისთვის ცნობილია, რომ ვაზს მივუძღვენი არაერთი ლექსი, 850 წლის რუსთაველს კი — 850-სტრიქონიანი პოემა მისთვის საკადრისი რითმითა და მარცვლით. პოემა წიგნად დაიბეჭდა სათაურით „ვაზის და 850 წლის რუსთაველის საუბარი“. მან დიდი ინტერესი გამოიწვია, განსაკუთრებით ახალგაზრდობაში. უმორჩილესად ვთხოვ ქველმოქმედებს, გამიწიონ დახმარება წიგნის განმეორებით გამოცემაში, რომლის მთლიანი ტირაჟი გავრცელდება უფასოდ. რუსთაველისადმი მიძღვნილი პოემიდან საილუსტრაციოდ გთავაზობთ რამდენიმე სტროფს, სადაც არა მარტო ვეშაირები, არამედ თვითონაც მეშაირება უკვდავი მგოსანი.**

გულმა რომ ლაღად ამოთქვა ვაზის გასხვლისას სიტყვები,
და არა მქონდა ფანქარი, გუშინწინდელსა გიყვები,
კალმად ავიღე წალამი, ფურცლად კი მიწა-მკლავები,
და სტრიქონები ავაწყე, რასაც მე ახლა მოვყვები.

ღმერთო, ღმერთო, გევედრები სიბოროტე ყველას სძულდეს,
ავსა სისხლი დაეწმინდოს, რომ სიავე დაუსრულდეს,
ქველსა დარდი შენ მოაკელ, მას სიცოცხლე გაუგრძელდეს,
კაცსა კაი რაცა სურდეს, საწადელი აუსრულდეს.

მევენახე რთველში იხმობს მოხალისეს გონიერსა,
ბავშვსა, მოზარდს, ახალგაზრდას, ხელმარჯვეს და მშვენიერსა,
ვაზის ძირში ღმერთსა ლოცავს, მას მერე კი ღონიერსა,
ვიცი, მიხვდით, რომ ვგულისხმობ საქართველოს განიერსა.

ვით ნორჩი ყლორტი ვაზისა ჩაეჭიდება მავთულსა,
ერი მისებრად ეკვრება „ვეფხისტყაოსანს“ ჩაწნულსა,
მტერიც რომ ამას აკეთებს და აღიარებს ამ წნულსა,
ცოცხლად მიტომაც გიცქერით დღესაც ფიქრებში გართულსა.

ბევრი ვიფიქრე, რუსთველო, სიკეთით, არა ჯავრითა,
უკვდავად როგორ იქეცი სახელოვანი გვარითა?
ვხსენი და ვენახს ამოვხსენ რიგებში ვაზთა ჯარითა,
დალოცვილი ხარ ღვთისაგან ნინოს ვაზისა ჯვარითა.

კვალსა გონებით გავყევი, მადლობელი ვარ თავისა,
ვარსკვლავმაგვარი ძმაც ვპოვე, შენი და არა სხვაისა,
თან გამოვნახე ამინდი საუკეთესი თესვისა,
ძმადნაფიცი ხარ ვაზისა დაუჭკნობელი ფესვისა.

ამას მერე მეტადა მსურს, ვეშაირო რუსთაველსა,
კაცსა ბრძენსა, გულით ქველსა, პოეზიის წარმმართველსა,
სულით ტკბილსა, ხელით თბილსა, სიცოცხლით კი საკვირველსა,
ვეტრფიალო მის აზრებსა, ვაზებსა და ხვალის რთველსა.

ვაზი გამძლე ვარ გვალვისა, ეს ჩემი ფესვის არსია,
როგორც ვენახი კაცისთვის ცხოვრების შინაარსია,
ამაყად დავძენ, ნაღდია, აქ არაფერი ფარსია,
ვაზის და ღვინის ქვეყანა კვლავ აყვავების ღირსია.

გამიადვილდა ლაღობა ვაზებისა და რთველისა,
ერისა უძლეველისა, ტურფად, ნატიფად მრთველისა,
ქველისა უშურველისა, კაცისა მუდამ მშველისა,
იმგვარ-მაგვარი რითმებით, რაცაა რუსთაველისა.

ჩემგან ნაქადი მცირეა ოქროს ქამრიან შოთასთვის,
ვამზევებ და არ დავმალავ, უფრორე მეტად ვაზისთვის,
მაგრამ რა ვუყო, ისწრაფვის გონება წიგნის წერისთვის,
დავბადებულვართ შრომისთვის, ოცი ათასი დღისათვის.

ღმერთმა ქნას, წუთისოფელი დავტოვოთ დალხინებული,
ძე და ასული ორთავე ათასად გამრავლებული,
ბაღ-ვენახები, ველები ბაღნარად დამშვენებული,
ხვალის თაობას გადავცეთ სამშობლო გამარჯვებული.

ჩვენი პატარა ქვეყნისთვის დღეს საარაკო ძნელია,
თუმცა არაკი ქართველებს შეეფერება გრძელია,
წინაპრებისა ამაგი საკვირველი და ქველია,
ჩვენი ნაღვაწი ჩვენს უკან შთამომავლისა მრთველია.

ანდერძადა ვწერ წადილსა, მოწმედა ზეცის თვალია,
მანათობელი ნაბიჯი მომავლისათვის კვალია,
ნატერფალი კი ნატიფი შთამომავლისთვის ვალია,
აქა ვამთავრებ თხრობასა, სიახლე გასაკვალია.

შოთა აგრძელებს შაირსა, სიცოცხლე მიფასდებოდა,
ღმერთიც მწყალობდა, თამარიც, გული მძლე ბადაგდებოდა,
სიბერემ ჯოხი მომგვარა, ბერიკაცს მეამებოდა,
ჩემად ბებრული გონება მოგონებებით ტკბებოდა.

**თამაზ ქვლივიძე**
**ტელ. 599-10-43-18**



# «მსოფლიო ეკონომიკა იმაზე მეტად დაეცემა, ვიდრე ვვარაუდობდით»

**კორონავირუსის პანდემიის გამო მსოფლიო ეკონომიკა დაეცემა არა 3%-ით, როგორც ვვარაუდობდით, არამედ უფრო მეტად,** — განაცხადა საერთაშორისო სავალუტო ფონდის განმკარგულებელმა დირექტორმა **კრისტალინა გეორგიევამ** გაეროს მიერ მოწყობილ დისტანციურ ღონისძიებაზე, რომელიც პანდემიის პირობებში და მას შემდეგ დაფინანსების საკითხებს მიეძღვნა.

**„აპრილში ჩვენ ვივარაუდეთ მსოფლიო ეკონომიკის შემცირება 3%-ით, ახლა ვიღებთ ახალ მონაცემებს, რომლებიც მიგვითითებს, რომ შემცირება გაცილებით მეტი იქნება“,** — განაცხადა გეორგიევამ.

**iarex.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**ლუკა მაისურაძემ**

# მარია ზახაროვა: აშშ-მა დაკარგა მორალური უფლება, სხვა ქვეყნები ადამიანის უფლებების დარღვევაში დაადანაშაულოს

**რუსეთს სურს, ევროკავშირიდან, ნატოდან, დიდი შვიდეულიდან და ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეადან აშშ-ში მიმდინარე საპროტესტო აქციებზე კომენტარები მოისმინოს, — განაცხადა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესსპიკერმა მარია ზახაროვამ.**



ზახაროვას თქმით, მაშინ, როცა საერთაშორისო ორგანიზაციები სხვადასხვა ქვეყნის მიმართ ბრალდებებისა და კრიტიკის ქარიშხალს აფრქვევენ, აშშ-ში მიმდინარე საპროტესტო აქციებზეც უნდა გააკეთონ კომენტარი. **„მაშინ, როდესაც საერთაშორისო ორგანიზაციებიდან, როგორიცაა ევროკავშირი, ნატო, დიდი შვიდეული, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეა, რიგი ქვეყნების მიმართ ბრალდებებისა და კრიტიკის ქარიშხალს ვხედავთ, არის ეს საჭირო თუ არა, ჩვენ გვსურს, მათი კომენტარის მოსმენა აშშ-ში მიმდინარე საპროტესტო აქციებზეც“,** — განაცხადა ზახაროვამ.

მისივე თქმით, აშშ-მა დაკარგა მორალური უფლება, სხვა ქვეყნები ადამიანის უფლებების დარღვევაში დაადანაშაულოს. **„დღეიდან აშშ-ს ამის მორალური უფლება აღარ აქვს. ვფიქრობ, შემთხვევითი არ არის ის, რომ მათ ცოტა ხნის წინ დატოვეს გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, მათ შესაძლოა, წინასწარ განჭვრიტეს ეს შედეგი“,** — დასძინა მარია ზახაროვამ.

# ისინი, ვინც ამერიკაში მაღაზიებს ძარცვავს, დამნაშავეები არიან, საქართველოში კი ხაზინის ქურდი და პარლამენტის შენობაში შეჭრის მსურველები — პოლიტპატიმრები?



**ამერიკელმა კონგრესმენმა ადამ კინზინგერმა, რომელმაც რამდენიმე დღის წინათ საქართველოს ხელისუფლებას სისხლის სამართლის დანაშაულებში ბრალდებულთა — ირაკლი ოქრუაშვილის, გიგი უგულავასა და გიორგი რურუას — გათავისუფლება მოსთხოვა და ისინი პოლიტპატიმრებად შერაცხა, გამოეხმაურა აშშ-ში მიმდინარე საპროტესტო აქციებს, რომლებიც მინეაპოლისში ჯორჯ ფლოიდის გარდაცვალებამ გამოიწვია პოლიციის მიერ დაკავებისას.**

საპროტესტო აქციის მონაწილეებმა დაარბიეს და გაძარცვეს მაღაზიები დაჭრეს 50 საიდუმლო სამსახურის აგენტი, პოლიციელები. გაანადგურეს ლინკოლნის მემორიალი, დაწვეს ეკლესია, ამერიკის დროშები.

„პროტესტის უფლება არ ვრცელდება ძეგლების განადგურებაზე, ისტორიული შენობების დაწვაზე, ძარცვასა და საწარმოების განადგურებაზე. ეს ამაზრზენი, ძალადობრივი არეულობა ახშობს რეალურ საკითხებს, რომლებიც გადასაჭრელია. ჩვენ გვჭირდება ლიდერობა და წესრიგი უნდა აღდგეს, ახლავე“, — დაწერა კინზინგერმა სოციალურ ქსელში.

ეს არის ორმაგი სტანდარტით მიდგომა, რომელიც ამერიკელებს ახასიათებთ: **ისინი, ვინც ამერიკაში არბევს და ძარცვავს მაღაზიებს, დამნაშავეები არიან, საქართველოში კი ხაზინის ქურდი და პარლამენტის შენობაში შეჭრის მსურველები — თურმე, პოლიტპატიმრები?**

თუ გსურთ, გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ მიიღოთ სახლიდან გაუსვლელად და ისარგებლოთ უფასო საკურიერო მომსახურებით, შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შემდეგ კომპანიებს:
„ელვა.ჯი“ — ტელ: 2 38 26 73; 2 38 26 74
„მაცნე“ — ტელ: 599 982 773; 2 14 74 22

www.geworld.ge
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

სარედაქციო კოლეგია
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. რედაქციის პოზიცია შეიძლება არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: geworld@inbox.ru

ISSN 2233-3894